$$W = \frac{\ell_{01} - \ell_{02}}{2S \sin M \alpha_0 / 2}, \quad (4)$$

მიკროტრიალებს შორის კუთხე მოსახერხებელია შეირჩეს ისე, რომ $M\alpha_0/2$ სიდიდე ტოლი იყოს $\pi/2$ - ის, აქედან გამომდინარე, $\alpha_0 = 60^\circ$



ნახ. 5. მიკროტრიალებით სიჩქარის მდგენელის გაზომვის სქემა

დასკვნა

კალაპოტური ფორმების შესწავლის მიზნით ჰიდრავლიკურ ღარში ჩატარებულია ექსპერიმენტული კვლევები ნაწილაკის მდგრადობის ჰიდროდინამიკური პარამეტრების განსაზღვრისათვის. დადგენილია ნაკადის ტურბულენტური მოძრაობის პარამეტრიზაცია, შესწავლილია ტურბულენტური დინების სტატისტიკური მოდელი, რომელიც აღწერს ნაწილაკის ზღვრულ წონასწორობას. განსაზღვრულია ძირითადი ნაკადის კრიტიკული სიჩქარის საანგარიშო დამოკიდებულება კალაპოტური პროცესების მახასიათებლების გათვალისწინებით. გამოვლენილია ინდუცირებული დინების ზემოქმედება კალაპოტურ შრეში ძირითადი ნაკადის სასაზღვრო შრის სიჩქარეზე.

ლიტერატურა

1. გუბელაძე დ.ო. (2015) - კალაპოტური პროცესების თავისებურებანი - ჟურნალი ჰიდროინჟინერია, 19-20, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
2. გუბელაძე დ.ო. (2015) - მდინარეებში ტრანზიტული ნაკადის მოძრაობის კანონზომიერებანი - ჟურნალი ჰიდროინჟინერია, 21-24, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
3. გუბელაძე დ.ო. (2015) - წყლისმიერი ეროზიული პროცესების რაოდენობრივი პროგნოზირება და საიმედოობა - ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება „ – 2(12) ტომი , თსაუ, თბილისი, გვ. 84-87;
4. გუბელაძე დ.ო. - მდინარის დინების მახასიათებლები და კალაპოტის ფორმირების თავისებურებანი (2016) - ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება,, – 2(14) ტომი, თსაუ, თბილისი, გვ. 76-82.

კოლხეთის დაბლობზე სამიარუსიანი კომბინირებული
დრენაჟის საველე კვლევა და მისი შეფასება*

მ. გუგუჩია ¹⁾, ჯ. მიგინეიშვილი ¹⁾ , გ. ვახტანგიშვილი ²⁾

¹⁾ ააიპ გარემოს დაცვის ეკოცენტრი


²⁾ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო

E-mail: maka05guguchia@gmail.com, migineishvilijemali@gmail.com

კლიმატის ცვლილების ფონზე საქართველოში კოლხეთის დაბლობზე არსებული ჭარბტენიანი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების (ფართობი 225 000 ჰა) ეფექტური ათვისების მიზნით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნ. ნიკოლაძის სახელობის სამტრედიის რ-ნის სოფელ დიდი ჯიხაიშის პროფესიული კოლეჯის საცდელ ბაზაზე, მოეწყო სამიარუსიანი კომბინირებული დრენაჟის (საქართველოს პატენტი მოწმობით № GE P 2005, 3573 B) საკვლევი პოლიგონი [2]. აღნიშნული სამუშაო განხორციელდა სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის საგრანტო პროექტის №40/35 - „ახალი ალტერნატიული სადრენაჟო ღონისძიებების კვლევა კოლხეთის დაბლობისათვის სამიარუსიანი კომბინირებული დრენაჟის მაგალითზე“ დაფინანსებით (დოქტორანტი მაკა გუგუჩია, სამეცნიერო ხელმძღვანელი, პროფ. გივი გავარდაშვილი, 2013-2014 წწ).

სამიარუსიან კომბინირებულ დრენაჟზე საველე ექსპერიმენტების განხორციელების მიზნით ადგილზე გაყვანილ იქნა ტრანშეა ორ რიგად, ზომით - სიგრძე 18 მ, სიღრმე - 1,2 მ, ხოლო სიგანე - 0,6 მ.



სურ. 1. სამიარუსიანი კომბინირებული სადრენაჟო სისტემის მოდელი

საველე სამიარუსიანი კომბინირებული დრენაჟის მოდელი შედგება:

- პირველი იარუსი - ნაპრალოვანი დრენი (სიღრმით - 0,30 მ), - ზედაპირული ჩამონადენი წყლის დასარეგულირებლად;

* სამეცნიერო სტატია მომზადებულია პროფესორ გივი გავარდაშვილის ხელმძღვანელობით

- მეორე იარუსი - ვერტიკალური წრიული პოლიეთილენის პერფორირებული კონსტრუქცია (დიამეტრი - 0,10 მ) გრუნტის წყლების გასაყვანად (სიგრძე - 0,40 მ);
- მესამე იარუსი - წყალმიმღები მილი/მაგისტრალური კოლექტორი - ზედაპირული და გრუნტის წყლების ფართობიდან გასაყვანად (დიამეტრი - 0,30 მ).

ჩატარდა ნიადაგ-გრუნტის გრანულომეტრიული ლაბორატორიული გამოკვლევა, სამტრედიის რაიონის სოფ. დიდი ჯიხაიშის საკვლევი ობიექტის ნიადაგის სხვადასხვა ფენის სიღრმეზე, რომლის რაოდენობრივი მაჩვენებლებიც მოყვანილია ცხრილში 1, სადაც ჩანს, რომ ფიზიკური თიხის შემცველობა ზედა 1 მ სისქის ფენაში 37-63%-ს შეადგენს, ლამისა კი - 21-32 %-ს, რაც მიუთითებს საკვლევ ობიექტზე გავრცელებულ თიხა და მძიმე თიხნარ-გალებებულ ნიადაგებზე.

ცხრილი 1

ნიადაგის გრანულომეტრიული შედგენილობა

ადგილმდებარეობა	სიღრმე	ფრაქციების ზომა, მმ						
		1 - 0.25	0.25 - 0.05	0.05 - 0.01	0.01 - 0.005	0.005 - 0.001	< 0.001	< 0.01
სამტრედიის რ-ნი სოფ. დიდი ჯიხაიში თიხა, მძიმე თიხნარი	0-15	0.4	11.1	25.7	12.8	20.8	29.2	62.8
	20-35	0.3	8.2	31.8	18.2	24.2	17.3	59.7
	40-50	0.7	9.5	28.9	9.8	15.9	35.2	60.9
	50-75	0.9	9.2	38.6	8.4	14.5	28.4	51.3
	75-100	0.6	11.7	50.5	5.5	10.5	21.2	37.2
	0-100	0.6	9.9	35.1	10.9	17.2	26.3	54.2

ამასთან ერთად დადგინდა ნიადაგის წყალფიზიკური თვისებები, რომლის რაოდენობრივი მაჩვენებლებიც მოყვანილია ცხრილში 2.

ცხრილი 2

ნიადაგის წყალფიზიკური თვისებები

ადგილმდებარეობა	სიღრმე (სმ)	კუთრი წონა (გ/სმ³)	მოცულობითი წონა (გ/სმ³)	მოცულ. ტენტევად., %		ფორიანობა, %			%, საერთო ფორიანობიდან		გაჟღერების ხარისხი	თავისუფალი ფორიანობა (აერაცია)
				კაპილარული	სრული	საერთო	კაპილარული	არაკაპილარული	კაპილარული	არაკაპილარული		
დიდი ჯიხაიში	0-25	2.60	0.843	62.6	55.0	67.6	55.0	12.6	81.3	18.7	87.9	12.1
	25-50	2.70	0.889	66.6	62.6	67.1	62.2	4.9	92.8	7.2	88.7	11.3
	50-75	2.77	0.880	67.5	65.2	68.2	65.2	3.0	95.5	4.5	91.2	8.8
	0-75	2.69	0.870	65.6	60.9	67.6	60.8	6.8	89.9	10.1	89.3	10.7

მე-2 ცხრილის მიხედვით მრავალწლიანი მცენარეების ფესვთა სისტემის გავრცელების არეალში 0-75 სმ, კუთრი და მოცულობითი წონა 2.69 გ/სმ³ და 0.87 გ/სმ³ - ის ფარგლებში მერყეობს, ამას თან ერთვის ნიადაგის შედარებით მაღალი ტენტევადობა და ფორიანობა. მაგალითად, კაპილარული ტევადობა 0.75 მ ფენაში საშუალოდ 61%-ს შეადგენს, სრული ტენტევადობა და საერთო ფორიანობა შესაბამისად 66% და 68%-ს აღწევს. საერთო ფორიანობიდან არაკაპილარულ ფორიანობაზე მხოლოდ 10% მოდის, რაც, ცხადია, ვერ უზრუნველყოფს მცენარის ზრდა-განვითარების ნორმალურ პირობებს. საცდელ უბანზე, საველე პირობებში გაზომილი 1 მ სისქის ფენაში ფილტრაციის კოეფიციენტი შეადგენს - 0,02 - 0.09 მ/დღე-ღამეში [1-6].

ამრიგად, მდელის ალუვიური სხვადასხვა ხარისხით დატენიანებული ნიადაგები ხასიათდება შედარებით მძიმე გრანულომეტრიული შედგენილობით და არადაამკმაყოფილებელი წყალფიზიკური თვისებებით.

შემოდგომა-ზამთრის პერიოდში და ხანგრძლივი წვიმების დროს ხდება ნიადაგ-გრუნტის წყლების კრიტიკულ დონეზე მაღლა აწევა და მისი დროებითი შეტბორვა. ამის გამო იქმნება ჭარბტენიანობისა და მცენარეთა ზრდა-განვითარების არასასურველი წყალჰეროვანი პირობები.


როგორც დამშრობი სისტემების მშენებლობამ და შემდგომმა მათმა ექსპლუატაციამ, ასევე საკვლევ უბნებზე ჩატარებულმა ცდებმა ცხადყო, რომ კოლხეთის დაბლობზე დაშრობის მიღებულ ხერხებს (მილოვანი დრენაჟი კვალთან შეთანწყობაში, დრენირებული ტრანშეები და კომბინირებული დრენაჟი), დრენზე მფილტრავი ნაყარის - ინერტული ჟონვადი ბალასტის მოწყობის გარეშე არ შეუძლია შექმნას სათანადო ჰიდროლოგიური რეჟიმი კულტურული მცენარეების ზრდა-განვითარებისათვის; ვითარდება მილების დაღამვა და შემდგომში მათი დაცობა [1,7].

ამის გათვალისწინებით, სამიარუსიანი დრენაჟის შემავსებლად გამოვიყენეთ სოფ. ქვიტირის მდ. გუბისწყალის კარიერიდან ინერტული ჟონვადი ბალასტი, რომლის მექანიკური შემადგენლობა მოცემულია ცხრილში 3.

ცხრილი 3

სადრენაჟო ტრანშეის შემავსებელი გრუნტის მექანიკური შედგენილობა

ბალასტის ნიმუში	>10.0	7.0- 10.0	5.0- 7.0	3.0- 5.0	2.0- 3.0	1.0- 2.0	0.5- 1.0	0.25- 0.5	0.1- 0.25	0.06- 0.01
	2	5	6	19	26	18	13	6	4	1



სურ. 2. გრანულომეტრიული შემადგენლობის ნახევრად ლოგარითმული მრუდი
(მდ. გუბისწყალი, კარიერი ქვიტირი)

როგორც ცხრილიდან (3) ჩანს, რადგან 2 მმ-ზე მსხვილი ყველა ნაწილაკის ჯამი შეადგენს 50%-ზე მეტს, ჩვენი შემავსებელი წარმოადგენს ხრეშოვან გრუნტს [8,10].

შემავსებლის ფილტრაციის კოეფიციენტი იანგარიშება მ. პავჩიჩის ცნობილი ფორმულით [1,10]:

$$K_{ფ} = \frac{3,99}{\nu} \cdot \frac{n^3}{(1-n)^2} \sqrt[3]{\eta} \cdot d_{17}^2 \quad (1)$$

სადაც, $K_{ფ}$ ფილტრაციის კოეფიციენტია, სმ/წმ ან მ/დღ; ν - წყლის კინემატიკური სიბლანტე, სმ²/წმ; n - ნიადაგის ფორიანობა; η - გრუნტის მარცვლოვნების განსხვავებულობის კოეფიციენტი; d_{17} - ნაწილაკების დიამეტრი (მმ), რომელიც გამოყენებულ გრუნტში 17%-ზე (წონით) ნაკლებია:

$$\eta = \frac{d_{60}}{d_{10}} = \frac{2.6}{0.47} = 5.5 > 5 \quad (2)$$

ე.ი. გრუნტი არათანაბრად მარცვლოვანია, სადაც, d_{60} ნაწილაკების დიამეტრია (მმ), რომელიც გამოყენებულ გრუნტში 60%-ზე (წონით) ნაკლებია; d_{10} - ნაწილაკების დიამეტრი (მმ), რომელიც გამოყენებულ გრუნტში 10 %-ზე (წონით) ნაკლებია.

ქვიშა-ხრეშოვანი გრუნტის ფორიანობა შეიძლება ვიანგარიშოთ შემდეგი ემპირიული ფორმულით [1]:

$$n = 0,40 - 0,11 \lg \eta = 0,40 - 0,11 \lg 5.5 = 0.32 \quad (3)$$

ამრიგად,

$$K_{ფ} = \frac{3,99}{0,0131} \cdot \frac{0,32^3}{(1 - 0,32)^2} \sqrt[3]{5,5} \cdot 0,074^2 = 0,21 \text{ სმ/წმ ან } 181 \text{ მ/დღ.} \quad (4)$$

ინტენსიური ნალექის პირობებში სავსე კვლევების საფუძველზე მიმდინარეობდა დაკვირვება სამიარუსიანი კომბინირებული დრენაჟის კონსტრუქციის წყალმიღების უნარზე. ჩვენ მიერ მოწყობილი სავსე სადრენაჟო კონსტრუქციის ეფექტურობის დასადგენად ადგილზე ხდებოდა სეზონური წვიმების განმავლობაში წყალმიღები მილიდან წყლის ხარჯის დაკვირვება და გაზომვა (სურ. 3).



სურ. 3. წყლის ხარჯის დადგენა. სოფ. დიდი ჯიხაიში

სამიარუსიანი კომბინირებული დრენაჟის ჰიდროლოგიური მუშაობის ეფექტურობის დადგენისათვის, საკვლევ ტერიტორიაზე მოსული ნალექების გათვალისწინებით განხორციელებულ იქნა მათემატიკური გამოთვლები, რომლის რაოდენობრივი მაჩვენებლებიც მოცემულია ცხრილში 4 [9].

ცხრილი 4

სამიარუსიანი კომბინირებული დრენაჟის ჰიდროლოგიური მუშაობის ეფექტურობის მაჩვენებლები

თარიღი	მოსული ატმოსფერული ნალექები (მმ/დღ)	დრენაჟის ჩამონადენი საკვლევ უბანზე (0,0144 ჰა)				დრენაჟის ჩამონადენის მოდული (ლ/წმ.ჰა)	დატვირთვა სადრენაჟო სისტემაზე, მმ/დღ	წილი მოსული ნალექებიდან, (%)
		ლ/წთ			ლ/წმ			
		I მილი	II მილი	საშუალო				
03.04.15	24,0	2,0	1,2	1,60	0,027	1,88	16,2	67,5
04.04.15	15,6	0,9	0,5	0,70	0,012	0,83	7,2	46,2
24.12.15	8,2	0,4	0,2	0,30	0,005	0,35	3,0	36,6
20.01.16	16,2	1,0	0,6	0,80	0,013	0,90	7,8	48,1
24.01.16	12.4	0.6	0.5	0.55	0.009	0.62	5.4	43.5

დასკვნა

ამრიგად, თუ ჩავატარებთ კოლხეთის დაბლობზე განთავსებულ თიხა-თიხნარი მძიმე ჭარბტენიანი ნიადაგების ანალიზს და გავიანგარიშებთ სამიარუსიანი კომბინირებული დრენაჟის ჰიდროლოგიურ ეფექტურობას, დავინახავთ, რომ მისი საშუალო მნიშვნელობა 36,6 - 67,5%-ის ფარგლებში (მოსული ნალექის რაოდენობიდან) იცვლება, რაც მიუთითებს სამიარუსიანი კომბინირებული დრენაჟის მუშაობის მაღალეფექტურობაზე.

ლიტერატურა

1. ანჯაფარიძე ი. მელიორაციული ნიადაგმცოდნეობა. თბილისი, 1977.
2. გავარდაშვილი გ.ვ. კომბინირებული დრენაჟი - საქართველოს პატენტი #H3573 B, ბიულ. # 5(167), თბილისი, 2005 , გვ. 12 .
3. Гавардашвили Г.В., Модебадзе Н.Л., Гавардашвили Н.Г. Новая конструкция комбинированного трехъярусного дренажа и расчет водопропускной способности. //Инженерная экология, Москва, № 3 , 2007 ,с. 55-61.
4. Gavardashvili G., Guguchia M. The Research of the Combine Three Tier Drainage. International scientific-practical conference use of reclaimed land - Current State and Prospects of Development reclamative farming. Tver, RUSSIA, August 27-28 2015 г., с 196-201.
5. Gavardashvili G.V., Hertman L. A New Drainage system to Divert the Ground Water for the Safety of the Foundation of High-rise Buildings. Construction of Optimized Energy Potential. Collected Papers of University, Czestochowa, # 2(20), Czestochowa, Poland 2017, pp. 101-108.
6. Гавардашвили Г.В., Собола Дж. Обеспечение экологической безопасности сельскохозяйственных угодий на Колхидской низменности для улучшения социально-экологических условий местного населения. Сборник трудов I Международной конференции "Водные экосистемы Колхидской низменности – охрана и рациональное использование". 22-24 июля, Тбилиси-Поти, 2013 г., стр. 108÷111.
7. Костяков А.Н. Основы мелиорации. М., 1951, 750 стр.
8. კუპრეიშვილი შ., სიჭინავა პ., სუპატაშვილი თ. კოლხეთის დაბლობის ტერიტორიების თანამედროვე მდგომარეობის შესწავლა. პარიზი, 2014, 884-885
9. Мирцхулава Ц. Е. Надежность систем осушения. Москва, 1985, 239 с.
10. მოწერელია ა. კულტურტექნიკა და აგრომელიორაცია კოლხეთის დაბლობის დაშრობილ მიწებზე. თბილისი, 1986, 184 გვ.

СИСТЕМЫ ВОДОСНАБЖЕНИЯ, КАНАЛИЗАЦИИ И ОТОПЛЕНИЯ, СУЩЕСТВУЮЩИЕ В ДРЕВНИХ ЦИВИЛИЗАЦИЯХ И НА ТЕРРИТОРИИ ГРУЗИИ

Денисова И.А.¹⁾, Мепаришвили Н.М.¹⁾, Бзиава К.Г.^{1), 2)}, Лежава И.В.¹⁾

¹⁾ Грузинский технический университет
ул. М. Костава 68, 0175, Тбилиси, Грузия

²⁾ Институт водного хозяйства им. Ц. Мирцхулава
Грузинского технического университета
пр. И. Чавчавадзе 60⁶, 0179, Тбилиси, Грузия
E-mail: i.denisova@gtu.ge

Введение

Качество жизни человека, его комфортное проживание, здоровье и работоспособность обусловлены рядом факторов, важнейшими из которых являются вода и тепло, а также хорошие санитарно-гигиенические условия. Одним из основных средств создания комфортных условий в жилых зданиях является водоснабжение, канализация и отопление. Современное жилье оборудовано централизованными или автономными системами водоснабжения, канализации и отопления и представляют собой благоустроенную и комфортную среду обитания.

Краткий обзор систем водоснабжения, канализации и отопления, существующих в древности

Первобытный человек брал воду из ближайшей реки, озера, а согревался у костра. С переходом человека на новую ступень развития потребность в воде возросла, она стала необходима в сельском хозяйстве, для транспортировки и т.д. Первые данные об искусственных водоподъемных приспособлений датируются III тысячелетием до н.э.

Процветание многих цивилизаций связано с развитием водоснабжения для обеспечения водой городов и сельскохозяйственных полей технологиями распределения и отвода воды. Археологические раскопки подтверждают высокий уровень водопользования в ассирийской, вавилонской и египетской цивилизациях.

В античном Риме (VIII век до н.э. - V век н.э.) была создана мощная система водопотребления. Проводились исследования по поиску источников воды, проектированию водных систем и сооружений. Для обеспечения водой общественных и частных бань (терм), садов, фонтанов и аквариумов строили водопроводы, очистные и водораспределительные сооружения. Деньги на эти цели выделялись из казны, которая пополнялась после захватнических войн. Для покрытия расходов на эксплуатацию вводилась оплата за пользование банями и водными каналами.

Среди инженерных достижений античности выделяются акведуки (лат. *aqua* - вода и *disco-vedu*), представляющие собой водоводы, по которым вода самотеком доставлялась к населенным пунктам и сельскохозяйственным полям. При строительстве акведука вокруг источника воды, находящегося на возвышенности, обустраивали пруд, где накапливалось большое количество воды. Оттуда вода по трубам, закрытым или открытым каналам самотеком доставлялась потребителям. Для подземного трубопровода использовали древесину, глину или свинец [1]. Позднее выяснилось, что свинец является токсичным металлом, который при попадании в организм человека вызывает повреждение мышечных и костных тканей, нервной системы и клеток головного мозга.

Появление систем водоотведения также датируется III тысячелетием до н.э. Археологические раскопки доказывают существование систем канализации в древнем Вавилоне, Месопотамии и древнем Египте.

В древнем Риме интенсивное водопользование обуславливало возникновение большого объема сточных вод. Для их удаления устраивали открытые каналы, по которым использованная вода стекала в реку Тибр. Позже, каналы начали покрывать сначала деревянными досками, а затем несколькими слоями кирпича. Таким способом создана «Клоака Максима» (*Cloaca Maxima* - от лат. *Cluo* - *чистить*) – древнеримский большой канализационный канал (VII век до н.э. - VI век н.э.). Его ширина местами составляла 3 метра, а глубина превышала 4 метра (рис.1). Часть «Клоаки Максима» сохранилась по сей день и используется как дождевая канализация.



Рис. 1. Клоака Максима

В городах древнего Рима существовало много общественных туалетов. Туалеты императора и состоятельных граждан облицовывались мрамором. Они постоянно смывались чистой водой.

Развитие систем отопления началось после обнаружения свойства камней накапливать тепло. Камни начали использовать для отопления. В Китае были обнаружены дома эпохи неолита, датируемые XI веком до н.э., где каменные кровати сверху нагревали с помощью открытого огня. Перед сном камень очищали от пепла и ночью согревались теплом выделяемым камнем. Нагрев теплоемкого материала и использование его тепла уже представляла собой примитивную инженерную систему, состоящую из нескольких элементов.

В результате археологических раскопок в Лапландии (около Швеции, близ Вауллера) была обнаружена еще более ранняя система напольного отопления, датированная IV тысячелетием до н.э., которая содержала яму для костра, подземные каналы для подачи теплого воздуха и дымоход. Система отопления была примитивной, но она хорошо выполняла свои функции.

Широкое распространение системы отопления связано с III веком до н.э. В Северном Китае использовали систему «теплый пол» для подогрева спального места, расположенного на полу - "хуоканг". Очаг устраивался вне помещения, а дымоходы располагались под полом-кроватью. Позже начали использовать более усовершенствованную систему для обогрева всей поверхности пола в помещении.

В ту же эпоху в Корее была распространена похожая система отопления – «ондоль». Источником тепла традиционной системы «ондоль» являлась печь, расположенная на кухне или у внешней стены обогреваемого помещения. Печь была одна или несколько, в зависимости от количества обогреваемых помещений. Она устраивалась ниже пола, предназначенного для обогрева,

что обеспечивало свободную циркуляцию дыма и теплого воздуха в горизонтальных каналах, расположенных под полом. Каналы соединялись с дымоходом, находящимся в некотором отдалении от жилища (рис. 2).




Рис. 2. Традиционная система «ондоль»

Горячий воздух, проходя под полом, согревал каменный пол помещения. Система имела довольно высокий коэффициент полезного действия – тепла, накопленного в течение двухчасового горения очага, хватало на всю ночь [2]. Данная система отопления до сих пор используется в традиционных корейских жилищах.

В этот же период в Римской империи независимо развивается система центрального отопления – «гипокауст» (от греч. ὑπό и αὐστός: ὑπό – под, внизу, снизу, и αὐστός – нагретый, раскалённый). Основными компонентами системы гипокауста были деревянная печь и система каналов под полом и в стенах (см. рис. 3). Напольные плиты, которые изготавливались из обожженной глины, опирались на каменные или глиняные столбы. В стенах устраивались круглые или прямоугольные каналы. Нагретый воздух распространялся в подпольном пространстве, затем поднимался по каналам вверх, обогревая стены помещений [3].




Рис. 3. Схема «гипокауста»

Помимо археологических свидетельств, до нас дошли письменные свидетельства, описывающие функциональную схему работы системы гипокауст. Древнеримский инженер Марк Витрувий Поллион (лат. *Marcus Vitruvius Pollio*. I век до н. э.), современник императора Юлия Цезаря и Октавиана Августа, создал трактат - "Десять книг по архитектуре" (лат. *De architectura libri decem*). Это единственная работа по архитектуре, которая сохранилась с античных времен. В пятой книге Витрувий детально описывает систему гипокауста для бань, их пропорции, строительные материалы и планировку [4].

Строительство системы гипocaust требовало значительных финансовых вложений, поэтому они строились для общественных бань (терм) на деньги казны. Система гипocaustа для частного пользования была доступна только богатым гражданам империи.

После распада Римской империи систему гипocaust предали забвению. В Европе ее использовали только в Каталонии, где она претерпела небольшие изменения. Эта система и по сей день функционирует в ряде зданий в Испании.

Римляне распространили систему гипocaust по всей империи. Наиболее широко эту систему использовали в холодных провинциях и горных регионах, таких как Балканы, Альпы, Кавказская Иберия и т.д.

Основная часть

На территории Грузии недалеко от Тбилиси, в муниципалитете Мцхета, сохранились уникальные памятники, построенные в соответствии с принципами древнеримского планирования: Армазцихе-Багинети, Армазисхеви и Дзалиси. Строительство и развитие этих исторических памятников, также, как и отношения Иберии и Римской империи, прошли несколько этапов. После вторжения Помпея на Южный Кавказ в 66 - 65 гг. до н. э. территория Кавказской Иберии оказалась вовлеченной в сферу влияния Рима.

Армазцихе-Багинети

Армазцихе-Багинети (по греко-римским источникам Гармозик или Армактика IV век. до н. э. – VII век. н. э.) находится близ города Мцхета, на правом берегу реки Мтквари (Куры). Крепость Армазцихе являлась царской резиденцией. Комплекс состоял из фортификационных сооружений, дворца с колоннами и придворовыми зданиями, гробниц, культовых сооружений, марани (*авт.* помещение для выдержки и хранения вина), бань с системой водоснабжения и канализации. Возводились они в разные периоды: в IV-III веках до н.э. - фортификационные сооружения; в III веке до н.э.-I веке н.э. - дворец с колоннами и здания различного назначения; в I-VII веках н.э. – шестиапсидный храм и бани с системой водоснабжения и канализации.

Армазцихе снабжался питьевой водой из села Карсани, расположенного на противоположном склоне горы, за несколько километров от резиденции. Для водоснабжения использовали два типа водоводов: открытые - для хозяйственных нужд и закрытые – для питьевой воды.

В результате археологических раскопок были обнаружены две бани. Одна баня находилась к северо-востоку от шестиапсидного храма, вода поступала с запада с помощью специально устроенного водопровода. В бане было пять отделений: комната для раздевания (аподитриум), холодное (фригидариум), теплое (тепидариум) и горячее (калидариум) помещения и топочная камера (см. рис. 4.). В бане находилось пять ванн, из которых грязная вода сначала стекала в сборный колодец, а затем направлялась в коллектор, находящийся к востоку от бани. В северной части комплекса предположительно был устроен резервуар для чистой воды.

Баня отапливалась снизу системой отопления типа гипocaust. В подпольном помещении располагались круглые и квадратные кирпичные столбы, на которые опирались крупные керамические напольные плиты. Топочная камера находилась на первом этаже рядом с горячим отделением бани. Теплый воздух, проходя через каналы, устроенные в стенах, согревал помещения. На востоке от бани был бассейн, имевший собственный водопровод. На дне бассейна с одной стороны устроен подиум, по которому спускались в бассейн [5, 6].




Рис. 4. План бани в Армазисхеви

Вторая баня состояла из трех отделений: холодного, теплого и горячего. В холодном отделении находился плавательный бассейн. В горячем отделении было две ванны – одна полукруглая, вторая квадратная. Ванны были покрыты гидроизоляционным раствором. К западу от бани находился колодец, к нему подсоединялся водопровод. Поблизости был резервуар для чистой воды. Баня обеспечивалась водой из резервуара по специальным каналам. Система отопления бани была обустроена как в первой бане.

Дзалиси

В 20 километрах от города Мцхета в долине Мухрани на обоих берегах реки Нареквави было обнаружено античное поселение - Дзалиси. Во II веке н.э. греческий географ Птолемей Клавдий в своей книге «Руководство по географии» (*Geographike Hyphegesis*), при описании Иберии наряду с другими городами упоминает город Дзалиси. Самые ранние археологические материалы, добытые в городе, относятся к II-I векам до н.э., а основные постройки датируются I-IV веками н.э.

В Дзалиси сохранились развалины дворца и общественных зданий, бани римского типа, датированные II веком н. э., остатки водопроводных и канализационных сетей. В общественной бане находился плавательный бассейн и фонтан. Баня обогревалась системой отопления гипocaust. Подпольные столбы гипocaustа были четырехугольной и круглой формы (см. рис. 6.). Предположительно круглые кирпичные столбы использовались для быстрого распространения горячего воздуха под горячим помещением, так как обтекание круглых предметов происходит с меньшим сопротивлением. Квадратные кирпичные столбы, в основном, расположены под теплым помещением для обеспечения задержки нагретого воздуха в этой зоне. Над керамическими напольными плитами был устроен гидроизоляционный слой толщиной 120-150 мм [7, 8].

Самым крупным сооружением в Дзалиси являлся дворец, площадь которого превышала 2500 м². Он включал в себя до 30 помещений различных размеров и форм. Во дворце был устроен туалет с двумя отделениями, который имел собственный водопровод и канализацию. Туалеты постоянно смывались чистой водой. Канализационная система находилась под землей, она имела сборные колодцы. Сточные воды сливались в реку Мтквари (Куру), которая находилась за несколько километров от Дзалиси.



Рис. 6. Система гипocaustа в Дзалиси

На территории города сохранился плавательный бассейн, который для Грузии является уникальным сооружением. Предположительно его построили в конце II или в начале III века н. э. Бассейн имеет прямоугольную форму с четырьмя полукруглыми апсидами (см. рис. 8).



Рис.7. Плавательный бассейн в Дзалиси

Площадь бассейна составляет более 400 м², а глубина до 2,2 м. Стенки бассейна шириной 0,7 – 1,0 м возведены из булыжника с использованием известковой смеси. Они частично находились в земле, были облицованы каменными плитами, под облицовкой имелась гидроизоляция толщиной 0,1 м. В северной части бассейна, ближе к бане, была лестница с девятью ступенями для спуска в воду. Бассейн имел сливной трап, который с помощью каменного водопровода соединялся с коллектором. Дно имело наклон в сторону трапа. Вода в бассейн поступала с запада по двум водопроводным трубам [9].

Армазисхеви

К западу от древней столицы Грузии Мцхета в Армазисхеви в I веке н.э. находился дворцовый комплекс монархов. Существующие в комплексе остатки зданий свидетельствуют о близости традициям античной архитектуры. Недалеко от дворца обнаружены остатки бани с центральным отоплением типа гипокауст.




Рис. 8. Поэтажный план бани в Армазисхеви

Это было двухъярусное здание. Стены нижнего яруса были возведены из булыжного камня, а верхнего - из ломанного камня на известковом растворе. Баня состояла из пяти отделений: комнаты для раздевания, холодного, теплого и горячего помещений и топочной камеры. Водой баня обеспечивалась с помощью керамических труб из реки Армазисхеви, использованная вода по трубопроводу сливалась в Мтквари (Куру) [10]. Под горячим и холодным помещениями бани была система отопления гипокауст. Под каждым помещением было около 45-ти плотно расположенных круглых и квадратных столбов. Топочную камеру герметично перекрывали плиты. Стены бани покрывали гидравлической, огнестойкой смесью из извести и молотого кирпича.

Выводы

На территории Грузии обнаружено немало античных поселений и крепостей, которые отличались развитой инфраструктурой, среди них: Нокалакеви в 16-ти километрах от Сенаки, Петра-Цихисдзири недалеко от Кобулет, Гонио-Апсарос в 15-ти километрах от Батуми и много других. Существование систем водоснабжения, водоотведения и центрального отопления свидетельствует о высокой санитарно-гигиенической культуре страны.

Литერატურა

1. Ширкова В. А., Фролова Н. Л. Из истории водоснабжения: водоводы и водоподъемники. Энергосбережение и водоподготовка. Издательство: ЭНИВ, Москва, № 2 (34), 2005, сс. 56-60.
2. Лялькина Г. Б. Из истории безопасного отопления. Вестник ПНИПУ. Безопасность и управление рисками. Издательство: Пермский национальный исследовательский политехнический университет, Пермь, 2016, сс. 138-146.
3. Robert Bean, Bjarne W. Olesen, Kwang Woo Kim, Arch.D. History of Radiant Heating & Cooling Systems - Part 1 – Asia. ASHRAE Journal, 2012, pp.40-47.
4. Витрувий, Десять книг об архитектуре. / Пер. Ф. А. Петровского. Т. 5. М., Изд-во Всес. Академии архитектуры. Серия «Классики теории архитектуры», 1936, Глава X.
5. გ. აბრამიშვილი, პ. ზაქარაია, ი. ციციშვილი. ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2000, გვ. 32-45.
6. ი. ციციშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, ისტ. და კულტ. ძეგლთა დაცვის საზ.-ზა, 1995, გვ. 33-34; 41-43.
7. ო. ფურცელაძე, ნ. მეფარიშვილი, ი. დენისოვა. იატაკის გათბობის სისტემები ძველ ცივილიზაციებში. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი "ჰიდროინჟინერია", N1-2 (21 - 22), 2016. გვ. 46-52.
8. ა. აფაქიძე, ვ. ნიკოლაიშვილი. რომაული სამშენებლო ხელოვნების ტრადიცია გვიანანტიკური ხანის საქართველოში: (ახლად აღმოჩენილი რომაული ტიპის აბანო არმაზციხე-ბაგინეთზე). მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით). სამეცნ. სესია: მოხსენებათა თეზისები – თბ., 1994. გვ. 23 - 24.
9. ა. აფაქიძე. არმაზისხევი (006), არმაზციხე (007), არმაზციხე, არმაზისციხე. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. წგ. 5. – თბ., 1990 – გვ. 235-241.
10. ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე. მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ტ. I, თბილისი, 1955. გვ. 147-160.

ფოთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების
ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვის ღონისძიებები

რ. დიაკონიძე, ჯ. ფანჩულიძე, თ. ბუტულაშვილი, მ. შავლაყაძე, ზ. ჭარბაძე,
ქ. დადიანი, ნ. ნიბლაძე, ბ. დიაკონიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 60^ა, 0179, ქ. თბილისი, საქართველო
E-mail: robertdia@mail.ru

შესავალი

ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მდებარეობს კოლხეთის დაბლობზე, რომელიც ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან შემოსაზღვრულია დიდი და პატარა კავკასიონის მთისწინეთებით, ხოლო აღმოსავლეთიდან ამ მთისწინეთების შემაერთებელი ლიხის ქედით და წარმოქმნიან გიგანტურ მთის ამფითეატრს, რომელიც ღია დასავლეთით - შავი ზღვისაკენ.

მუნიციპალიტეტი და მისი მიმდებარე ტერიტორიები გეომორფოლოგიური და გეომორფომეტრიული თვალსაზრისით წარმოადგენს ისეთ რთულ რეგიონს, სადაც აბსოლუტური სიმაღლეების სიდიდეები ზღვის დონიდან მინიმალურია და ზოგან უარყოფითიც. საკვლევ ტერიტორიაზე განვითარებულია საკმაოდ მჭიდრო ჰიდროგრაფიული ქსელი. გრუნტის წყლების დონეების ზედაპირთან ახლოს მდებარეობა და დაბლობის ქვეშ განვითარებული წყალგამტარი ან ძნელად წყალგამტარი თიხოვანი ქანების არსებობა მნიშვნელოვნად ამცირებს ჩამონადენი წყლების გამტარობას. ყოველივე აღნიშნულის გამო მაღალი ინტენსივობის ნალექების მოსვლის შედეგად მეტად ჭარბი რაოდენობის ზედაპირული ჩამონადენი ფორმირდება. ამას თან ერთვის მდინარეების მნიშვნელოვნად ადიდება. ტერიტორიის დაბალი ნიშნულების და, შესაბამისად, მცირე ქანობის გამო, ზღვას უჭირს ჭარბი ჩამდინარე წყლების მიღება და ასეთ დროს ყოველთვის არსებობს ფოთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების დატბორის დიდი ალბათობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, კოლხეთის დაბლობზე, ქ. ფოთთან, ზღვაში ჩამდინარე ერთ-ერთ წყალუხვ მდინარე რიონზე აუცილებელი გახდა წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების რისკების მართვა, რათა თავიდან აგვეცილებინა ქ. ფოთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების დატბორვა.

სწორედ ამ მიზნით მდ. რიონზე, ქ. ფოთიდან მე-7 კმ-ზე, აშენდა და 1959 წელს ექსპლუატაციაში შევიდა ჰიდროტექნიკური ნაგებობა „წყალგამყოფი კვანძი“, რომელსაც იმ დროისთვის პოსტსაბჭოთა სივრცეში ანალოგი არ მოეპოვებოდა. აუცილებელია აღინიშნოს, რომ წყალგამყოფი კვანძის საშუალებით შესაძლებელი გახდა მდინარე რიონის ჰიდროლოგიური რეჟიმის დარეგულირება ისეთი სახით, რომ თავიდან აგვეცილებინა ქ. ფოთის დატბორვა. ამის ნათელი მაგალითია მდინარე რიონზე 1987 წელში მომხდარი კატასტროფული წყალმოვარდნა, რომლის დროსაც ნაგებობამ შეძლო თავისი ფუნქციის შესრულება და გადაარჩინა ფოთი წალეკვას და დატბორვას.

ძირითადი ნაწილი

ფოთის და მისი მიმდებარე ტერიტორიების ძირითადი დასარეგულირებელი ეკოლოგიური პრობლემებია:

- ტერიტორიების დაცვა დატბორვისაგან;
- ზღვის სანაპირო ზოლის დაცვა ზღვის ტალღური ზემოქმედებისაგან და ზედაპირული წყლების ზღვაში ჩადინება;
- პალიასტომის ტბის ჰიდროლოგიური რეჟიმის დარეგულირება ისეთი სახით, რომ აღსდგეს მისი ადრინდელი რეჟიმი და არ მოხდეს მიმდებარე ტერიტორიების დატბორვა.

ფოთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების დატბორვისაგან დაცვის მიზნით, როგორც შესავალში აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, 1959 წელს მდინარე რიონზე ქალაქიდან მე-7 კმ-ზე, აშენდა იმ დროისათვის უნიკალური ჰიდროტექნიკური ნაგებობა „წყალგამყოფი კვანძი“ (სურ. 1). მისი ძირითადი დანიშნულება იყო და დღესაც არის ფოთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების დატბორვისაგან დაცვა. აღნიშნული ნაგებობის სწორი ფუნქციონირების შემთხვევაში, თუ დაცული იქნება ინსტიტუტში დამუშავებული ექსპლუატაციის რეკომენდაციები [2] შესაძლებელია ისეთი სახით დარეგულირდეს მდ. რიონის ჰიდროლოგიური რეჟიმი ჩრდილოეთის შტოს (ძირითადი კალაპოტი) ე.წ. ნაბადას და სამხრეთის შტოს (ქალაქის არხი) საშუალებით, რომ თავიდან იქნეს აცილებული ქალაქ ფოთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების დატბორვა.



სურ. 1. წყალგამყოფი კვანძის საერთო ხედი

ზემოაღნიშნული ჰიდროტექნიკური ნაგებობის არსებული ექსპლუატაციის წესების სრული დაცვის შემთხვევაში შესაძლებელია აგრეთვე მყარი ნატანის (შეტივნარებული) ტრანსპორტირების ისეთი სახით დარეგულირება, რომ, ერთი მხრივ, გარკვეულწილად დაცული იქნეს ფოთის პორტი მოსილვისაგან, ხოლო მეორე მხრივ, სამხრეთის შტოს ზღვასთან შეერთების ადგილზე შეტანილ იქნეს მეტი რაოდენობის პლაჟწარმომქმნელი ნატანი, რაც დადებითად აისახება ზღვის სანაპირო ზოლის ფორმირებაზე. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ თუ დამყარებული იქნება წონასწორობა (ბალანსი) ზღვაში ტრანსპორტირებულ და სანაპირო ზოლში აკუმულირებულ მყარ ნატანსა და ტალღური ზემოქმედების შედეგად სანაპიროს გარეცხვებს შორის, შენარჩუნდება ზღვის სანაპირო ზოლის მდგრადობა.

რაც შეეხება სანაპირო ზოლის დაცვას ნაპირსამაგრებით, რა თქმა უნდა, მისი გამოყენება აუცილებელია. აქედან გამომდინარე, მივდივართ დასკვნამდე, რომ ზღვის სანაპირო ზოლის დასაცავად საჭიროა კომპლექსური მიდგომა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სახის ჰიდროტექნიკური ნაგებობა დროთა განმავლობაში ბერდება და, ზოგ შემთხვევაში, მწყობრიდანაც გამოდის. ამიტომ საჭიროა დროულად განხორციელდეს მათი რეაბილიტაცია. სამწუხაროა, რომ შესაბამისი სამსახურები ვერ იყენებენ წყალგამყოფი კვანძის შესაძლებლობებს და ნაგებობის ფუნქციონირებას ვერ ახორციელებენ ტექნიკური რეკომენდაციების მიხედვით.

სამწუხაროა, რომ შესაბამისი სამსახურები ვერ იყენებენ წყალგამყოფი კვანძის შესაძლებლობებს და ნაგებობის ფუნქციონირებას არ ახორციელებენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში დამუშავებული ექსპლუატაციის წესების მიხედვით. შესაძლებელია ამის მიზეზი იყოს წყალგამყოფი კვანძის ტექნიკური ხარვეზები, რაც ჩვენი აზრით აღმოსაფხვრელია.


უნდა აღინიშნოს, რომ ფოთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების ყველა ზემოაღნიშნული ეკოლოგიური პრობლემა და ამ პრობლემების მოგვარების შესაძლებლობები აუცილებელია განიხილებოდეს ერთ კომპლექსში და ერთმანეთთან კავშირში. გამომდინარე აღნიშნულიდან, პალიასტომის ტბის ჰიდროლოგიური რეჟიმის დარეგულირებაში უნდა იგულისხმებოდეს ის, რომ ტბაში ჩამდინარე წყლებმა არ გამოიწვიოს მასში წყლის დონეების ისეთი მომატება, რაც გამოიწვევდა ტბის მიმდებარე ტერიტორიების დატბორვას.

პალიასტომის ტბა მდებარეობს მდინარე რიონის დელტის სამხრეთით. მასში ჩაედინება მდინარე პიჩორა და 25 პატარა მდინარე. პალიასტომის ტბა 1924 წლამდე იყო მტკნარი. პალიასტომის ტბიდან ჭარბი წყალი ზღვისკენ გაედინებოდა მდინარე კაპარჭინათი, რომელიც ტბის დასავლეთი ნაწილის პარალელურად გაუყვებოდა და მე-11 კილომეტრზე უერთდებოდა შავ ზღვას. წყალდიდობებისა და ინტენსიური წვიმების დროს მდინარე კაპარჭინას კალაპოტი ვერ ატარებდა ჭარბ წყალს და ხდებოდა მიმდებარე ტერიტორიების დატბორვა. იმის მაგივრად, რომ მოეხდინათ მდინარე კაპარჭინას კალაპოტის გაწმენდა-გაფართოება, გამოიყენეს მარტივი საშუალება და პალიასტომი შემაერთებელი არხით დაუკავშირეს ზღვას. რამდენიმე წლის შემდეგ კი მოხდა შემაერთებელი არხის გარეცხვა და მის ადგილზე შეიქმნა 1,5 კმ სიგრძის, 140 მ სიგანისა და 3-4 მ სიღრმის უბე. ამ არხის საშუალებით ძლიერი შტორმების შედეგად ზღვა იჭრებოდა და დღესაც იჭრება პალიასტომის ტბაში, საბოლოოდ ტბა გაჯერდა ზღვის წყლით და გახდა მარილიანი, რომელიც 12-13 პრომილეს აღწევს. ყოველივე ამის შედეგად განადგურდა ტბის ძვირფასი ჯიშის თევზები და 2500 ცენტნერი პროდუქციის მაგივრად გასული საუკუნეების 70-იან წლებში ის შემცირდა 40-50 ცენტნერამდე.

დღევანდელი მდგომარეობით პალიასტომში წყლის სარკის ზედაპირის დონეების ნიშნულების მატების გამო (რუკა 1) მდ. კაპარჭინას, რომლის კალაპოტი საჭიროებს გაწმენდასა და ჩაღრმავებას, აღარ შეუძლია ზედმეტი წყლის გატარება ზღვაში და კვლავ არსებობს ტბის მიმდებარე ტერიტორიების დატბორვის საშიშროება.

იმისათვის, რომ აღდგეს პალიასტომის ტბის ადრინდელი ჰიდრო-ეკოლოგიური რეჟიმი და ტბიდან ჭარბი წყლის ზღვაში გადინება, პირველ რიგში საჭიროა მდინარე კაპარჭინა დაუბრუნდეს ძველ კალაპოტს, განხორციელდეს მისი კალაპოტის გაწმენდა, გაგანიერება და ისეთი სახით ჩაღრმავება (უნდა შეიქმნას დამაკმაყოფილებელი ჰიდრავლიკური ქანობი), რომ პალიასტომიდან ჭარბი წყალი გაედინოს ზღვაში ძველი კალაპოტით. პარალელურ რეჟიმში

საჭიროა ზღვისა და პალიასტომის ტბის შემაერთებელი არხის ჩაკეტვა როგორც ზღვის, ისე ტბის მხრიდან.



რუკა 1. წყლის დონეების ნიშნულები პალიასტომის ტბაში და მის მიმდებარედ

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ეკოლოგიური პრობლემები მოითხოვენ სასწრაფოდ გადაჭრას. პრობლემების გადაჭრის თანმიმდევრული რეკომენდაციები ნაშრომში წარმოდგენილია დასკვნის სახით.

დასკვნა

- ქ. ფოთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების ეკოლოგიური უსაფრთხოების დასაცავად და, პირველ რიგში, მისი დატბორვისაგან დასაცავად, აუცილებელია მდინარე რიონზე, ქალაქიდან მე-7 კმ-ზე არსებული წყალგამყოფი კვანძის მაქსიმალურად გამოყენება, ამისათვის კი აუცილებელია ბოლომდე იქნეს მიყვანილი წყალგამყოფი კვანძის სარეაბილიტაციო სამუშაოები - ნაგებობის მდგომარეობის რეაბილიტაცია და სამხრეთის შტოს კალაპოტის გაწმენდა - 400-450 მ³/წმ წყლის ხარჯის გატარებით;

- წყალგამყოფი კვანძის ფუნქციონირება უნდა განხორციელდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში დამუშავებული ექსპლუატაციის წესების (2010 წ.) მკაცრი დაცვით;
- ზღვის სანაპირო ზოლის დაცვა ტალღური ზემოქმედებისაგან უნდა განხორციელდეს კომპლექსურად, რაც გულისხმობს ნაპირდამცავი ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოწყობას პლიუს წყალგამყოფი კვანძის ისეთი სახით ექსპლუატაცია, რომ პორტის (ნაპირის) მიმართულებით შემცირდეს მყარი ნატანის შეტანა, ხოლო სამხრეთი შტოს (არხი) საშუალებით ზღვაში შეტანილი იქნას მეტი მყარი ნატანი, რაც მხოლოდ წყალგამყოფი კვანძის ექსპლუატაციის წესების დაცვითაა შესაძლებელი;
- პალიასტომის ტბის ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა და მასში ძველი ჰიდროლოგიური რეჟიმის აღდგენისათვის საჭიროა, რომ ტბიდან წყლის გადინება ზღვაში განხორციელდეს მაქსიმალურად დაუბრკოლებლად, რათა არ მოხდეს პალიასტომის მიმდებარე ტერიტორიების დატბორვა. ამისათვის საჭიროა განხორციელდეს მდინარე კაპარჭინას გაწმენდა-გაფართოება და მისი დაბრუნება ძველ კალაპოტში. აუცილებელია პალიასტომის ტბის შავ ზღვასთან შემაერთებელი არხი გადაიკეტოს ორივე მხრიდან. ყოველივე ზემოაღნიშნული საშუალებას მოგვცემს პალიასტომის ტბას დაუბრუნოთ ძველი ჰიდროლოგიური რეჟიმი, თავიდან ავიცილოთ მიმდებარე ტერიტორიების დატბორვა და დროთა განმავლობაში ის ისევ გადავაქციოთ მტკნარ ტბად.

ცხრილი

ქ. ფოთიდან მე-7 კმ-ზე მდინარე რიონზე არსებული წყალგამყოფი კვანძის დროებითი ექსპლუატაციის სქემა

№	მდინარეში წყლის ხარჯი, მ³/წმ	წყლის ხარჯი, მ³/წმ		წყლის დონის შესაბამისი ნიშნულები		კაშხალი		რეგულატორი	
		წყლის ხარჯი, მ³/წმ	კაშხალზე რეგულატორში	კაშხლის ზედა ბიუფში, ლარტყა #1	რეგულატორი ქვედა ბიუფში, ლარტყა #2	წყლის გაშვების სახე	გაბანილი მალის რაოდენობა	მთლიანად რაკეტული მალის რაოდენობა	მთლიანად გაბანილი მალის რაოდენობა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	<300	30	100-200	1.34	1.29	მალეები	1 (4)	2 (1,20)	18
2	300	70	250	1.34	1.29	რაკეტულია	1 (5)	2 (1,20)	18
3	400	100	300	1.34	1.29	ფარეკელ	2 (5,6)	2 (1,20)	18
4	500	200	300	1.34	1.29	გამოშვება	4 (4,5,6,7)	2 (1,20)	18
5	600	300	300	1.34	1.29	"-----"	6 (3,4,5,6,7,8)	2 (1,20)	18
6	800	500	300	1.34	1.29	"-----"	9 (1,2,3,4,5,6,7,8,9)	2 (1,20)	18
7	1000	700	300	1.34	1.29	"-----"	10 (1,2,3,4,5,6,7,8,9,10)	2 (1,20)	18
8	1100	800	300	1.34	1.29	მალეები	10	2 (1,20)	18
9	1500	1200	300	1.74	1.29	გაბანილია მთლიანად		8 (1,2,5,9,13,17,19,20)	12 (3,4,6,7,8,10,11,12,14,15,16,18)
10	2000	1700	300	2.04	1.29	"-----"	10	11 (1,2,4,6,8,10,12,14,16,18,20)	9 (3,5,7,9,11,13,14,17,19)
11	2500	2200	300	2.24	1.29	"-----"	10	12 (1,2,5,7,9,10,11,13,15,17,19,20)	8 (3,4,6,8,12,14,16,18)
12	3000	2700	300	2.74	1.29	"-----"	10	14 (1,2,3,5,7,9,10,11,13,15,17,18,19,20)	6 (4,6,8,12,14,16)

შენიშვნები: 1. ნიშნულები ადრეულია ბალტიის ზღვის სისტემაში (1947 წ.). 2. მდინარეში 3000 მ³/წმ-ში მეტი ხარჯის შემთხვევაში უნდა შენარჩუნდეს მე-12 პოზიცია, ხოლო ქალაქის არხში შესაძლებელია გატარდეს ფორსირებული 400-450 მ³/წმ-ში წყლის ხარჯი შეზღუდული დროის (4-5 სთ) განმავლობაში - ზღვის მტკნორში მოვლენის აუცილებელი გათვალისწინებით

ლიტერატურა

1. რ. დიაკონიძე, პ. სიჭინავა, გ. ჩახაია, ლ. წულუკიძე - ქ. ფოთთან მდ. რიონზე არსებული წყალგამყოფი კვანძის თანამედროვე ტექნიკური მდგომარეობის შეფასება. ჟურნ. მეცნიერება და ტექნოლოგიები. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო-რეფერირებული ჟურნალი #7-9, 2010. გვ. 49-55.
2. რ. დიაკონიძე, პ. სიჭინავა, გ. ჩახაია, ლ. წულუკიძე - ქ. ფოთიდან მე - 7 კილომეტრზე მდ. რიონზე არსებული წყალგამყოფი კვანძის ექსპლუატაციის დროებითი რეკომენდაციები. მეცნიერება და ტექნოლოგიები. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო-რეფერირებული ჟურნალი #10-12, 2010. გვ. 71 - 76.
3. <https://ka.wikipedia.org/wiki/პალიასტომი>.

ASSESSMENT OF CONTEMPORARY HYDROLOGICAL CONDITION OF MINGACHEVIR RESERVOIR

Imanov F., Ismayilov R.

"Azersu" Open Joint Stock Company "Sukanal"

Scientific-Research and Design Institute

Moscow av. 73, AZ1012, Baku, Azerbaijan

E-mail: farda_imanov@mail.ru; rashail.ismayilov@gmail.com

INTRODUCTION

In modern conditions, the problem of water resources is one of the main factors affecting the stable development of countries. In spite of the sufficient amount of water resources on Earth, these resources are distributed unequally on territories. The shortage of water sources has become a serious problem in immense areas.

Reservoirs are important water sources in many countries around the world as well as in Azerbaijan. The water is stored in the reservoir is used for irrigation, hydr-power or as a water source for domestic or industry use in Azerbaijan. A reservoir is fed by precipitation, rainwater runoff or from a constant flow of a rivers. An important aspect of water resources development projects is planning and operation of reservoirs which are the most important component of a water resources.

The Mingachevir reservoir is a large reservoir in northwestern Azerbaijan. It is the largest reservoir in the Caucasus. The overall water volume at normal filling level of water reservoir (at the absolute altitude of 85 m) is 15.73 km³, while its useful volume is 8.21 km³. The length of the water reservoir along the river is 70 km, and its width ranges between 3 km (at the dam) to 18 km. Maximum depth of the reservoir is 75 meter, average depth is 26 meter, the length of the coast line is 247 km, and the volume of water area is 605 km². The length of Mingachevir water reservoir dam from the upside is 1550 m, width - 16 m, the altitude is 80 m. The largest hydroelectric power station of Azerbaijan is located on the reservoir.

MAIN PART

Mingachevir water reservoir was put into operation over the middle flow of Kura River in 1953 (Fig.1).



Figure 1. Map of Mingachevir reservoir

Average annual air temperature in the area where Mingachevir water reservoir is located, ranges between 11.8-13.4° C. The coldest month of the year is January. In this month, the average monthly air temperature is 0.3-0.08° C. During the hottest months (July-August), the average monthly temperature is 23-24° C and even more. The absolute maximum air temperature reaches 41-44° C, and the minimum temperature is up to -20-30° C (Khalilov, 2003).

The amount of atmospheric precipitation varies between 240 and 400 mm. Rainfall is distributed unevenly throughout the year, with the majority (67%) falling in the warm, while some (33%) fall during the cold season. The precipitation predominantly falls in the form of rain. No stable snow cover is observed in the region during the winter months. The duration of snow cover is 10-15 days (during January-February months) in separate years (Mammadov, 2012; Khalilov, 2003).

The climatic conditions and geological-lithological structure of Mingachevir reservoir area are not favorable for groundwater formation. Groundwater was not found in the wells drilled to monitor the hydrodynamic parameters of groundwater in the area and with the depth of 30 to 50 m. Groundwater were only found in the depth of 35 to 40 meter along the coastline of water reservoir.

Two main channels were constructed from Mingachevir reservoir:

1. Upper Karabakh channel (172 km, with capacity of $113 \text{ m}^3 \text{ s}^{-1}$);
2. Upper Shirvan channel (123 km, with capacity of $78 \text{ m}^3 \text{ s}^{-1}$).

Through those 2 channels, 212 thousand ha land area that is located downside Mingachevir water reservoir is irrigated. Furthermore, additional land areas are irrigated in Mughan and Mil plains in summer months by providing $25 \text{ m}^3/\text{s}$ to Aras River (Bahramtapa hydro-function) through Upper Karabakh canal (Ahmadzade and Hashimov, 2006).

Canals and collectors in the downstream part of Kura-Aras plain from Mingachevir water reservoir are presented in Figure 2.




Figure 2. Map chart of main canals and collectors in the Kura-Araz Lowland

The range of changing at water level in water reservoir is 0,003-6,43 m. This range is characterized by the greatest values during spring floods (April-June months). The range constitutes 0,003-2,00 m within the remaining months of the year (Mammadov, 2012; Khalilov, 2003).

Increase of water level in the reservoir is usually observed for 5 months (March-July). The highest level occurs in July. Increase in water level in spring and summer is associated with increased flow of the Kura, Gabirry and Ganikh rivers and precipitation on the surface of the reservoir. Starting from August, the water level drops. During the period of January-March, the level is slightly different. Decrease of water level

in autumn and winter seasons is connected with withdrawal of irrigation from the reservoir for the irrigation purposes on the one hand and for electricity production on the other.

According to the data from monitoring conducted over the Mingachevir reservoir level (1977-2018), the water level in the reservoir for average perennial period has been decreasing over the years (Figure 3).




Figure 3. Long-term changes of water level in Mingachevir reservoir

The average perennial water level in 1977-2018 was 75,75 m. During those years, the highest maximum level was 80,45 m in 1984; and the minimum level was observed as 68,95 m in 2002. The chart of relations between the water level and its volume in Mingachevir water reservoir is provided in Figure 4.




Figure 4. Relationship between water level and volume in Mingachevir reservoir (1977-2018)

Mingachevir water reservoir is also used for fishery, water supply and recreation purposes. A hydro power plant consisting of 6 hydro facilities with total capacity of 371 thousand Kw was constructed over the dam of reservoir. Once the reservoir was commissioned, it was only filled up to full volume in 1959, 1963, 1968, 1973, 1975, 1976, 1978, 1988 and 2010.

Kura River flow in Mingachevir water reservoir is regulated during perennial period.

In order to develop the water balance of Mingachevir water reservoir, data from hydrological and meteorological observation points of National Hydro-meteorology Department under the Ministry of Ecology and Natural Resources has been used.

**ASSESSMENT OF CONTEMPORARY HYDROLOGICAL CONDITION
OF MINGACHEVIR RESERVOIR**

For certain period of time, the formula of water balance of water reservoir may be expressed as follows:

$$P + RI - RO - EP = \pm \Delta W \quad (1)$$

Where, P – atmospheric precipitation falling on the surface of water reservoir; RI –river flow into water reservoir; RO –river flow out of the reservoir; EP –evaporation out of the surface of reservoir; $\pm \Delta W$ - change in water volume.

More than 90% of incoming part of water balance of Mingachevir reservoir consists of river water, while up to 90% of outgoing part belongs to water discharged to below Mingachevir dam.

The balances of the reservoir for periods (1953-1966 and 1977-2018) are given in Table 1 and Table 2.

Table 1

**Water balance of Mingachevir reservoir for different periods
1953-1966, km³ (Tarverdiev, 1974)**

Observation period	Inflow		Outflow		$\pm \Delta W$
	flow	Precipitation	Flow	Evaporation	
1953-1966	12,08	0,10	11,23	0,36	+0,59

Table 2

**Water balance of Mingachevir reservoir for different periods
1977-2018, km³**

Observation period	Inflow		Outflow		$\pm \Delta W$
	Flow	Precipitation	Flow	Evaporation	
1977-2018	11,55	0,22	11,08	0,58	+0, 11

Based on the data for the years 1977-2018, the years of observation for minimum, maximum and average water level in the reservoir were determined and the water balance was calculated for these years (Table 3). The evaporation and precipitation data were taken from existing stock and archive materials.

Table 3

Water balance of Mingachevir reservoir for different years, km³

Characteristic of years	Year of observation	Water level, m	Volume	Inflow		Outflow		$\pm \Delta W$
				Flow	Precipitation	Flow	Evaporation	
Maximum	1984	80,45	14,24	8,19	0,20	15,55	0,58	-7,74
Minimum	2002	68,95	8,463	12,9	0,18	8,17	0,58	+4,33
Medium	2009	75,75	11,70	12,57	0,26	10,42	0,58	+1,83

Usually, due to the floods in the rivers flowing to water reservoir in spring and summer seasons, water transparency is decreased in the reservoir. However, during winter time, transparency increases and reaches the maximum level.

Coasts and the bottom relief of Mingachevir reservoir are exposed to more intensive changes. Those processes start upon filling of pit of the reservoir with water. As a result of fluctuations, the coats start to collapse, erosion of the reservoir ravines intensifies and abrasive materials are sorted and accumulated along the coastal area. The water level disturbance determines the soaking of abrasive coast, the width of flooded coastline and the area of vertical impact from the waves in coastal zone (Tarverdiev, 1974).

As there were no studies carried out over the sediments balance of Mingachevir reservoir for recent years, the assessment has been conducted based on materials of previous years. Before the construction of Mingachevir reservoir, the amount of suspended particles (deposits) in Mingachevir hydrological Point of Kura River was 889 kg/s or 28 mln. on/year (Table 4).

Table 4

Average monthly and average annual water discharge (Q , m^3 / s), discharges of suspended sediments (R , kg / s) and turbidity (ρ , q / m^3) for Kura Mingachevir monitoring station, (1936-1952)

Hydrological elements	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	Average annual
Q	217	323	318	748	1048	771	376	224	241	314	313	239	420
ρ	415	410	849	2727	3531	2853	1862	1473	1494	1720	767	418	2117
R	90	95	270	2040	3700	2200	700	330	360	540	240	100	889
%	0,8	0,9	2,5	19,1	34,7	20,6	6,6	3,1	3,4	5,1	2,3	0,9	100

The amount of bottom deposits has been accepted as the ratio of 10% of suspended deposits flow and thus, prior to the construction of Mingachevir reservoir, abstraction of total deposits in Kura, Ganikh and Gabirry rivers was 978 kg/s (30,8 mln. ton) (Tarverdiev, 1974).

In first years after the reservoirs were filled up, the volume of total deposits in Kura, Ganikh (Alazani) and Gabirry (Iori) rivers was 7,6 mln.ton.

In 1982, Shamkir water reservoir with total capacity of $2,68km^3$ was constructed 18 km upside from Mingachevir reservoir. The average annual abstraction of suspended deposits in the part of Kura River falling to Shamkir water reservoir area (the point of Khuluf) were 462 kg/s (14,6 mln.ton) for years 1950-1981 (Khalilov, 2003).

General information regarding the balance of deposits entered into Mingachevir reservoir after the commissioning of Shamkir reservoir (after 1982) and siltation of reservoir is provided in Table 5.

Table 5

**Sedimentation balance of the Mingachevir reservoir
(After 1982)**

Total volume of sediments, mln.ton	River sediments			Coastal erosion	Washing slopes	Sedimentation period, year	
	Suspended sediments, mln.ton	Sediments rolled to the bottom, mln.ton	Total, mln.ton	Volume, mln.ton	Volume, mln.ton	50%-i	Whole
10,66	7,9	0,8	8,7	1,62	0,343	350	600

After the construction of Shamkir reservoir (1982), the deposits flow of Kura River is settled and transparent water is entered to Mingachevir reservoir. The amount of Kura River deposits flow between those two reservoirs (a distance of 18 km) depends on the erosion on the river-bed. However, one more reservoirs – Yenikand reservoir was constructed in 2000. Currently, the process of flushing of the river-bed in the area from the Yenikand reservoir to the Mingachevir reservoir happens only in 4 km distance.

Commissioning of the Mingachevir reservoir (1953) has led to considerable water transparency in the river mouth. Thus, during the first decade of commissioning of the Mingachevir reservoir (1953-1963), the average annual abstraction of suspended particles in the Salyan Point of Kura River was reduced by 50% and consisted of 670 kg/s.

CONCLUSION

A large number of reservoirs have been built in the Kura River basin, the operation of which inevitably impacts on natural runoff. It is important to quantify the impacts of a cascade reservoir group operation on the hydrological regime in the downstream Kura River. Dams have important impact on hydrological regime of Kura river, primarily through changes in magnitude, timing and frequency of flow. According to the data from monitoring conducted over the Mingachevir reservoir level, the water level in the reservoir has been decreasing. Main part of income of water and sedimentation balance of Mingachevir reservoir consists of rivers water and sediments.

REFERENCES

1. Ahmadzadeh A.J., Hashimov A.J. Cadaster of amelioration and water economy systems. Baku, 2006, 272 p.
2. Khalilov Sh.B. Azerbaijan reservoirs and their environmental problems. Baku, 2003, 310 p.
3. Mammadov M.A. Hydrography of Azerbaijan. Baku, 2012, 253 p.
4. Tarverdiev R.B. Sedimentation of the Mingachevir reservoir. Baku, 1974, 155 p.

მთის წყალსაცავებისა და მათი კასკადების ენერგორესურსების გამოყენების ეფექტურობა

ი. იორდანიშვილი, კ. იორდანიშვილი, ე. ხოსროშვილი,
გ. ნატროშვილი, დ. ფოცხვერია, ლ. ბილანიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის
წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი

ი. ჭავჭავაძის გამზ. 60^ა, 0179, ქ. თბილისი, საქართველო

E-mail: irinaord48@mail.ru

შესავალი

ქვეყნების ეკონომიკის განვითარებამ განაპირობა წყლის მოხმარების ზრდა. ამავ დროს, წყალსაცავები - წყლის რესურსების მართვის ყველაზე ეფექტური მეთოდია. წყლის რესურსების გამოყენების გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ იმ ტერიტორიის რეგიონალური მახასიათებლების სპეციფიკა. ამ პრობლემის აქტუალობა მთისწინეთისა და მთის ზონების პირობებში განისაზღვრება შემდეგი მიზეზებით:

- ვაკის ტერიტორიებზე წყლის საშუალო წლიური ჩამონადენი აუზის 1,0 კმ²-დან არ აღემატება 200-300 ათ მ³-ს, მაღალმთიან რეგიონებში - 350-500 ათ მ³-ს; ვაკის წყალსაცავების ამ მაჩვენებლების უზრუნველსაყოფად - 1,0 მ დაწნევაზე საჭიროა მიწის რესურსების დანაკარგები 142,0 კმ²-მდე, ხოლო წყლის აკუმულაციის 1,0 მ³ - მიწის რესურსების 138,0 კმ²-მდე.
- მაღალმთიანი წყალსაცავების გამოყენებისას 1,0 მ-ის დაწნევის უზრუნველსაყოფად საჭიროა მიწის რესურსების დანაკარგები 0.16 კმ² -მდე, ხოლო წყლის აკუმულაციის 1,0 კმ³-ის უზრუნველსაყოფად - 35,0 კმ²-მდე.

ძირითადი ნაწილი

საქართველოს მთისა და მთისწინეთის რეგიონების წყლის რესურსების ეფექტური გამოყენება დამოკიდებულია ორ მთავარ ფაქტორზე - მდინარის ქსელის ხშირ განშტოებასა და რელიეფის ჰიპსომეტრული სიმაღლეების განსხვავებაზე. ეს ფაქტორები განსაზღვრავენ: ელექტროენერგიის წარმოების ზრდას, ტერიტორიების გაწყლოვანებას სარწყავი არხებით, ტურიზმისა და რეკრეაციის განვითარებას. საქართველოში მთის წყალსაცავების აგება განპირობებულია მდინარის კალაპოტის მნიშვნელოვანი დახრილობით, წყალსაცავების დიდი სიღრმით, ფერდობების შემადგენელი ქანების მაღალი სიმტკიცითა და წყალგაუმტარობით, დატბორვის მცირე მაჩვენებლებით და, როგორც წესი, გარემოზე მცირე უარყოფითი გავლენით.

საქართველოს მდინარეების ფონდი წყლის მოხმარების მთავარი წყაროა. საქართველოში 26 060 მდინარეა, რომელთა ძირითადი მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში 1, 2 [Иорданишвили И. К. და სხვ., 2018].

ცხრილი 1

საქართველოს მდინარეთა ძირითადი მაჩვენებლები


ტერიტ. ფართობი, ათ კმ²	მდინარეთა რაოდენობა (მრიცხველი), სიგრძე (მნიშვნელი), კმ					მდინარე თა ქსელის სიხშირე, კმ/კმ²
	ძალიან პატარა, $L \leq 25$ კმ	პატარა, $L \geq 26 \div 100$ კმ	საშუალო, $L = 100 \div 500$ კ მ	მსხვილი, $L > 500$ კ მ	სულ	
აღმოსავლეთ საქართველო						
37 214	$\frac{8869}{19544}$	$\frac{77}{3\,020}$	$\frac{4}{971}$	$\frac{1}{513}$	$\frac{7951}{23925}$	1,14
დასავლეთ საქართველო						
32 434	$\frac{18036}{30946}$	$\frac{64}{2\,723}$	$\frac{9}{1373}$	—	$\frac{18109}{35042}$	1,07
					26060	
სულ					58967	

ცხრილი 2

წყლის მარაგი საქართველოს მდინარეებში

რეგიონი	რეგიონის ფართობი, ათ. კმ ²	წყალშემკრების ფართობი, კმ ²	ყოველწლიური საშუალო ადგილობრივი ჩამონადენი, კმ ³	ყოველწლიური საშუალო ჩამონადენი მეზობელი ტერიტორიები- დან, კმ ³	ყოველწლიური საშუალო საერთო ჩამონადენი, კმ ³	%
აღმოსავლეთ საქართველო	37,28	46,66	12,64	2,07	14,70	22,3
დასავლეთ საქართველო	32,42	52,60	43,60	7,44	51,13	77,7
სულ					65,84	100

საქართველოს ტერიტორიაზე სულ 51 წყალსაცავია, რომელთაგან ფუნქციონირებს 36. ძირითადი წყალსაცავების განლაგება მოყვანილია ნახ. 1-ზე.



ნახ. 1. საქართველოს წყალსაცავების ადგილმდებარეობის სქემა
(სრული მოცულობით >1 მლნ მ³)

სხვადასხვა ტიპის წყალსაცავების რაოდენობრივი საშუალო მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში 3 [Варазашвили Н.Г., Гобечия Г. Н., 1996].

ცხრილი 3


წყალსაცავების ძირითადი მაჩვენებლები

№	ძირითადი მაჩვენებლები	აღნიშვნა	განზ.ერთ.	რაოდენობრივი მაჩვენებლები		
				ვაკის წყალსაცავები	მთისწინეთის წყალსაცავები	მთის წყალსაცავები
1	რელიეფის მაჩვენებელი	“a”		1.0 ÷ 0.6	0.6 ÷ 0.29	0.29 ÷ 0.1
2	მორფომეტრიული მაჩვენებელი	H/F		$9 \cdot 10^{-9} \div 2 \cdot 10^{-7}$	$9 \cdot 10^{-7} \div 2 \cdot 10^{-5}$	$9 \cdot 10^{-4} \div 2 \cdot 10^{-3}$
3	წყლის დონის მერყეობის ამპლიტუდა	A	მ	> 6	6 ÷ 20	> 20
4	მოცულობის გამოყენება	$V_{სრ}/V$		0.4 ÷ 0.6	0.5 ÷ 0.7	0 ÷ 0.95
5	მოცულობის ნამატი დაწნევაზე	$V_{სრ}/H$	მლნ მ³/მ	500 ÷ 2000	50 ÷ 500	1.0 ÷ 50.0
6	მოცულობისა და სარკის ფართობის თანაფარდობა	$V_{სრ}/F$	მლნ მ³/კმ²	5 ÷ 15	20 ÷ 50	50 ÷ 120
7	დატბორვის ფართობის და სასარგებლო მოცულობის თანაფარდობა	$S_{დატ}/V_{სრ}$	კმ²/მლნ მ³	120 ÷ 150	50 ÷ 110	25 ÷ 46
8	დატბორვის ფართობი 1.0 მ დაწნევაზე	$S_{დატ}/H$	კმ²/მ	65 ÷ 250	3 ÷ 50	0.08 ÷ 0.25
9	დატბორილი ფართობის და სარწყავი ფართობების ნამატის თანაფარდობა	$S_{დატ}/S_{სარწყ}$		0.024	0.025 ÷ 0.1	0.46 ÷ 0.90

ი. იორდანიშვილი, კ. იორდანიშვილი, ე. ხოსროშვილი,
გ. ნატროშვილი, დ. ფოცხვერია, ლ. ბილანიშვილი

10	ელექტროენერგიის გამო- მუშავება წყლის მოცულო- ბის ერთეულზე	$W/V_{\text{სრ}}$	კვტ სთ/მ ³	$0.115 \div 0.65$	$0.60 \div 0.80$	$0.80 \div 2.90$
11	ელექტროენერგიის გამო- მუშავება დატბორილი ფართობის ერთეულზე	$W/S_{\text{დატ.}}$	მლრდ კვტ სთ/კმ ²	$0.50 \div 0.65$	$0.65 \div 0.80$	$0.80 \div 1.80$
12	წყალმარჩხი ფართობის პროცენტი წყლის სარკის საერთო ფართობიდან ნმდ-ზე	$F_{\text{წყალმ}}$	%%	$15 \div 20$	$6 \div 10$	$4 \div 6$

სხვადასხვა ტიპის წყალსაცავისათვის მთიანობის კოეფიციენტის მნიშვნელობა (a) მე-3 ცხრილში გამოითვლება ფორმულით $V_{\text{სრ}} = K_w \cdot H^a$, სადაც $V_{\text{სრ}}$ არის წყალსაცავის სრული მოცულობის მნიშვნელობა, K_w - წყალსაცავის მოცულობის კოეფიციენტი (მთის წყალსაცავებისთვის $K_w = 1,8 \div 2,7$), H - წყალსაცავის სიღრმე (ნახ. 2).



ნახ. 2. წყალსაცავების სრული მოცულობის ($V_{\text{სრ}}$), სიღრმის (H), მთიანობის კოეფიციენტის (a) და მოცულობის კოეფიციენტის (K_w) დამოკიდებულება.

1 - ვაკის წყალსაცავების მოცულობის მრუდი ($a=0,76$; $K_w=3,2$); 2 - იგივე მთისწინეთის წყალსაცავების ($a=1,8$; $K_w=0,37$); 3 - იგივე მთის წყალსაცავების ($a=0,27$; $K_w=2,32$); 4 - იგივე მაღალმთიანი წყალსაცავების ($a=0,176$; $K_w=2,7$); ხაზების - $a = \log V_{\text{სრ}} / \log H = \text{tg} \alpha$ - დახრილობის კუთხის ტანგენსია, $\lg K_w$ - ღერძზე ($\lg V_{\text{სრ}}$) მონაკვეთი

საქართველოში მელიორაციის განვითარების დასაწყისი თარიღდება ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნით. იმის გამო, რომ მდინარეების ჩამონადენი პრაქტიკულად აკმაყოფილებდა მცირე მეურნეობების საჭიროებებს, წყალსაცავები საქართველოში არ შენდებოდა. სოფლის მეურნეობის შემდგომმა განვითარებამ (XIX საუკუნიდან) მოითხოვა მორწყვისთვის მაღალი ნიშნულების უზრუნველყოფა და, შესაბამისად, ბუნებრივი ჩამონადენის ხელოვნური რეგულირება. პირველი წყალსაცავი საქართველოში (ჯანდარის) აგებულია 1862 წელს. წყალსაცავების მშენებლობის თანამედროვე ეტაპი დაიწყო მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. გასული საუკუნის 90-იანი წლებისთვის, საქართველოს წყალსაცავებში წყლის საერთო

მოცულობაა 3,482 კმ³ და მეოთხე ადგილს იკავებს საქართველოს წყლის მარაგის ყველა კომპონენტს შორის (ცხრ. 4).

ცხრილი 4

საქართველოს წყლის მარაგის კომპონენტები

№	წყლის მარაგის მაჩვენებლები	წყლის მოცულობა, კმ³			
		აღმოსავლეთ საქართველო	დასავლეთ საქართველო	სულ	სულ %
1	მდინარეები	14.7	51.13	65.84	61.83
2	მყინვარები	5.08	18.74	23.82	22.37
3	მიწისქვეშა წყლები	6.4	4.2	10.6	9.96
4	წყალსაცავები	1.9929	1.4891	3.482	3.23
5	ჭაობები	-	1.86	1.86	1.75
6	ტბები	0.422	0.30	0.72	0.69
7	მინერალური წყლები	0.001	0.01	0.101	0.09
8	თერმული წყლები	0.04	0.02	0.06	0.06
	სულ	28.64	77.84	106.48	100

მთის მდინარეებზე მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურების აგება ყველაზე ეფექტური მეთოდია, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას. საქართველოში 320-მდე მდინარეა, რომელთაც აქვთ მნიშვნელოვანი სხვაობა სათავის და შესართავის ნიშნულებს შორის და მათი გამოყენება შესაძლებელია ჰიდროენერგეტიკის მიზნით.

საქართველოს მდინარეების ჰიდროპოტენციური (შესაძლო) სიმძლავრე 25.0 მლნ კვტ-ს შეადგენს, რაც შეესაბამება პოტენციურ ჰიდროელექტრო-გამომუშავებას 220,0 მლრდ კვტსტ წელიწადში. 2020 წლისათვის საქართველო წელიწადში მხოლოდ 9.691 მლრდ კვტსტ ჰიდროელექტროენერგიას აწარმოებს და იგი ჰიდროენერგეტიკის პოტენციური ჰიდროელექტროენერგიის გამომუშავების მხოლოდ 4,5%-ს შეადგენს, ცხრ. 5.

ცხრილი 5

საქართველოში ელექტროენერგიის ფაქტიური გამომუშავების მონაცემები (2020 წლის)

ელექტროენერგიის ჯამური გამოყენება, მლრდ კვტსტ წელიწადში	ადგილობრივი გამომუშა- ვებული ჰიდროელექტრო ენერგია, მლრდ კვტსტ წელიწადში	ელექტროენერგიის იმპორტი, მლრდ კვტსტ წელიწადში	ადგილობრივი ალტერნატიული ელექტროენერგია, მლრდ კვტსტ წელიწადში
13,191	9.691	2,0	1.5

საქართველოში ქარისმიერი პოტენციური (შესაძლო) ენერგიის მნიშვნელობა შეფასებულია 130,0 მლრდ კვტ სთ/წელიწადში [Сванидзе Г.Г., Гагуа В. П., Сухишвили Э. В. 1987]. საქართველოს ტერიტორიაზე ამჟამად 6 ქარის ელექტროსადგურია, რომელთა საერთო სიმძლავრე 18,0 მლნ კვტ-ია. მათი მუშაობისათვის საჭიროა სულ მცირე 4-6 მ/წმ სიჩქარის ქარები (10,0 მ სიმაღლეზე) და თავისუფალი ტერიტორიები. ამასთან, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს გარემოზე არასასურველი ზემოქმედება, ესენია: ხმაურის ეფექტები

(20 ჰვ-მდე); ჰაერის ეკრანიზებული ეფექტები, რომლებიც ცვლის ტერიტორიის ქარის სიტუაციას; სატელევიზიო მაუწყებლობის გაუარესება; ფრინველების გადაფრენის ტრასებზე ზემოქმედება; ტურბინების ფრთების მოწყვეტა; ქარის ელექტროსადგურის ცვალებადი რეჟიმით მუშაობა ქარის სიძლიერისა და მიმართულების დიდი ცვალებადობის გამო; მნიშვნელოვანი ტერიტორიების გამოყოფა ქარის ელექტროსადგურებისათვის; ქარისმიერი ეროზიის გააქტიურება. ამჟამად საქართველოში ქარის ელექტროსადგურების აგება არ არის აუცილებელი.

საქართველოში თბოელექტროსადგურები უარყოფით გავლენას ახდენენ ბუნებრივი გარემოს მთელ რიგ ელემენტებზე: სახნავ-სათესებზე (ტერიტორიის დაბინძურება); წყლის აუზებზე (წყლის ტემპერატურის ცვლილება); ბინძურდება ატმოსფერო და ბიოსფერო (მაგნი აირები და მტვერი, საწვავის ნარჩენები და წიდა). თბოელექტროსადგურების ექსპლუატაციისას ატმოსფეროს დაბინძურების გამო მაგნი ნივთიერებების კონცენტრაცია ატმოსფეროში ქ. რუსთავსა და გარდაბანში მაქსიმალურ დასაშვებ კონცენტრაციაზე 4-12-ჯერ მეტია. საწვავის წვისა და ატმოსფეროს გასუფთავების ახალი ტექნოლოგიების დანერგვის მიუხედავად თბოელექტროსადგურების მშენებლობა და გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება უახლოეს მომავალში - არ არის შესაძლებელი (ცხრ.6).

საქართველოში მზის ენერგიის გამოყენება არახელსაყრელია მზის დანადგარებით: მნიშვნელოვანი ტერიტორიების დაჩრდილვით, ჰაერისა და წყლის დათბობით, ქარის მიმართულებების ცვლილებებით, სამშენებლო მასალების დიდი მოცულობის მოთხოვნით და ა. შ. საქართველოში მზის ელექტროენერგიის გამოყენება ჯერ ადგილობრივი ხასიათისაა და საექვოა რომ განვითარდეს. თუმცა, ამჟამად დგას საკითხი 50 მლნ ვტ სიმძლავრის მზის ელექტროსადგურის მშენებლობის, ცხრ. 6.

ელექტროენერგიის მიღება შესაძლებელია დერივაციისა და მცირე სარწყავი არხების გამოყენებითაც. საქართველოს მაგისტრალური არხების პოტენციური წლიური ენერგეტიკული შესაძლებლობა აღწევს 142,783 მლნ კვტს წელიწადში. ასეთი მცირე ჰიდროელექტროსადგურების ზეგავლენა გარემოზე უმნიშვნელოა (ცხრ 6).

ცხრილი 6

ელექტროენერგიის სხვადასხვა წყაროს გამოყენების რისკ-ფაქტორები

ენერგიის წყაროს სახეობები	შესაძლო რისკ-ფაქტორები
თბური ელექტროსადგურები	ატმოსფეროს და წყალთა მეურნეობის ობიექტების დაბინძურება
მზის ელექტროსადგურები	ელექტრომოწყობილობების ავარიები მათი შესაძლო გადახურებისა და ანთებადობის გამო
ქარის ელექტროსადგურები	ტურბინების ფრთების მოწყვეტის რისკი და მათი 800,0 მ-დე გადაადგება ძლიერი ქარის დროს
ელექტროსადგურები ირიგაციულ სისტემებზე	-
ჰიდროელექტროსადგურები	კაშხლების ნგრევა გარღვევის ტალღებით

წყალსაცავების კასკადებზე ჰიდროელექტროსადგურების შექმნისას ყალიბდება ენერგეტიკული კავშირები. ამ შემთხვევაში, ზედა წყალსაცავი ზრდის ელექტროენერგიის გარანტირებულ სიმძლავრეს და გამომუშავებას არა მხოლოდ ამ ჰიდროელექტროსადგურის, არამედ კასკადის ქვედა საფეხურებზეც კი. ყოველივე ზემოთქმულიდან დგინდება, რომ მდინარის ზედა ნაწილში მარეგულირებელი წყალსაცავებისა და მათი კასკადების შექმნა ენერგიულად მიზანშეწონილი და ეკოლოგიურად მორგებულია. წყალსაცავებზე კასკადების

მშენებლობა ითვლება წყალთა მეურნეობის განვითარების კანონზომიერ პროცესად. მაღალმთიან რეგიონებში შექმნილი კასკადის ტიპური მაგალითია მდ. რაზდანზე (სომხეთი) აგებული ჰიდროელექტროსადგურების სევან-რაზდანის კასკადი. იგი მოიცავს 9 ჰიდროელექტროსადგურს, რომელთა საერთო სიმძლავრეა 900 მგვტ, კასკადზე მოქმედებს 17 სარწყავი არხი, რომლებიც რწყავენ 100 000 ჰა მიწის ნაკვეთს. ამ კასკადის ეკოლოგიური პრობლემა მხოლოდ სევანის ტბაში წყლის დონის შემცირება და მდ. რაზდანის ჰიდროლოგიური რეჟიმის შეცვლაა. წყალსაცავების კასკადების აგების პრაქტიკა ფართოდ გამოიყენება მთელ მსოფლიოში (ცხრ. 7).


ცხრილი 7

100 მ-ზე მეტი სიღრმის მსხვილი წყალსაცავების კასკადების მაჩვენებლები

№	მდინარე	ქვეყანა	საფეხურების რაოდენობა	მოცულობა, კმ ³		წყლის სარკის ფართობი, ათ. კმ ²	კასკადის სიგრძე, კმ	გამოყენების სახეობა
				სრული	სასარგებლო			
1	2	3	4	5	6	7	8	9
ევროპის კასკადები								
1	ტახო	ესპანეთი	11	7,6	6,0	0,3	500	ი, ე
2	ვოლგა	რუსეთი	10	143,8	71,6	20,7	3000	ე, ნ, ი, ხ, ა
3	ვლტავა	ჩეხეთი	7	1,3	0,9	0,1	200	ე, ნ, წ, მ
4	დნეპრი	უკრაინა	6	43,8	18,4	7,0	900	ე, ნ, ი, ხ
5	არდა	ბულგარეთი	5	1,6	1,0	0,1	100	ე, ი
6	დუერო	ესპანეთი	5	2,3	1,1	0,2	300	ე, ი, წ, მ
7	სულაკი	დაღესტანი	4	3,6	1,7	0,1	60	ე, ი
აზიის კასკადები								
8	ევფრატი	თურქეთი სირია, ერაყი	7	138,6	55,0	5,5	—	ი, ე, წ
9	ნარინი-სირ-დარია	ყირგიზეთი	6	30,1	21,4	1,8	250	ი, ე, წ
10	ანგარა	რუსეთი	3	276,3	97,4	40,3	1500	ე, ნ, ხ
ჩრდილოეთ ამერიკის კასკადები								
11	კოლუმბია	აშშ	15	56,3	20,0	1,5	1500	ე, ა, ნ
12	ტენესი	აშშ	15	32,4	16,0	3,5	1290	წ, ე, ნ, მ
13	კოლორადო	აშშ	11	78,2	66,6	1,8	1400	ი, ე, წ
14	მისური	აშშ	9	97,6	83,4	4,9	500	წ, ი, ე, ნ
15	ლა-გრანდი	კანადა	5	168,6	68,6	9,6	650	ე
16	მანიკუაგანი	კანადა	5	156,7	—	2,5	400	ე
სამხრეთ ამერიკის კასკადები								
17	რიო-გრანდე	ბაზილია	10	51,8	—	3,3	—	ე
18	პარანა	ბაზილია	8	118,4	—	6,2	—	ე


პირობითი აღნიშვნები: ე-ენერგეტიკა; ნ-ნაოსნობა; ხ-ხე-ტყის დაცურება; მ-წყალმომარაგება; ი-ირიგაცია; წ-წყალმომარაგებთან ბრძოლა; ა-წყლის აკუმულაცია კომპლექსური მიზნით

საქართველოში აგებულია ჰიდროელექტროსადგურების რიგი კასკადი, ესენია: მტკვრის, რიონის, ხრამის, შაორის, შაორი-ტყიბულის, ენგურის, ნახ. 3÷7.




ნახ. 3. მდ. მტკვრის გამოყენების სქემა


1 - წყალსაცავები; 2 - არხები; 3 - მდინარეთა აუზების წყალგამყოფი;
4 - წყალსატარები; 5 - ჰესები




ნახ. 4. მდ. რიონის გამოყენების სქემა



ნახ. 5. მდ. ხრამის გამოყენების სქემა



ნახ. 6. მდ. შაორი-ტყიბულის გამოყენების სქემა



ნახ. 7. ენგურის ჰესზე განლაგებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების განლაგების საერთო სქემა:

- 1 – გამომყვანი არხი; 2 – ვარდნილჰესი IV; 3 – ვარდნილჰესი III; 4 – ვარდნილჰესი II;
5 – ვარდნილჰესი I; 6 – ვარდნილჰესი I-ის კაშხალი; 7 – გამყვანი არხი; 8 – ღია გამანაწილებელი
მოწყობილობა – 500 კვტ; 9 – ენგურჰესის მიწისქვეშა შენობა; 10 – გასათანაბრებელი რეზერვუარი;
11 – დერივაციული გვირაბი; 12 – თაღვანი კაშხალი; 13 – მდ. ენგურის ჩამონადენის მდ.
ერისწყალში გადამდები ნაგებობები (წყალსაშვი კაშხალი, წყალმიმღები გამრეცხი რაბი);
14 – იგივე, არხები №1 და №2; 15 – იგივე, უდაწნეო გვირაბით

საქართველოს მაღალმთიანი და მთისწინეთის მდინარეები ხასიათდება მნიშვნელოვანი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალით, მდინარეების პოტენციური ჯამური სიმძლავრე 25,0 მლნ კვტ-მდეა, რაც შეესაბამება პოტენციურ ენერგიას 220,0 მლრდ კვტსტ წელიწადში. ამავე დროს 45% (95,863 მლრდ კვტსტ/წელ) კონცენტრირებულია ხუთ მთავარ მდინარეზე, ცხრ. 8.

ცხრილი 8

საქართველოს მდინარეების ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი

№	მდინარის აუზი	წყალშემკრები ფართობი, კმ²	მდინარეების საშუალო წლიური პოტენციური ენერგიის გამომუშავება, მლრდ კვტსტ/წელიწადში
1	მტკვარი	18243	22, 605
2	რიონი	13418	30, 556
3	ენგური	4062	21, 039
4	კოდორი	2036	13, 509
5	ბზიფი	1502	8, 153
	სულ	39261	95, 863

ჰიდროელექტროენერგიის ასეთი კონცენტრაცია განსაზღვრავს ამ მდინარეებზე ჰიდროენერგეტიკული სისტემის შექმნის მიზანშეწონილობას. უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს მდინარეების ენერგეტიკული პოტენციალი იცვლება მდინარის აუზის მთიანობის შესაბამისად - როგორც წესი, პოტენციური ენერგიის 80% კონცენტრირებულია მდინარეების ზედა და შუა ნაწილებში.

რაც შეეხება მშენებლობისთვის დაგეგმილ ჰიდროელექტროსადგურებს, მათი ელექტროენერგიის ჯამურმა სიმძლავრემ შეიძლება 3,566 მლნ კვტ-სთ მიაღწიოს. ამ ჰიდროელექტროსადგურების ექსპლუატაციაში შეყვანა გადაწყვეტს როგორც საქართველოს ენერგომოთხოვნილებებს, ასევე ელექტროენერგიის ექსპორტის შესაძლებლობას (ცხრ. 9).

ცხრილი 9

საქართველოს პერსპექტიული ჰიდროელექტროსადგურების მონაცემები

№	დასახელება	სიმძლავრე, მლნ კვტ
1	ხუდონის	0, 700
2	ტობარის	0, 600
3	ჩხალტის	0, 480
4	ორბელის	0, 460
5	ნამახვანის	0, 400
6	ნენსკრა	0, 280
7	ონის ჰესების კასკადი (ონი I და ონი II)	0, 206
8	ცაგერის	0, 180
9	პარის	0, 140
10	ახალციხის	0, 120
სულ		3, 566

ბოლო წლებში საქართველოში გაჩნდა მოძრაობები ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის წინააღმდეგ, რაც სრულიად არაგონივრული და დილეთანტური ხასიათისაა. არ არის საჭირო გამოცხადდეს „ჯვაროსნული ომები“ ჰიდროენერგეტიკის მშენებლობისა და მისი განვითარების წინააღმდეგ.


ჩვენ გავაჩნია ალპებისა და, კერძოდ, შვეიცარიის ენერგორესურსების გამოყენების პრაქტიკა, სადაც მდინარეების ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის 95% უკვე გამოყენებულია, იქ ექსპლუატაციაშია 200-ზე მეტი მთის წყალსაცავი, სადაც აშენებულია 450-ზე მეტი ჰიდროელექტროსადგური, ხოლო ჰიდროენერგიის გამომუშავება აღწევს 35.0 მლრდ კვტსთ/წელიწადში [Kandelaki N., ... 2018]. ამან განსაზღვრა ქვეყნის სრული ელექტრიფიკაციით უზრუნველყოფა. მცირე წყალსაცავების მასიური აგება შვეიცარიასა და ავსტრიაში დაფიქსირდა XX საუკუნის დასაწყისიდან. შვეიცარიის არაერთი ექსპერტი აღნიშნავს, რომ მთის წყალსაცავების ექსპლუატაცია ძალზე მნიშვნელოვანია მთისწინეთისა და მთის რეგიონების ენერგომომარაგების, ბუნებრივი ლანდშაფტების გამდიდრების, რეკრეაციის გაფართოებისთვის და ა.შ. წყალსაცავების აგება შვეიცარიაში განსაზღვრავს ელექტროენერგიის ღირებულების შემცირებას, ტურისტების შემოდინებასა და საკურორტო ტერიტორიების განვითარებას. წყალსაცავები შვეიცარიაში (რომლის ტერიტორია თითქმის 2-ჯერ მცირეა, ვიდრე საქართველოსი) მდებარეობს 500 მეტრზე მეტი სიმაღლის ჰიფსომეტრულ ნიშნულზე (ცხრილი 10).

საქართველოსა და შვეიცარიის წყალსაცავების განაწილება ჰიპსომეტრიული
ნიშნულების მიხედვით ($V_{სრ} > 50.0$, მლნ მ³)


წყალსაცავების მაჩვენებლები	განზ. ერთ.	წმდ-ს ჰიპსომეტრიული ნიშნული, მ				
		< 400 მ	400-1000 მ	1000-1500 მ	1500-2000 მ	>2000 მ
წყალსაცავების რაოდენობა						
შვეიცარია	ცალი	2	11	6	24	14
საქართველო		6	17	5	3	0
წყალსაცავების სრული მოცულობის ჯამი - $\Sigma V_{სრ}$						
შვეიცარია	მლნ მ³	91.0	516.0	204.0	1475.0	1090.00
საქართველო	მლნ მ³	254.25	2148.68	471.6	317.38	
წყალსაცავების ზედაპირის ფართობის ჯამი ΣF						
შვეიცარია	კმ²	4.8	47.3	14.3	38.3	18.6
საქართველო	კმ²	28.5	66.86	28.62	36.54	0
$\Sigma V_{საქ} / \Sigma V_{სრ}$						
შვეიცარია	%	80.0	68.0	63.0	92.0	98.0
საქართველო	%	27.0	64.0	91.0	93.0	0

შვეიცარიის მაღალმთიანი წყალსაცავების (გრანდ დიქსანი, ემოსონი, გეპაჩი, ზამერნოლდენი და ა.შ.) სარკის ფართობის ჯამი აღწევს 4.5 კმ²-ს, წყალსაცავების მაქსიმალური სიგრძე - 25 კმ-ს, სიღრმე - 300 მ-ს. შვეიცარიელი მკვლევარების აზრით, მთის წყალსაცავების ზემოქმედება ბუნებრივ გარემოზე შემოიფარგლება სანაპიროზე ვიწრო ზოლით და მდინარის ხეობის მონაკვეთებით წყალსაცავის ქვედა ბიეფში. ზოლის დატბორვის პროცესები სუსტადაა განვითარებული. ამ მონაცემების თანახმად, აღნიშნეს, რომ მთლიანობაში მთისწინეთისა და მთის წყალსაცავები აუმჯობესებს ბუნებრივ გარემოს. მაგალითად, მდ. ენზე აგებული წყალსაცავების კასკადმა გააუმჯობესა წყლის ხარისხი, შეამცირა ნიადაგის ეროზია და გაამდიდრა სანაპირო მცენარეული საფარით.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მთის წყალსაცავები ითვლება ყველაზე ეფექტურად როგორც მდინარის ჩამონადენის რეგულირების მახასიათებლების თვალსაზრისით, ასევე გარემოზე მცირე ზემოქმედებით და მიწის ნაკლები დანაკარგებით. მთის წყალსაცავების ეფექტურობის განსაზღვრისას განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ალპების ჰიდრო-რესურსების გამოყენების პრაქტიკა, რომლის ტერიტორიის ექსპოზიცია აღმოსავლეთ საქართველოს იდენტურია, კერძოდ: ორივე ჰიდროსისტემა მდებარეობს დედამიწის ერთსა და იმავე ნახევარსფეროზე - 44°-48° განედებს შორის, იდენტური იზოთერებით - 10°C-20°C. ალპებისა და აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეების (მტკვარი და პო) მიმართულება დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენაა; ამ მდინარეების ჰიდროლოგიური რეჟიმიც იდენტურია (ნახ. 8, 9).



ნახ. 8. ალპებისა და საქართველოს ტერიტორიების განედებისა და იზოთერმების მნიშვნელობები



ნახ. 9. მდ. მტკვრისა და მდ. პო-ს საშუალო თვიური ხარჯები
(საშუალო წლიურ ხარჯებთან მიმართებაში - პროცენტში)
1 - მდ. პო (ქ. ბელინსონთან); 2 - მდ. მტკვარი (ქ. თბილისთან)

ალპების მთის წყალსაცავები, ძირითადად, მდებარეობს მდ. პო-ს ზედა ნაწილში, რომლის ჩამონადენის რეგულირება ხორციელდება მთის წყალსაცავების გამოყენებით - ეს ძალზე ეფექტურია გაზაფხულზე წყალსაცავში წყლის დაგროვების და ზაფხულში - მისი ირიგაციისთვის გამოყენებისათვის, ხოლო ზამთარში - ენერგეტიკული მიზნებისათვის.

აღსანიშნავია აგრეთვე ნორვეგიის გამოცდილება, რომლის მოსახლეობა 5,3 მლნ-ია და რომლის ტერიტორიაზეც შექმნილია 1600-ზე მეტი რაოდენობის ჰიდროელექტროსადგური, აქედან 1000-ზე მეტი წყალსაცავიანი ჰესია. ნორვეგია ჰიდროგენერაციით ევროპაში პირველ, ხოლო მსოფლიოში - მეექვსე ადგილზეა.

დასკვნა

საქართველოს მთის მდინარეებზე წყალსაცავის ჰიდროსისტემის შექმნა ეფექტური მეთოდია წყლის რესურსების მართვის მიზნით ირიგაციისა და ჰიდროენერგეტიკისთვის. საქართველოში ენერგორესურსებზე მოთხოვნა წლიდან წლამდე იზრდება, ამიტომ ჰიდროენერგეტიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. საქართველო მიეკუთვნება ქვეყანას, რომელსაც თავად შეუძლია უზრუნველყოს ენერგიისა და ირიგაციის საჭიროებები.

მაღალმთიან რეგიონებში ელექტროენერგიის გამომუშავების ყველაზე რაციონალური სქემა - მთავარი მდინარისა და მისი შენაკადების ზედა ნაწილებში მაღალი ელექტროენერგო-დანადგარების აგება, ხოლო მდინარის ქვედა მონაკვეთებში - ირიგაციული ნაგებობების. საქართველოს მთის მდინარეების ზედა ნაწილი მდებარეობს ღრმა ხეობებში, ამიტომ აქ სასურველია მაღალი კაშხლების შექმნა, ხოლო ქვედა ნაწილი გამოიყენება ირიგაციისათვის.

შვეიცარიისა და საქართველოს ოროჰიდროგრაფიული პირობების შედარებამ გამოავლინა მათი იდენტურობა და საქართველოს მთისა და მთისწინეთის პირობებში წყალსაცავების მშენებლობის ეფექტურობა. ყოველწლიურად საქართველო 2,0 მლრდ კვტსთ ელექტროენერგიას ყიდულობს, რაზეც იხარჯება 80,0 - 100,0 მლნ აშშ დოლარი.

ამრიგად, საქართველოს მთის მდინარეებზე ჰიდროელექტროსადგურების აგება - ეკოლოგიურად და ეკონომიურად მეტად ეფექტურია, ისინი გამოირჩევა მოქნილი მენეჯმენტით, მათ შეუძლიათ სწრაფად შეცვალონ და დაფარონ ელექტროენერგიის პიკური დატვირთვები.

ლიტერატურა

1. Варазашвили Н.Г., Гобечия Г.Н. Инженерно-экологические проблемы создания и эксплуатации водохозяйственных систем с водохранилищами в горных регионах. «Мецниереба», Тбилиси, 2002, 512 стр.
2. Иорданишвили И.К., Гавардашвили Г.В., Иремашвили И.Р., Вартанов М.В., Иорданишвили К. Т. Кадастр водных запасов Грузии. «Универсал», Тбилиси, 2018, 260 стр.
3. Сванидзе Г.Г., Гагуа В.П., Сухишвили Э.В. Возобновляемые энергоресурсы Грузии. Гидрометеоиздат, Л., 1987, 174 стр.
4. Kandelaki N., Kupreishvili Sh. Efficiency of water reservoir construction in mountainous areas. 8th International scientific and technical conference "Modern problems of water management, environmental protection, architecture and construction", 1-5 November, Tbilisi, 2018, pp. 142-155.

კაშხლების კრიტიკული მდგომარეობის შეფასება

ი. იორდანიშვილი, ი. ირემაშვილი, გ. ნატროშვილი,
კ. იორდანიშვილი, მ. გლუნჩაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 60ა, 0179, ქ. თბილისი, საქართველო
E-mail: irinaior48@mail.ru

შესავალი

მსოფლიოს კაშხლები, რომლებიც აგებულია გასული საუკუნის შუა წლებში, უკვე მორალური და ფიზიკური „დაბერების“ სტადიაშია. კაშხლების „დაბერების“ ტერმინი იყო შემოთავაზებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების რისკების მეცნიერების ფუძემდებლის, აკადემიკოს ცოტნე მირცხულავას მიერ [Ц.Е. Мирцхулава, 1989].

ძირითადი ნაწილი

პირველად წყალსაცავები შეიქმნა ძველ ეგვიპტეში 3 ათას წელზე მეტი ხნის წინ ჩვ.წ.აღ.-მდე. ჯერ კიდევ ფარაონ მენესის დროს დედაქალაქ მემფისიდან ნილოსის გადასაგდებად აიგო კომიშის კაშხალი, სიგრძით 415 და სიმაღლით 17,5 მ (ცხრ. 1). 2800-2500 წლით ადრე ჩვ.წ.აღ.-მდე ქაიროს სამხრეთით, ვადი-გრაფიზე ააგეს კაშხალი სად-ელ-კაფარი, სიმაღლით 13 მ და სიგრძით 121 მ. 2300 წლის წინ ჩვ.წ.აღ.-მდე ქაიროდან 80 კმ-ის დაშორებით შეიქმნა 1 კმ³-ზე მეტი ტევადობის მერისის წყალსაცავი, რომელსაც ჰეროდოტემ მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება უწოდა. მოგვიანებით შეიქმნა წყალსაცავები ახლო აღმოსავლეთში [ი.იორდანიშვილი, კ.იორდანიშვილი, 2010; Иорданишвили И, Иорданишвили К., 2012], შემდეგ იაპონიაში, ჩინეთში, ინდოეთში. ჩვ.წ.აღ.-ის პირველ საუკუნეებში წყალსაცავების მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა: პირველ საუკუნეებში ნაბათის სამეფოში (ისრაელის ტერიტორია) 14 მ სიმაღლის ორი კაშხლის მშენებლობით შეიქმნა წყალსაცავი მდ. სიგზე. კაშხლები დღემდე შემორჩენილია. ჩვ.წ.აღ.-ის IV საუკუნემდე ირანში აშენდა 9 ირიგაციული წყალსაცავი მდ. ჯარაბზე, მდ. კორზე (კამჟერდი), ბენდემიჟანი და გერგერი მდ. კარუნზე, რომლებიც დღესაც არსებობს.

ცხრილი 1

მსოფლიოს უძველესი წყალსაცავების მახასიათებლები

№	წყალსაცავის დასახელება	მდინარე	ადგილმდებარეობა	ქვეყანა	აგების დრო (საორიენტაციო)	წყალსაცავის პარამეტრები	ექსპლუატაციის პერიოდი	მწყობრიდან გამოსვლის მიზეზები
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	კსოსხაიში (კოშიში)	ნილოსი	მემფისის ზემოთ 20 კმ-ზე	ეგვიპტე	ჩვ.წ.აღ.-მდე 3000 წ.	მიწის კაშხალი $L = 415$ მ; $H = 17,5$ მ.	3000 წ.	მონაცემები არ არის

ი. იორდანიშვილი, ი. ირემაშვილი, გ. ნატროშვილი, კ. იორდანიშვილი, მ. გლუნჩაძე

2	სად-ელ-კაფარი	ნილოსი	ქაიროს სამხრეთით 29 კმ-ზე	ეგვიპტე	ჩვ.წ.აღ.-მდე 2900 წ.	ყორე წყობის კაშხალი ხსნარის გარეშე $L = 121$ მ; $H = 13$ მ; $V_{სრ} = 568$ ათასი მ ³	ერთი სეზონი	კაშხლის გარღვევა წყალმოვარდნისგან
3	ნიმრუდი	ტიგროსი	ქ. სამარასთან	ახლო აღმოსავლეთი	ჩვ.წ.აღ.-მდე 2500 წ.	ქვეყრილის კაშხალი $H = 13$ მ.	ჩვ.წ.აღ.-ით VII ს-მდე	მონაცემები არ არის
4	მერიის	ნილოსის აუზი	ქაიროს სამხრეთ-დასავლეთით 8 კმ-ზე	ეგვიპტე	ჩვ.წ.აღ.-მდე 1800 წ.	$V_{სრ} = 1$ კმ ³ L ნაპირის = 177 კმ	ჩვ.წ.აღ.-ით 102 წლამდე	მონაცემები არ არის
5	ხომსი (კატინახისი)	ნარ-ელ-ასი (ორონტი)	ს. ხომსი	სირია	ჩვ.წ.აღ.-მდე 1315 წ.	ქვეყრილის კაშხალი $L = 2,29$ კმ; $H = 7$ მ.	დღემდე	—
6	კასირი	ხოსრი	ქ. ნინევიას ზემოთ	ასურეთი	ჩვ.წ.აღ.-მდე 703 წ.	მონაცემები არ არის	—	—
7	მარიბი (სუდ-ელ-არიმი)	ვადი-ჯანა	ქ. მარიბიდან 64 კმ-ზე	იემენი (საბა)	ჩვ.წ.აღ.-მდე 800 წ.	მიწის კაშხალი $L = 670$ მ; $H = 11,5$ მ.	ჩვ.წ.აღ.-ით 575 წლამდე	რღვეული კაშხლის ტანში. საბოლოოდ დაინგრა ჩვ.წ.-ის 670 წელს
8	ჯებელ-ბაშიკახი	ხოსრი	ქ. ნინევიასთან	ასურეთი	ჩვ.წ.აღ.-მდე 699 წ.	ორი კაშხალი ქვის კვადრატული ფილებისაგან	მონაცემები არ არის	—
9	არტუშ-გომელი	არტუშ-გომელი	ბავიანის ხეობა	ასურეთი	ჩვ.წ.აღ.-მდე 690 წ.	გამყვანი არხი 56 კმ. მოპირკეთებული კირქვის ფილებით.	მონაცემები არ არის	—
10	მურლაბი	მურლაბი	—	აპარსეთი	ჩვ.წ.აღ.-მდე 600 წ.	სამი კაშხალი	ჩვ.წ.აღ.-ით 1258 წლამდე	დანგრეულია
11	კარნალ-ბო	ალბარე-გასი	—	ბერია (ესპანეთი)	ჩვ.წ.აღ.-მდე II ს.	წყალსაცავი $V_{სრ} = 10$ მლნ. მ ³	დღემდე	—
12	სავეხი	ფავრეხანი	—	აპარსეთი	880 წ. ჩვ.წ.აღ.-ით	ქვეყრილის კაშხალი $L = 120$ მ; $H = 40$ მ.	100 წელი	დანგრეულია წყალმოვარდნისგან
13	ბანდე-ემირი	—	ქ. შირაზის რაიონში	აპარსეთი	II ს. ჩვ.წ.აღ.-ით	—	დღემდე	—
14	ჟურჟურია	—	—	ლათინური ამერიკა	VII-VIII ს. ჩვ.წ.აღ.-ით	წყალსაცავი $V_{სრ} = 220$ მლნ. მ ³ $F = 96$ კმ ²	დღემდე	—

წყალსაცავების შექმნის ინტენსიფიკაცია შეინიშნებოდა ჩვ.წ.აღ.-ით V საუკუნიდან. წყალსაცავების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ შუა აღმოსავლეთში დაინგრა ომების პერიოდში და ჩვენამდე ვერ მოაღწია. ჩვ.წ.აღ.-ით I ათასწლეულში შეიქმნა წყალსაცავები: ბენდე-ემირის, ისპაჰანსა და შირაზს შორის, რომლებიც დღემდე ექსპლუატაციაშია, სავეხის, მდ. ფავრენახზე სიმაღლით 40 მ და სიგრძით 120 მ, ექსპლუატაციაში იყო 100 წლის განმავლობაში,

კარამის წყალსაცავი (ცენტრალური ირანი) დღემდე ექსპლუატაციაშია. დროთა განმავლობაში იზრდებოდა ჰიდროკვანძების მშენებლობის ინტენსიურობა.

იაპონიაში ჩვ.წ.აღ.-ის 522-1600 წლებში შეიქმნა 30 წყალსაცავი 15 მ-ზე მეტი სიმაღლის კაშხლებით, ხოლო შემდგომი 200 წლის მანძილზე - 540 ჰიდროკვანძი წყალსაცავებით, რომლებიც დღესაც გამოიყენება. ჩინეთში პირველ ასწლეულებში მიმდინარეობდა მშენებლობა მდინარეების – ხუანხესა და იანძის შუამდინარეთის რაიონში. მდ. ხუანხეზე 100 კმ სიგრძის დამბით შეიქმნა ხუნიზეხუს წყალსაცავი და რიგი მცირე წყალსაცავები. ევროპაში წყალსაცავების მშენებლობის განვითარება მოგვიანებით, XIV-XVI საუკუნეებში დაიწყო. მაგალითად, წყალსაცავები ესპანეთში - ალმანასი და რელსი; ჩეხეთში და სლოვაკიაში - დვორჟიშტე, იორდანი, ხარუზიცკი, სტანკოვსკი, როჟიბერკი და სხვ. (რომელთა სარკის საერთო ფართობია 1800 კვ. კმ), ექსპლუატაციაშია დღემდე. პოლონეთში დღემდე ექსპლუატაციაშია 10 წყალსაცავი, რომლებიც XIV-XVI საუკუნეებში აშენდა.

გერმანიაში პირველი წყალსაცავების მშენებლობა XV საუკუნეს მიეკუთვნება. წყალსაცავების დიდი რაოდენობა იქნა აშენებული მექსიკაში აცტეკების, ინკების და მაიას ტომების მიერ. მაგალითად, ნეცაუალ-კოიოტლის დამბამ, სიგრძით 16 კმ, შუაზე გაყო ტესკოკოს ტბა და წარმოქმნა მეხიკოს წყალსაცავი. ეს ნაგებობები არ შემორჩა, რადგან ბევრი მათგანი განადგურდა ესპანელი კონკისტადორების მიერ XV საუკუნეში. წყალსაცავების მშენებლობის ინტენსიფიკაციის ახალი პიკი განეკუთვნება VII საუკუნეს. ლათინურ ამერიკაში აშენდა წყალსაცავი ჟურურია (მოცულობა - 220 მლნ მ³, წყლის სარკის ფართობი - 96 კმ²), რომელიც დღემდე ექსპლუატაციაშია, და ჩალვირი 3 მლნ მ³ მოცულობით. XX საუკუნის მეორე ნახევარი ხასიათდება წყალსაცავების შექმნის დინამიური ტემპებით მთელ მსოფლიოში. მათი რიცხვი 1950 წლიდან გაორმაგდა, ხოლო ჯამური მოცულობა - 8-ჯერ გაიზარდა.

თანამედროვე ეტაპზე წყალსამეურნეო ობიექტების მშენებლობა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. დარეგულირებული ჩამონადენის მოცულობის ზრდა შეინიშნება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. 2020 წლისათვის დედამიწაზე 40 ათასამდე წყალსაცავი იქნება, რომლებიც არსებითად განსხვავდება პარამეტრებით, რეჟიმული მახასიათებლებით, სამეურნეო გამოყენების მიმართულებითა და გარემოზე ზემოქმედებით. ამჟამად დედამიწაზე არსებობს და შენდება 35 ათასზე მეტი წყალსაცავი - 1 მლნ მ³-ზე მეტი ტევადობით. 100 მლნ მ³-ზე მეტი მოცულობის წყალსაცავებზე მოდის ყველა წყალსაცავის ჯამური მოცულობის 95%, თუმცა მათი რიცხვი საერთო რაოდენობის მხოლოდ 14% - ია. საქართველოში „საკომანდო სიმაღლის“ შექმნა სარწყავი ქსელისათვის შეიქმნა ჩვ.წ.აღ. III ათასწლეულში.

კაშხლების დაზიანებები, ავარიები და კატასტროფები ყოველთვის ხდებოდა და ახლაც მიმდინარეობს. დაზიანება - კაშხლის გარღვევაა, რომლის აღდგენა შესაძლებელია. ავარია - კაშხალზე სახიფათო მოვლენაა, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ადამიანის მსხვერპლი. კატასტროფა - კაშხლის ნგრევაა, რომელიც ასევე იწვევს ადამიანის მსხვერპლს. მსოფლიოს 400-ზე მეტი კაშხლის ავარიების და კატასტროფების გამომწვევი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ ყველაზე სენსიტიური კაშხლების ტიპია - მიწის კაშხლები (ცხრ. 2).

ცხრილი 2

მსოფლიოში კაშხლებზე ყველაზე მსხვილი დაზიანებები, ავარიები და კატასტროფები

კაშხლების რაოდენობა	კაშხლის ტიპი	კაშხლების ავარიებისა და კატასტროფების გამომწვევი ფაქტორები								კატასტროფების რაოდენობა	მსხვერპლთა რაოდენობა	კაშხლის აგარია	კაშხლის დაზიანება
		მიწიძვრა	წყალმოვარდნები, წყალდიდობები	ჩარეცხვა, ჩამოზავება, ჯდენა	გადმოდენა თხემზე	შეცდომები დაპროექტებისა და ექსპლუატაციისას	კაშხლის დნობა	ტალღური ზემოქმედება	სუფოზია, წყლის აგრესიულობა				
260	მიწის	12	42	48	42	8	3	87	36	40	273000	94	122
80	ქვაყრილის	4	8	12	25	12	5		14	18	2300	31	27
48	ბეტონის	3	1	14	1	11	3		13	11	3000	11	26
სულ 388		19	51	74	68	31	11	87	63	69	278300	136	170

კაშხლების კატასტროფების ყველაზე მასშტაბური მიმოხილვა და შესაბამისად ადამიანების მსხვერპლთა რაოდენობა მოყვანილია მე-3 ცხრილში.

ცხრილი 3

ადამიანთა მსხვერპლის რაოდენობა მსოფლიოში კაშხლების კატასტროფების შედეგად


№	კაშხალი	ქვეყანა	კატასტროფის წელი	კაშხლის ტიპი	მსხვერპლთა რაოდენობა
1	2	3	4	5	6
1	ბუზეი	საფრანგეთი	1881	ქ	90
2	ზერბინი	იტალია	1935	ქ	100
3	აუსტინი	აშშ	1911	მ	100
4	აპალაჩი	აშშ	1902	მ	120
5	რიბადელიგო	ესპანეთი	1959	ქ	140
6	ვილიამსბურგი	აშშ	1874	მ	143
7	მილრივერი	აშშ	1874	მ	144
8	უსლნატ-გროდვი	აშშ	1880	ქ	150

კაშხლების კრიტიკული მდგომარეობის შეფასება

9	უელნოდ-გრუნი	აშშ	1890	მქ	150
10	ელ-კობრე	ჩილე	1965	მ	200
11	დეილ-დაკი	ინგლისი	1854	მ	250
12	შეფილდი	ინგლისი	1864	მ	238
13	ხიოკირი	ჩრდ. კორეა	1965	მ	250
14	ფრანცისკვიტი	აშშ		მ	400
15	სენტ-ფრენსისი	აშშ	1928	მ	450
16	ბერგამო	იტალია	1923	ქ	600
17	გლენო	იტალია	1923	მ	600
18	პუნტისი	ესპანეთი	1802	მ	650
19	ოროსი	ბრაზილია	1860	ქ	1000
20	მაჩხუ II	ინდოეთი	1979	ქ	2000
21	ჯონსტონი	აშშ	1893	მ	2200
22	სოუტფორსი	აშშ	1962	მ	2500
23	ვაიონტი	იტალია	1963	ბ	2600
24	გუჯაროცი	ინდოეთი	1979	მ	15000
25	რუკზუა	ჩინეთი	1975	მ	200000

აღნიშვნები: ქ - ქვაცირის; მ - მიწის; მქ - მიწა-ქვაცირის; ბ- ბეტონის

1. მსოფლიოში არსებული მიწის კაშხლების კატასტროფების ანალიზი.
წყალდიდობების წყლით ავსების შემდეგ მიწის კაშხლებში შეიძლება განვითარდეს ისეთი დეფორმაციები, რომლებიც გამოიწვევენ მის ზღვრულ მდგრადობას კაშხლის გრუნტის ერთიანობის გარღვევით (ნახ. 1) და ნაგებობის ავარიით. ამიტომ, მიწის კაშხლების დაპროექტებისას აუცილებელია ისეთი ამოცანის დაყენება, რომელიც გადაჭრის კაშხლის გრუნტის ხარისხის შენარჩუნებას. ასეთი ამოცანის გადაწყვეტილება - კაშხლის ზღვრული წონასწორობის ზონების უსაფრთხო შენარჩუნება, ამიტომ კაშხლების გრუნტების არჩევისას აუცილებელია წყალგაუმტარი გრუნტების შერჩევა.



ნახ. 1. მიწის კაშხლების ბირთვის რღვევების სახეობანი

ამ პროცესებს, როგორც წესი, მოჰყვება კაშხლის ტანის გრუნტის სუფოზია და ფილტრაციული მოვლენები. ნაპრალები – მიწის კაშხლის კონსტრუქციის რღვევის ყველაზე სახიფათო ფორმაა, რომელიც იწვევს კაშხლის ავარიას. სუფოზიის მოვლენას მოჰყვება გრუნტის წყალგამტარობის გაზრდა; კაშხლის ტანში, მის ფერდობებსა და ქიმზე წარმოიქმნება ჩავარდნები. ეს ბრაზილიაში მომხდარი მიწის კაშხლის კატასტროფის თვალსაჩინო მაგალითია, რომელიც დაინგრა სულ რაღაც 20 წუთში (ფოტო 1-4).



ფოტო 1. კატასტროფის დაწყებამდე



ფოტო 2. კატასტროფის დაწყებიდან 5 წუთის შემდეგ




ფოტო 3. კატასტროფის დაწყებიდან 10 წუთის შემდეგ



ფოტო 4. კატასტროფის დაწყებიდან 15 წუთის შემდეგ

მსოფლიოში არსებული ქვანაყარი კაშხლების კატასტროფების ანალიზი

ქვანაყარი კაშხლების დაზიანების ძირითადი მიზეზია - კაშხლის დარღვევა და საძირკველის გეოლოგიური პირობების არასწორი გათვალისწინება (ნახ 2, ცხრ.2). ჩვენ მიერ ჩატარებულმა ქვანაყარი კაშხლების ავარიის მიზეზების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ასეთი კაშხლების ავარიის 80%-ის მიზეზია - ნაკადის გადადინება თხემზე და კაშხლის ტანში ფილტრაცია (ნახ. 2). მაგალითად, ბრაზილიაში ოროსის კაშხლის მშენებლობის დროს 35 სმ-იანი სისქის წყლის ნაკადის თხემზე გადადინება საკმარისი იყო კაშხლის კატასტროფისთვის.



ნახ. 2. ხელ-ხოლის კაშხლის აგარია თხემზე წყლის გადადინების გამო:


ა) განივი პროფილი: 1 - ნაყარი; 2 - გრუნტის ეკრანი;

3 - წყალდიდობის შემდეგ დარჩენილი კაშხლის ნაწილი; 4 - ცემენტის ფარდა;

ბ) განივი კვეთი: კაშხლის დარჩენილი ნაწილი წყალდიდობის შემდეგ


მსოფლიოში არსებული ბეტონის კაშხლების კატასტროფების ანალიზი

ბეტონის კაშხლის სენტ-ფრენსისის (აშშ) დანგრევის გამო (1928 წ.) დაიღუპა 450 ადამიანი. კაშხალი დაინგრა მის ძირში განლაგებული გარეცხილი კონგლომერატისა და წყალსაცავში ჩამოწოლილი კრისტალიზებული ფიქლების გამო (ნახ. 3).



ნახ. 3. ბეტონის კაშხლის სენტ-ფრენსისის კატასტროფა, 1928 წ.


მალ-ჰასეს ბეტონის კაშხალი (საფრანგეთი) დაინგრა 1959 წელს. 40,0 მ-ის სიმაღლის წყლის კედელმა წალეკა 80 კმ სიგრძის ტერიტორია. წყალსაცავი მთლიანად დაიცალა 1 საათში. დანგრევის მიზეზი - დიდი რაოდენობის მიკრონაპრალები კაშხლის ძირში. დაიღუპა 42 ადამიანი (ნახ. 4).



ნახ. 4. მალ-პასეს ბეტონის კაშხლის განივი ჭრილი

საქართველოში არსებული კაშხლების კატასტროფების ანალიზი

საქართველოს რიგ კაშხლებზე აღინიშნება სხვადასხვა ტიპის დაზიანებები, ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია წყლის გადადინება კაშხლის თხემზე. მაღალი კაშხლების თხემზე წყლის გადადინების პროგნოზირების მეთოდება დამუშავებულია პროფ. გ. გავარდაშვილის მიერ [Г. Гавардашвили, 2010]. კატასტროფის თვალსაჩინო მაგალითია დაბა წყნეთში მომხდარი კატასტროფა (14 მაისი, 1980 წ.), როდესაც 12,0 მ სიმაღლის მიწის კაშხალი დაინგრა, რასაც მოჰყვა შვიდი ადამიანის მსხვერპლი (ნახ. 5).



ნახ. 5. მიწის კაშხლის გარღვევა დაბა წყნეთში (1980 წ.)

კატასტროფის მიზეზი იყო კაშხლის მშენებლობისას დაშვებული დეფექტები, კაშხლის გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესუსტება ექსპლუატაციის 30 წლის განმავლობაში, წყალსაცავის შევსების, დაცლისა და მაღალი ინტენსივობის თავსხმა წვიმების გამო გამოწვეული კაშხლის ქვედა ბიეფის გამორეცხვა. ამ ფაქტორმა გამოიწვია ფილტრაციის სიგრძის შემცირება, რამაც სულ ერთი საათის განმავლობაში წყლის დონის უეცარი აწევის (40-50 სმ-ით) გამო გაიზარდა ფილტრაციის ხარჯი. ჰიდროდინამიკური ზემოქმედების გამო დაიწყო კაშხლის ქვედა ფერდის ჯდენა, წარმოიშვა ნაპრალი. შემოკლებილი ფილტრაციის წყლის ჭავლმა

გამოიწვია ქვედა ფერდის მდგრადობის შემცირება. ქიშხე წარმოშობილი ნაპრალი გავრცელდა კაშხლის ტანში, მთელ სიგრძეზე, საიდანაც წყალმა უფრო გააგანიერა და გააღრმავა ნაპრალი, რის შედეგადაც ჩამოცურდა კაშხლის ქვედა ბიეფის ჯერ მარცხენა, შემდეგ მარჯვენა ნაწილი. წყალგაჯერების კოეფიციენტის მნიშვნელობა შეადგენდა 0,9-1,0-ს, რის გამოც კაშხლის დაძვრის მახასიათებელი შემცირდა.

დალის მთის მიწის კაშხლის თხემზე წყლის გადაძინების გამო კაშხალი მწყობრიდან გამოვიდა და წყალსაცავი დღემდე დაცლილია.

2010 წლის აპრილში, ინტენსიური წვიმების შედეგად, ჭერემის წყალსაცავში აღინიშნებოდა წყლის დონის მკვეთრი მატება, რასაც თან სდევდა ნაპირების წარეცხვა, წყალსაგდების სათავესთან ბეტონის ფილების გამორეცხვა და ხიდის დანგრევა (ფოტო 8). წყლის შესაძლებელი გამოხეთქვის გამო სახიფათო სიტუაცია შეიქმნა ქ. გურჯაანში. ოპერატიულად ჩატარდა პრევენციული ღონისძიებები. კატასტროფული წყალსაგდების ჩარეცხვადი კალაპოტი გამაგრდა ქვიშიანი ტომრებით, მიმართული აფეთქებით გაიწმინდა დაღამული წყალსაგვი (საირიგაციო მილი). ჩატარებული ღონისძიებების შედეგად წყალსაცავში წყლის დონე დაყვანილ იქნა მინიმუმამდე. ამჟამად, წყალსაცავი არ ფუნქციონირებს.



ფოტო 8. ავარია ჭერემის წყალსაცავის წყალსაგდებზე

2015 წლის 13 ივნისის ღამეს თბილისში დატრიალდა ტრაგედია, რომლის მიზეზი დიდი ნალექის ზემოქმედებით წყნეთი-ბეთანიის მონაკვეთზე მთის მასის დიდი სიმაღლიდან ჩამოშვება გახდა. მისი ჩამოშლილი ღვარცოფული მასა მდინარე ვერეს შეუერთდა, რამაც მისი კალაპოტის გადაკეტვა და დატბორვა გამოიწვია. დაგუბებულმა წყალმა შექმნილი დამბა გაარღვია და მდ. ვერეს ხეობის მიმდებარე ტერიტორიაზე წყლის მოვარდნა გამოიწვია. მეწყერმა, რომლის სიგრძე 4 კმ და სიგანე 600 მ იყო, ორი გზა გამოიარა: წყნეთი-სამადლოს საავტომობილო გზაზე ჩაწყდა 400-მეტრიანი მონაკვეთი, სოფელ ახალდაბასთან მისასვლელი გზა პარალიზებული იყო. მდინარე ვერემ ღვარცოფული მასა უნივერსიტეტის დასახლებიდან გმირთა მოედნამდე ჩაიტანა. ახალგაკეთებულ გვირაბებში ნაშალი მასალის ნაკადმა ვერ გაიარა, გვირაბში გაიჭედა და წყლის ტალღამ მდ. ვერეს ხეობა მთლიანად დატბორა. მოვარდნილმა წყალმა სვანიძის ქუჩაზე გაიარა და გმირთა მოედნამდე ჩავიდა (იხ. ფოტო 9). დროის მოკლე მონაკვეთში ამ ტერიტორიაზე წყლის ხარჯი 1000 მ³/წმ-ს აღწევდა (აქედან მდ. მტკვრის ხარჯი 400 მ³/წმ). მოვარდნილი ტალღის სიმაღლე 7-8 მეტრს აღწევდა. კატასტროფას ემსხვერპლა 19 ადამიანის სიცოცხლე, 4 ადამიანი დაკარგულია, სახლ-კარის გარეშე დარჩა 400-მდე ადამიანი და ზარალმა 100 მლნ ლარს მიაღწია.



ფოტო 9. კატასტროფა მდ. ვერეს ხეობაში (2015 წ.)

საბედნიეროდ, საქართველოში ქვანაყარი და ბეტონის კაშხლების მსგავსი ტიპის კატასტროფები არ ყოფილა.

კაშხლების უსაფრთხოების შეფასება

მიწის, ქვანაყარი და ბეტონის კაშხლების ავარიების, დაზიანების და კატასტროფების (შემდგომში-ინციდენტების) უსაფრთხოება წარმოადგენს მეტად რთულ ამოცანას. ამ კვლევების ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი ც. მირცხულავა [Мирцхулава Ц.Е., 1989]. შევაფასოთ კაშხლების უსაფრთხოება მათი ტიპის მიხედვით (მიწის, ქვანაყარი, ბეტონის) ინციდენტების ბანკის საფუძველზე. ინციდენტების უსაფრთხოების რაოდენობრივი შეფასება ტარდება სტატისტიკური ან ალბათური მეთოდების გამოყენებით. ამ სტატისტიკური შეფასებით ტარდება კაშხლების ექსპლუატაციის (მუშაობის წლების) სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით, რომლის მეშვეობით დგინდება ის საშუალო ვადა, რომლის პერიოდში ხდება ერთი ინციდენტი

$$t_{05} = \sum_i^m t_i / n_{05}, \quad (1)$$

სადაც t_{05} ექსპლუატაციის ხანგრძლივობაა (ფუნქციონირების წლების რაოდენობა) კაშხლის მოცემული ტიპისათვის, n_{05} - ინციდენტის საერთო რიცხვი განსახილველი პერიოდისათვის, m - მოცემული ტიპის კაშხლების რაოდენობა.

ანალოგიურად შეიძლება იქნეს განხილული წლების საშუალო რაოდენობა, რომელიც მოდის ერთ ინციდენტზე. მოცემული მიდგომით შეიძლება დადგინდეს კაშხლების უსაფრთხოების კერძო ალბათური მაჩვენებელი, რომელიც ასახავს იმ კერძო მიზეზთა გამოვლინებას, რომელთაც მივყავართ ინციდენტამდე. კაშხლების უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციამ შეიძლება შეგვიქმნას წარმოდგენა, რომ კაშხლების ფუნქციონირების რიცხვი ყოველ 100 წელიწადში:

$$n_{100} = 100n_c / n_{კერ}, \quad (2)$$

სადაც n_c და $n_{კერ}$ შესაბამისად ინციდენტების და წლების რიცხვია გასაანალიზებელი პერიოდისათვის. სტატისტიკური მაჩვენებლები გვაძლევენ საშუალებას შევაფასოთ ობიექტების ფუნქციონირების უსაფრთხოების დონე; გავითვალისწინოთ ყველა ფაქტორი და მიზეზი, რომლებიც განაპირობებენ ინციდენტურ სიტუაციებს; შევიქმნათ წარმოდგენა კონსტრუქციებისა და კაშხლების სრულყოფილების ხარისხზე; შევადაროთ სხვადასხვა ტიპის კაშხლების უსაფრთხოების დონეები. სხვადასხვა ტიპის კაშხლების - მიწის, ქვანაყარი, ბეტონის ინციდენტების ხელშემწყობი ფაქტორების სტატისტიკური ინფორმაციის (ცხრ. 2) საფუძველზე გამოვიანგარიშოთ მათი ექსპლუატაციის (მუშაობის წლების) ის საშუალო ვადა ($t_{დაზ.}, t_{ავ.}, t_{კატ.}$), რომელიც მოდის ერთ ინციდენტზე (დაზიანება, ავარია, კატასტროფა):

ანგარიში: დაზიანების, ავარიისა და კატასტროფის საშუალო ვადა, რომელიც მოდის ერთ ინციდენტზე (მაგ., 100 წლის მანძილზე), იქნება:

ა) მიწის კაშხლებისთვის

$$t_{დაზ.} = \sum \frac{327}{78} = 4.19; \quad t_{ავ.} = \sum \frac{543}{44} = 12.18; \quad t_{კატ.} = \sum \frac{187}{25} = 7.48$$

ბ) ქვანაყარი კაშხლებისთვის

$$t_{დაზ.} = \sum \frac{359}{18} = 19.9; \quad t_{ავ.} = \sum \frac{228}{21} = 10.86; \quad t_{კატ.} = \sum \frac{110}{9} = 12.2$$

გ) ბეტონის კაშხლებისათვის (თაღოვანი გრავიტაციული (თგ), თაღოვანი (თ), ბოტობეტონის (ბბ), კონტრფოსის (კვ) და ძელორანის (ძე) ტიპის კაშხლები განიხილება ბეტონის (ბ) კაშხლებთან ერთად)

$$t_{დაზ.} = \frac{195}{16} = 12.19; \quad t_{ავ.} = \frac{52}{8} = 6.5; \quad t_{კატ.} = \frac{84}{6} = 14.0$$

კაშხლების ექსპლუატაციის საშუალო პერიოდი, რომელიც მოდის ერთ ინციდენტზე (100 წლის მანძილზე), მოყვანილია ქვემოთ:

მიწის კაშხლებისთვის		ქვანაყარი კაშხლებისთვის		ბეტონის კაშხლებისათვის	
$t_{დაზ.}$	4,19	$t_{დაზ.}$	19,9	$t_{დაზ.}$	12,19
$t_{ავ.}$	12,18	$t_{ავ.}$	10,86	$t_{ავ.}$	6,5
$t_{კატ.}$	7,48	$t_{კატ.}$	12,2	$t_{კატ.}$	14

ამრიგად, ექსპლუატაციის პერიოდი, რომელიც მოდის ერთ კატასტროფაზე, ყველაზე ხანგრძლივია ბეტონის კაშხლებისათვის (14 წელი), ანუ ბეტონის კაშხლები ყველაზე საიმედოა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ანგარიშში არ იყო გათვალისწინებული იმ კაშხლების ინციდენტები, რომელთა აშენებისა და ინციდენტის წლები არ არის აღნიშნული შესაბამის მონაცემთა ბანკში.

დასკვნა

ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ყველაზე დიდი რაოდენობის კატასტროფები მიწის კაშხლებზე მოდის.

დასმული საკითხი მეტად რთულია და როგორც კაშხლის ექსპლუატაციის ხანგრძლივობის პრობლემების კვლევების ფუძემდებელი აკადემიკოსი ც. მირცხულავა აღნიშნავდა - „დიდ ფასეულობას შეიძლება წარმოადგენდეს მიახლოებითი შეფასებებიც კი, რომლებიც საორიენტაციოდ განსაზღვრავს ტექნოგენული სისტემების ხანგრძლივობას.“

ლიტერატურა

1. Гавардашвили Г.В. – Компьютерная имитация в случае разрушения Ингурской плотины. Сборник научн. трудов Института водного хозяйства, Грузия, N 65, Тбилиси, 2010 г, стр. 42÷52.
2. Иорданишвили И.К., Иорданишвили К.Т., Вопросы эко-эволюции горных водохранилищ Грузии, Универсал, Тбилиси, 2012 г., 186 стр. (монография на русском языке);
3. იორდანიშვილი ი., იორდანიშვილი კ. საქართველოს მთის წყალსაცავები და გარემოზე მათი ზემოქმედება, უნივერსალი, თბილისი, 2010, 350 გვ.
4. Мирцхулава Ц.Е. Безопасность плотин: состояние проблемы, пути решения. Мелиорация и водное хозяйство, N 10, 1989 г., стр. 11-18.

ПРЕССИОМЕТРИЧЕСКИЙ МЕТОД КОНТРОЛЯ ПЛОТНОСТИ ТЕЛА ЗЕМЛЯНЫХ ПЛОТИН

Итриашвили Л.А., Хосрошвили Е.З.

Институт водного хозяйства им. Ц. Мирцхулава
Грузинского технического университета
пр. И.Чавчавадзе 60^б, 0179, г. Тбилиси, Грузия
E-mail: itriashvili@mail.ru

Введение

При строительстве грунтовых плотин контроль качества уплотнения производится путем отбора проб каждого отсыпанного слоя и установления соответствия их характеристик с проектными.

Что же касается действующих плотин, то отбор образцов для испытаний осуществляется путем бурения скважин и послойной выемки кернов. Однако, при этом пробы грунта, как правило, имеют увеличенную плотность, т.к. при бурении уплотняются не только стенки скважины, но и сам образец грунта. Найти же корреляционную зависимость между объемной массой керна и проектной плотностью практически невозможно.

Поэтому, привлечение других методов определения плотности грунта в теле действующих плотин, лишенных вышеуказанных недостатков, намного упростило бы осуществление контроля за состоянием этих сооружений.

В этом направлении перспективным является использование ультразвукового прессиометрического метода, который позволяет измерять характеристики грунтов в любой точке по всей глубине тела плотины.

Кроме того, уплотнение стенок буровой скважины не влияет на результат испытаний, т.к. дальность распространения ультразвуковой волны намного превышает толщину уплотненного слоя скважины.

Основная часть

Принцип ультразвукового метода контроля во время строительства плотины базируется на установлении корреляционных связей между плотностью, влажностью и другими физико-механическими показателями грунтов и их акустическими характеристиками. Такие связи и численные значения входящих в них коэффициентов, устанавливаются на основании аналитической или графической обработки экспериментальных данных параллельных испытаний, выполняемых в стационарных геотехнических лабораториях [1].

Погрешность измерения времени распространения ультразвука t не должна превышать значения:

$$\Delta = \pm (0.01t + 0,1) \text{ мкс} \quad (1)$$

По измеренным значениям t и ℓ , вычисляют скорость продольной волны V_p по формуле:

$$V_p = \frac{10^3 \ell}{t} \text{ м/с}, \quad (2)$$

где t - время распространения продольной ультразвуковой волны, мкс; ℓ - высота образца (база прозвучивания), мм.

Корреляционное уравнение связи объемного весавлажного или скелета грунта и скорости продольной ультразвуковой волны в общем случае имеет вид:

$$\gamma_y = \bar{k}_\gamma \lg V_p \quad (3)$$

Нормативное значение постоянного коэффициента для данной разновидности грунта, входящего в уравнение (3), устанавливают путем обработки вариационных рядов геотехнических и акустических испытаний образцов по выражению:

$$k_\gamma = \frac{\sum_{i=1}^n \gamma}{\sum_{i=1}^n \lg v} \quad (4)$$

Количество парных испытаний n , необходимых для установления нормативных значений корреляционных коэффициентов, подбирают по таблице 1 и формуле:

$$n = t_\alpha^2 \frac{v^2}{\rho^2}, \quad (5)$$

где ρ - коэффициент при односторонней доверительной вероятности $P=0,9$.

Таблица 1

Показатель точности определения среднего значения характеристик

Наименование физико-механических характеристик грунта	Коэффициент вариации	Показатель точности	Коэффициент корреляции 0,90	Количество определений характеристик грунтов
Объемный вес (плотность)	0,05	0,015	1,32	20
Влажность	0,15	0,05	1,34	16
Модуль деформации	0,30	0,10	1,34	16
Соппротивление срезу	0,20	0,10	1,40	8

Оценку сходимости (надежности) показателей, вычисленных по корреляционным уравнениям с результатами лабораторных испытаний, выполняют по зависимости:

$$\Delta A = \frac{A_r - A_y}{A_y}, \quad (6)$$

где A_r - среднее (нормативное) значение геотехнического показателя установленного в лаборатории; A_y - среднее значение того же показателя, вычисленного по корреляционным зависимостям.

Количественную тесноту связи значений A_r и A_y следует оценивать руководствуясь таблицей 2:

Таблица 2

Значения ΔA	Показатели			
	Объемный вес (плотность)	Влажность	Модуль деформации	Сопротивление срезу
0	очень хорошая			
0 – 0,05	удовлетворительная	хорошая		
0,05 – 0,10	слабая	удовлетворительная		
более 0,10	очень слабая			

Используя формулу 1, по установленному корреляционному уравнению строят рабочие тарировочные номограммы, которые используют в течение всего периода геотехнического контроля сооружений. Пример совмещенной рабочей тарировочной номограммы «плотность – скорость» и «влажность – скорость» приведен на рис. 1, [2].




Рис. 1. Рабочая тарировочная номограмма

Корреляционные связи между скоростью продольных ультразвуковых волн V_p и влажностью грунта W могут иметь как прямую, так и обратную зависимость и, в общем случае, аппроксимируются линейными уравнениями вида:

$$W_y = \pm a \pm b \lg V_p, \quad (7)$$

где a и b постоянные для данной разновидности грунта.

Для установления численных значений этих постоянных строят график связи лабораторных значений влажности W и скорости продольных волн V_p , или $\lg V_p$. По нанесенным на графике точкам проводят прямую, на которой выбирают две достаточно удаленные друг от друга точки с координатами $W_1, \lg V_1$ и $W_2, \lg V_2$ и из двух уравнений

$$\left. \begin{aligned} W_1 &= a + b \lg V_1 \\ W_2 &= a + b \lg V_2 \end{aligned} \right\} \quad (8)$$

определяют параметры:

$$a = \frac{W_2 \lg V_1 - W_1 \lg V_2}{\lg V_1 - \lg V_2}$$

$$b = \frac{W_1 - W_2}{\lg V_1 - \lg V_2} \quad (9)$$

Оценку сходимости значений W_y , вычисленных по корреляционному уравнению лабораторными значениями выполняют по условию 5. По установленному корреляционному уравнению строят тарифовочную номограмму «влажность – скорость» (рис.1).

Примеры тарифовочных номограмм, построенных по корреляционным уравнениям, приведены на рисунках 2 и 3.

Таблица 3

Корреляционные уравнения для определения деформационных и прочностных характеристик грунтов

Показатель физико-механических характеристик	Корреляционные уравнения
Модуль деформации	Общий вид - $E = K_1 E_g$ пески и супеси - $E = K_z (0,74 V_p^2 \gamma)$ суглинки - $E = K_e (0,62 V_p^2 \gamma)$ глины - $E = K_e (0,39 V_p^2 \gamma)$
Модуль осадки	Общий вид - $M = K_m E_g$ пески и супеси - $M = K_m (0,74 V_p^2 \gamma)$ суглинки - $M = K_m (0,62 V_p^2 \gamma)$ глины - $M = K_m (0,39 V_p^2 \gamma)$
Тангенс угла внутреннего трения	Общий вид - $\operatorname{tg} \varphi = k_\varphi G$ пески и супеси - $\operatorname{tg} \varphi = K_\varphi (0,59 V_p)^2 \gamma$ суглинки - $\operatorname{tg} \varphi = K_\varphi (0,48 V_p)^2 \gamma$ глины - $\operatorname{tg} \varphi = K_\varphi (0,37 V_p)^2 \gamma$
Удельное сцепление	Общий вид - $C = K_c G$ пески и супеси - $C = K_c (0,59 V_p)^2 \gamma$ суглинки - $C = K_c (0,48 V_p)^2 \gamma$ глины - $C = K_c (0,37 V_p)^2 \gamma$

В формулах приняты следующие обозначения: K_E , K_M , K_ϕ , K_C - постоянные для данной разновидности грунта, устанавливаемые путем аналитической или графической обработки вариационных рядов геотехнических и акустических испытаний; E_g - модуль упругости Юнга; G - акустический модуль сдвига; μ - коэффициент Пуассона, принимаемый равным: для пескови супесей - 0,30, суглинков - 0,35, глин - 0,42.




Рис. 2. Номограмма для определения модуля деформации, E_p кгс/см²




Рис. 3. Номограмма для определения $tg \phi$ и C

Выводы

Производственные испытания прессиометрического метода на плотине Алгетского водохранилища (соответствующие цифровые показатели приведены в таб. 4) показали хорошие результаты, что указывает на практическую применимость метода для строительного и мониторингового контроля тела земляных плотин [3].

Таблица 4

Влажн., W	Объемная масса, т/м ³		Высота образца, L _{мм}	Время пробега волны, с		(t ₁ +t ₂)/2, с	V _p , м/сек	lgV _p	K _γ	γ _y	$\frac{\gamma}{\gamma_y}$
	Влажн.	Скел.		t ₁	t ₂						
15,5	1,95	1,69	95	101	105	103	527	2,97	0,57	1,71	0,99
17,8	1,94	1,65	96	129	125	127	756	2,88	0,57	1,66	0,99
21,5	2,11	1,74	99	100	96	98	1020	3,00	0,58	1,73	1,01
22,6	2,10	1,74	100	86	84	85	1176	3,07	0,57	1,77	0,98
23,4	2,05	1,67	95	150	150	160	633	2,80	0,60	1,62	1,03
26,9	2,02	1,57	93	138	134	136	684	2,84	0,55	1,64	0,96

Литература

1. Рекомендации по испытанию грунтов методом прессиометрии. ПНИИИС Госстроя СССР. Стройиздат 1985 г.
2. Итриашвили Л.А., Хосрошвили Е.З., Натрошвили Г.Т. Методика расчета устойчивости верхового откоса грунтовых плотин при переменном напорном режиме. Сборник трудов Института водного хозяйства им. Ц. Мирцхулава Грузинского технического Университета, № 71, 2016.
3. Абелишвили Г.В., Тевзадзе Т.В., Итриашвили Л.А. Результаты прессиометрических определений плотности плотины на р. Алгети. Труды ГрузинГим, Тбилиси, 1991.

ОСОБЕННОСТИ И ПЕРСПЕКТИВЫ ОРОШЕНИЯ ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ (БАССЕЙН Р. КУРА)

Итриашвили Л.А., Глунчадзе М.

Институт водного хозяйства им. Ц. Мирцхулава
Грузинского технического университета
пр. И. Чавчавадзе 60^б, г. Тбилиси, 0179, Грузия
E-mail: *itriashvili@mail.ru*

Введение

Более 70% территории Восточной Грузии (бассейн р. Кура) расположена на высоте 500 – 1800 м и представляет собой зону интенсивного земледелия. Однако, рельефные и климатические условия, режим и география стока рек, а также аридность территории определяют особенности водных ресурсов, которые в свою очередь определяют особенности водных отношений.

Одной из главных особенностей региона является тало-дождевое питание рек аридной зоны, что обуславливает специфический характер стока, который, в отличие от рек ледникового питания, не совпадает с ирригационными режимами, так как максимальное водопотребление приходится на меженный период. Следует также отметить, что хотя удельные показатели водных ресурсов Восточной Грузии (на душу населения более 4600 м³/год) не только не ниже, но часто и выше тех же показателей других стран аридной зоны, условия их использования специфичны и сложны. Следует также учитывать, что водопотребление Азербайджана во многом зависит от передаваемого Грузией стока. Кроме того, сравнительно малые площади расположения сельхозугодий как по горизонтали, так и по высоте, также осложняют устройство оросительных сетей. Положительным фактором можно считать возможность самотечного полива. Все выше сказанное и определяет специфичность и особенности орошения этого региона.

Основная часть

В связи с тем, что специфичность ирригации Восточной Грузии насчитывает тысячелетия, не меняется и в обозримом будущем не будет меняться, вопросы орошения следует рассматривать по историческим периодам, которые можно подразделить на шесть основных этапов:

1. До вхождения в состав Российской империи;
2. В составе Российской империи;
3. От советизации до Второй мировой войны;
4. После Второй мировой войны до 1965 г;
5. От 1965 г до восстановления государственности Грузии;
6. После восстановления государственности Грузии.

Этап 1 - по имеющимся историческим сведениям орошение в бассейне р. Кура и, в частности, Восточной Грузии существовало уже в третьем тысячелетии до нашей эры. В силу густоты гидрографической сети и сложности рельефа оросительные системы характеризовались малыми расходами каналов и малыми площадями орошения. Это облегчало их строительство и быстрое восстановление после разрушительных вражеских нашествий, что способствовало физическому сохранению народа и государства.

Схема оросительных систем Восточной Грузии, которая, в основном, была создана в античную эпоху, была унаследована феодальной Грузией. По мере усиления центральной власти вода переходит во владение правителей. На протяжении всей истории ослабления центральной власти

всегда наблюдался спад ирригации, что характерно исключительно для Грузии. Особенного расцвета орошение достигло в X-XV веках, когда по историческим сведениям площадь орошаемых земель составляла более 130 000 га.

В последующие века монгольское, иранское, арабское и сельджукское нашествия раздробило Грузию и ослабили царскую власть, что привело к уничтожению крупных оросительных систем, однако сельское хозяйство в целом было спасено мелкой, легковосстанавливаемой оросительной сетью. В XVIII веке относительное затишье дало возможность, в основном, восстановить разрушенные системы. Этот период характеризуется как орошение без ограничений т.е. полным обеспечением водой.

Этап 2 - хотя в момент присоединения к Российской империи ирригационное хозяйство Грузии состояло из довольно развитой сети мелких оросительных каналов протяженностью 1752 км и могло обслуживать свыше 100 000 га площадей (таблица 1), никаких перемен к лучшему не происходило.

Таблица 1

Наименование водного округа	Количество основных рек	Площадь орошения, га	Длина каналов, км
Кахетинский	12	7012	160
Тбилисский	31	29643	312
Марнеульский	6	33232	496
Горииский	20	37594	568
Ахалцихский	18	2872	216
Всего	87	109353	1752

Это объясняется рядом причин: с одной стороны затянувшиеся на Кавказе военные действия, а с другой - достаточное количество сельхозпродукции, как для внутреннего потребления, так и для нужд армии. Кроме того, была нарушена старая правовая система управления ирригацией, что привело к полной неразберихе и отсутствию контроля водопотребления, Российская же империя соответствующих законов не имела. Во второй половине XX века зарождающийся в России капитализм потребовал развитие орошения в Восточном Закавказье, в основном, для производства необходимого для хлопковой мануфактуры сырья. Были разработаны проекты строительства крупных оросительных каналов (Нижне - Караяский 225 км, Аксуинский – 375 км, Елизаветпольский 375 км и др.), но все они покрывали, в основном, территорию нынешнего Азербайджана и почти не касались территории Восточной Грузии, где была построена лишь одна Мариинская (Гардабанская) оросительная система (15 тыс га), которая в силу ряда причин практически не функционировала. Орошение Восточной Грузии оставалось фактически на прежнем уровне, но, несмотря на это, производство сельхозпродукции было вполне достаточным для внутренних нужд.

Этап 3 - в 1921 году после оккупации Грузии Советской Россией водные отношения перешли в ведение государства совершенно новой общественной формации. Национализация земель, создание колхозов и совхозов привели к необходимости строительства крупных оросительных систем, соответствующих крупному общественному земледелию и резкому увеличению водопотребления в орошении. Этот период характеризуется восстановлением запущенных и пришедших в негодность старых оросительных каналов и началом строительства новых оросительных систем. Оросительный фонд возрос на 146 тыс га и составил 241 тыс га. Необходимо отметить, что такой прирост происходил, в большинстве случаев, за счет реабилитации старых мелких и средних каналов и строительства малых оросительных систем (Машвельская, Тирипонская, Алазанская), которые проходили по историческим трассам. Указанный период характеризуется как орошение без ограничений, т.е. полной обеспеченностью водой.

Этап 4 - характеризуется широким развитием водохозяйственного строительства. Были построены совершенно новые оросительные системы (Верхне-Самгорская, Салтвийская, Мухранская, Тези-Окамская, Ташикарская, Телетская и другие, а также водохранилища - Сионское - 300 млн м³ и Тбилиское - 160 млн м³), что должно было обеспечить орошение ранее неосвоенных земель площадью 130 тыс га, которые предназначались, в основном, под монокультуры (сады и виноградники). В этот период уже ощущается недостаток водопотребления, на загруженных реках резко уменьшается сток и, соответственно, уменьшается водообеспечение.

Этап 5 - пожалуй самый масштабный и противоречивый. Создались оросительные системы - Цнорский комплекс, а также Алгетское, Зонкарское, Кушисхевское и др. водохранилища общим объемом 125 млн м³. Прирост орошаемых площадей составил 136 тыс га. Однако, несмотря на внешнее благополучие, положение в ирригации было не столь радужным.

В погоне за количественными показателями наряду с «орошаемыми землями» появились «земли с оросительной сетью». В отчетности - как орошаемые учитывались земли, так называемой «малой мелиорации», хотя этот термин не нес какую либо конкретную техническую характеристику. Старые оросительные системы восстанавливались и, таким образом, в орошение вовлекались дополнительные площади. При этом, нарушалось исторически установившееся равновесие между водными ресурсами, орошаемой площадью и пропускной способностью каналов. Приростные земли орошались за счет ограничения в воде земель прежнего орошения, преимущественно, индивидуального пользования. Здесь же немаловажно отметить, что по статистическим данным, доля именно этих хозяйств, площадь которых не превышала 10% от всех сельхозугодий, общая продукция сельского хозяйства составляла: картофель 50%, овощи 50%, зерновые 28%, фрукты 55%, виноград 46%. В животноводстве: мясо 56%, птица 37%, молочные продукты 42%, яйца 28%.

Практически большинство приростных земель были ориентированы на производство садовых культур и винограда, что фактически означало переориентацию сельского хозяйства на монокультуры для обеспечения потребностей СССР.

Оросительные системы в подавляющем большинстве не соответствовали техническим требованиям. Более 70% каналов проходили в открытых руслах, из них около 80% приходилось на земляные, в результате чего из-за больших фильтрационных потерь значительная часть подкомандных площадей орошалась заниженными поливными нормами, а часто и выпадало из орошения. Низкая обеспеченность оросительных систем водохранилищами во много раз снижала водопотребление, которая была значительно ниже расчетного. Из общей полезной емкости ирригационных водохранилищ (730 млн м³) для обеспечения Верхне-Самгорской и Нижне-Самгорской систем (57,3 тыс га) было зарегулировано 485 млн м³ или 74% воды. На остальные 390 тыс га приходилось всего 245 млн м³ или 26%, что минимум в 8 раз ниже расчетного. Естественно, что такая низкая водообеспеченность в конечном итоге сказывалось на урожайности, которая была чрезвычайно низка и покрывалась как и в ирригации - приписками.

В целом этот период можно охарактеризовать как первый в истории Восточной Грузии, когда спрос на оросительную воду был существенно выше, чем имеющиеся возможности.

Этап 6 - после обретения независимости и восстановления государственности Грузия, получила в наследство весь комплекс ирригационного хозяйства со своими положительными и отрицательными сторонами. К сожалению, в связи с внутренними неурядицами, военными действиями, переворотами, анархией в народном хозяйстве, эмиграцией почти 30% населения и т.д. - ирригация, а вместе с ней и сельское хозяйство пришли в упадок. Грузия оказалась единственной республикой СССР, которая допустила полную парализацию сельского хозяйства, перерабатывающей промышленности и орошения, выпустив из рук возможности преобразования традиционных крупных хозяйств и их адаптацию с рыночной средой. В результате, обладая достаточными земельными и водными фондами, впервые в своей истории страна превратилась в нетто-импортера пищевых продуктов. На сегодняшний день продукция сельского хозяйства

составляет лишь 9,2% всей внутренней продукции страны, хотя 50% населения являются сельскими жителями, но, в основном, заняты самообеспечением.

Как видно из приведенных показателей (таблица 2), Восточная Грузия впервые в своей истории оказалась перед шокирующим фактом – водообеспечение превысило спрос на оросительную воду.

Таблица 2

Орошаемый земельный фонд, га	Водообесп. земельный фонд, га	Фактически орошенная площадь, га	Водоотем для орошения, тыс м ³	Фактическая водоподача, тыс м ³	Потери воды, тыс м ³	Водоотем на 1 га, м ³	Водоподача, м ³
279578	82425	41357	684133	380662	303471	16,5	7,3
100%	30%	15%	100%	55%	45%	100%	45%

Если на этот факт посмотреть с другой стороны, то окажется, что даже при нынешнем положении можно обеспечить поливной водой до 100 тыс га. Если же привести в порядок часть оросительной сети и снизить потери до минимума, в самый короткий срок площадь орошаемых земель увеличится втрое.

Резюмируя все выше приведенное можно утверждать - исходя из имеющихся возможностей площадь орошаемых земель в обозримые сроки возможно довести до 250 тыс га.

Выводы

В настоящий период продолжается интенсивное строительство водохозяйственных объектов. Введены в эксплуатацию Верхне-Алазанская, Нижне-Самгорская, Сагурамская, Кавтисхевская, Тедзамская оросительные системы. В силу густоты географической сети и сложности рельефа оросительные системы Восточной Грузии исторически характеризовались малыми расходами каналов и малыми площадями орошения, что облегчало их строительство и восстановление и во многом предопределило физическое сохранение народа и государства.

Относительная легкость выведения воды из источников и подачи ее потребителям без дополнительной подкачки обуславливается гипсометрическим командованием над территорией.

Особенностью водных ресурсов Восточной Грузии является тало-дождевой режим стока, что требует сезонного перерегулирования стока в водохранилищах, которые исходя из топографических условий расположены, в основном, на малых и средних реках.

К настоящему времени ирригационное хозяйство Восточной Грузии располагает оросительной сетью длиной 231 880 км и водохранилищами полезным объемом 730 млн м³. Конечно, это хозяйство запущено, во многом вышло из строя и не соответствует техническим требованиям, но при должном внимании со стороны государства (реабилитация и усовершенствование ирригационного хозяйства, кооперирование владельцев мелких наделов, организация ассоциации потребителей воды и др) в перспективе может обеспечить качественное орошение не менее 250 тыс га. Причем, все строительно-ремонтные работы, организационные мероприятия государство на определенный период должно взять в свои руки, чтобы не допустить противоречия между водообеспечиванием и водопотреблением. При условии же правильного ведения сельского хозяйства и получения высоких урожаев, страна может не только обеспечить себя достаточной сельхозпродукцией, но и осуществлять ее экспорт в существенных объемах.

Главное - не повторять ошибки прошлого, не ориентироваться на монокультуры, а развивать многоотраслевое сельское хозяйство, чтобы вновь не превратится в придаток какого либо рынка.

Литература

1. Колесников В. И. Экология и водные отношения Грузии, Мецниереба, Тбилиси, 1992.
2. Ресурсы поверхностных вод СССР, том 9, Закавказье и Дагестан, Гидрометиздат, Ленинград, 1974.
3. Иорданишвили И.К., Гавардашвил и Г.В., Иремашвили И. Р., Вартанов М.В., Иорданишвили К.Т. Кадастр водных запасов Грузии, Универсал, Тбилиси, 2018.
4. Кавказский календарь, Тифлис, 1905.
5. Грузия, реформы в пищевой промышленности и сельском хозяйстве, Всемирный банк, Вашингтон, 1996.
6. Киквидзе Н.А. Орошение в древней Грузии, Мецниереба, Тбилиси, 1963.
7. Стратегия развития сельского хозяйства Грузии, 2015-2020 годы, Министерство сельского хозяйства Грузии, Тбилиси, 2014.
8. Индикаторы развития мира. Грузия, Всемирный банк, Вашингтон, 2015.

სარწყავი სისტემების შიდასამეურნეო ქსელის ექსპლუატაციის პერსპექტივები

ე. კერხოშვილი, მ. ვართანოვი, ვ. შურღაია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის
წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 60^ბ, 0179, თბილისი, საქართველო
E-mail: v.martin.hm@mail.com

შესავალი

საექსპლუატაციო ორგანიზაციების მოვლა-შენახვის ხარჯების განსაზღვრისას პრინციპულ მნიშვნელობას იძენს სარწყავი სისტემის ექსპლუატაციაზე ფუნქციების გამიჯვნა. ტრადიციულად, საექსპლუატაციო ორგანიზაცია პასუხისმგებელი იყო სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობასა და უფროსი რიგის გამანაწილებელ არხებზე, რომელთა მომსახურების ზონაში შედიოდა ერთი ან რამდენიმე მეურნეობა. უკანასკნელი რიგის მუდმივი გამანაწილებლები და დროებითი ქსელი, რაც ცნობილი იყო შიდასამეურნეო ქსელის სახელით, იმყოფებოდა მეურნეობის ბალანსზე და მისი მოვლა-პატრონობა მეურნეობის ფუნქციებში შედიოდა. XX საუკუნის მიწურულს, მეურნეობების დაშლასა და ფართობების მცირე ზომის კერძო ნაკვეთებად განაწილებასთან ერთად აღნიშნულმა დაყოფამ დაკარგა აზრი და საექსპლუატაციო ორგანიზაციები, ხშირ შემთხვევაში, იძულებული ხდებიან, მოსახლეობის მოთხოვნით, ყოველწლიურად, მოაწყონ დროებითი ქსელის უფროსი რიგის არხები. მეურნეები უზრუნველყოფენ მხოლოდ მათი ნაკვეთების მოსარწყავად კვლების მოწყობას. ამის შედეგად საექსპლუატაციო ორგანიზაციებს დაემატა საკმაოდ შრომატევადი სპეციფიკური სამუშაო, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა სარწყავი სისტემების მოვლა-შენახვის ხარჯები.

ძირითადი ნაწილი

ქვეყნის განვითარების დღევანდელი ეტაპის ძირითადი მოთხოვნაა ფერმერებში საზოგადოებრივად და სოციალურად აქტიური ცხოვრების წესის ჩამოყალიბება და მათი ჩართვა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მართვაში. ამ თვალსაზრისით მიზანშეწონილია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება – ფერმერების გაერთიანების (პირობით ამხანაგობების) ჩამოყალიბება, მით უფრო, რომ ასეთი გამოცდილება უკვე არსებობს. XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოში მსოფლიო ბანკის დაფინანსებით დაიწყო ამგვარი გაერთიანებების ჩამოყალიბება. ზოგიერთი დადებითი ასპექტის მიუხედავად, გარკვეული სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო, ეს წამოწყება 4-5 წლის შემდეგ გაჩერდა. სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაციის ოპტიმალური სქემის დასამუშავებლად აუცილებელია აღნიშნული სამუშაოს დასრულება გამოვლენილი ნაკლოვანებების გათვალისწინებით.

აქტიური მონაწილეობისთვის მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელი მართვის სტრუქტურები, რომლებიც განახორციელებენ წყლის მართვას და მოახდენენ შრომითი და მატერიალური რესურსების მობილიზებას ამხანაგობის მომსახურების ტერიტორიაზე არსებული სამელიორაციო ქსელის ექსპლუატაციისთვის.

ამხანაგობები უნდა შეიქმნას ტერიტორიული პრინციპით, ე.ი. ძირითადად იგი უნდა აერთიანებდეს ერთი სოფლის ფერმემებს იმ შემთხვევაშიც, თუ სოფელს ემსახურება ერთი საექსპლუატაციო ორგანიზაციის რამდენიმე დამოუკიდებელი არხი. ვინაიდან ნავარაუდევია ამხანაგობის, როგორც დამოუკიდებელი არასახელმწიფო მართვის სტრუქტურის ჩამოყალიბება, სასურველია იგი აერთიანებდეს ფერმერთა მნიშვნელოვან რაოდენობას, რაც უზრუნველყოფს ამხანაგობის ფინანსურ სიმძლიერეს. აქედან გამომდინარე, ერთი სარწყავი სისტემის მომსახურების ზონაში შესაძლებელია ერთი საკრებულოს (რაიონის) რამდენიმე სოფლის გაერთიანება. ამხანაგობა აუცილებლად უნდა შეიქმნას ნებაყოფილობით. ამხანაგობის ფუნქციონირების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს წევრთა კრება.

თუ ამხანაგობის ნაკვეთებს ემსახურება რამდენიმე გამანაწილებელი (დამოუკიდებელი არხი) ან ამხანაგობა შექმნილია რამდენიმე სოფლის ფერმერების მიერ, იმისთვის, რომ კრების გადაწყვეტილება ერთნაირად სამართლიანი იყოს ყველასთვის, კრებას უნდა ესწრებოდეს სოფლის ამ უბნების, და ამ სოფლების ფერმერთა საერთო რაოდენობიდან კვორუმისთვის საჭირო რაოდენობის წევრი.

წევრთა კრებებს შორის პერიოდებში ამხანაგობის მმართველი ორგანო არის **საბჭო**. თუ ამხანაგობა შექმნილია რამდენიმე სოფლის ან სხვადასხვა არხებზე ჩამოკიდებული ნაკვეთების მფლობელი ფერმერებისგან, საბჭოში აუცილებლად უნდა იყოს მათი წარმომადგენლები.

საბჭო თავისი რიგებიდან ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც წარმოადგენს ამხანაგობის ინტერესებს სოფლის (სოფლების) და რაიონის ხელმძღვანელობაში და ახორციელებს მის ყოველდღიურ ოპერატიულ მართვას.

ამხანაგობის საბჭოს წევრებად და განსაკუთრებით თავმჯდომარედ არჩეული უნდა იყვნენ ავტორიტეტული პირები, ე.წ. არაფორმალური ლიდერები, რომელთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი არ გამოიწვევს ეჭვს მოსახლეობაში და მისაღები იქნება ამხანაგობის ყველა (უმეტესი) წევრისთვის.

იმისათვის, რომ ამხანაგობის გადაწყვეტილებებს ჰქონდეს უფრო მეტი წონა, სასურველია თავმჯდომარე (საბჭოს წევრი) იმავდროულად იყოს არჩეული სოფლის გამგეობაშიც.

საბჭომ, ამხანაგობის პრაქტიკული საქმიანობის წარმართვისთვის, უნდა შეარჩიოს აღმასრულებელი მენეჯერის კანდიდატურა, იგი შეიძლება არ იყოს ამხანაგობის წევრი, მაგრამ სასურველია იყოს ამ სოფლის ან, უკიდურეს შემთხვევაში, რაიონის მაცხოვრებელი. მიზანშეწონილია, მენეჯერს ჰქონდეს ტექნიკური განათლება (ბაკალავრის დონეზე მაინც), უმჯობესია სასოფლო-სამეურნეო მეღიორაციის განხრით.

ამხანაგობა თავისი მომსახურების ტერიტორიის ფარგლებში ექსპლუატაციას გაუწევს სამეღიორაციო ქსელს და მასზე არსებულ ნაგებობებს. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს საირიგაციო/სადრენაჟო შიდასამეურნეო ქსელების არხებისა და კოლექტორების, მარტივი ტიპის ჰიდროტექნიკური ნაგებობების, ცალკე მდგარი ტუმბო-აგრეგატების, ჭების (ჭაბურღილების), ლოკალური სისტემების მოწყობას, რემონტსა და მოვლა-პატრონობას.

ამხანაგობამ წყლის მიღებისათვის ხელშეკრულება უნდა გააფორმოს შპს „საქართველოს მეღიორაციის“ შესაბამის სერვის-ცენტრთან, რომელსაც იგი გადაუხდის წევრებისაგან აკრეფილ მოხმარებული წყლის საფასურს.

სარწყავი სეზონის დასრულებისთანავე აღმასრულებელმა მენეჯერმა უნდა უზრუნველყოს ამხანაგობის სარწყავი ქსელის მდგომარეობის შესწავლა (ინვენტარიზაცია) და დასახოს აუცილებლად ჩასატარებელი სარემონტო ღონისძიებანი. ეს ჩამონათვალი

დამტკიცებული უნდა იყოს წევრთა კრების მიერ და შესრულდეს დამდეგ გაზაფხულამდე, დროებითი ქსელის მოწყობასთან ერთად.

ამხანაგობის სარწყავი ქსელის რემონტის, მოვლა-შენახვისა და დროებითი ქსელის მოწყობის სამუშაოები უნდა შესრულდეს ამხანაგობის წევრების მიერ უსასყიდლოდ. ამხანაგობის წევრის კუთვნილი ტექნიკის გამოყენების შემთხვევაში უნდა ანაზღაურდეს საწვავ-საცხები მასალის ხარჯი და ტექნიკის რემონტი, თუ იგი გაფუჭდება. სამუშაოების შესრულების დროს, თუ გარკვეული სამუშაოების შესასრულებლად ამხანაგობას არ გააჩნია შესაბამისი ტექნიკა ან ამხანაგობის წევრებს – სათანადო კვალიფიკაცია, ამხანაგობის მენეჯერმა უნდა დაიქირაოს სათანადო ტექნიკა ან სპეციალისტები.

ამხანაგობის ტერიტორიაზე მდებარე სერვის-ცენტრის ბალანსზე რიცხული არხებისა და ნაგებობების მოვლა-შენახვისა და სარემონტო სამუშაოების ჩატარების დროს სასურველია კვალიფიკაციის მიხედვით ამხანაგობის წევრების უპირატესი დასაქმება (დაქირავება) სამუშაოთა წარმოებაზე სერვის-ცენტრის სპეციალისტების კონტროლით.

მომავალი სარწყავი სეზონის დაწყებამდე ამხანაგობის წევრებთან და არაწევრ მომხმარებლებლებთან ერთად უნდა შეგროვდეს ინფორმაცია მომსახურების ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების განლაგების გეგმის შესახებ. ამ ინფორმაციის საფუძველზე აღმასრულებელმა მენეჯერმა უნდა შეადგინოს ფართობების რწყვის გეგმა-გრაფიკი და დაადგინოს ნაკვეთების რწყვის რიგითობა, რომელიც შემდგომ მკაცრად უნდა იყოს დაცული.

სარწყავი სეზონის განმავლობაში აღმასრულებელმა მენეჯერმა დაქირავებულ მუშაკებთან (მრწყველებთან) ერთად უნდა უზრუნველყოს წყლის მიყვანა ყოველ ნაკვეთამდე, რწყვის შემუშავებული გრაფიკის მიხედვით. რიგითობის დაცვის ზედამხედველობა უნდა განახორციელონ მრწყველებმა.

ვინაიდან სამელიორაციო სისტემები აღჭურვილია ძირითადად ხარჯის გამზომი მოწყობილობებით, მოხმარებული წყლის კონტროლი მენეჯერმა უნდა განახორციელოს ყოველდღიურად, სერვის-ცენტრის წარმომადგენელთან ერთად. ერთსა და იმავე დროს თუ გამანაწილებელი არხი ემსახურება ერთი ამხანაგობის ფართობს, წყალმზომი უნდა მოეწყოს გამანაწილებელ კვანძთან (სათავე ნაგებობასთან), ამხანაგობის ფართობების დასაწყისში; თუ გამანაწილებელი არხით ირწყვება რამდენიმე ამხანაგობის მიწები, წყალმზომები დამატებით უნდა მოეწყოს ამხანაგობების საზღვრებზე.

ამხანაგობა ფერმერთა და სოფლის მცხოვრებთა ნებაყოფილობითი არასახელმწიფო გაერთიანებაა, ამდენად მისი ფინანსური დამოუკიდებლობა გარანტირებული უნდა იყოს საწევრო გადასახადითა და გაწეული სამელიორაციო მომსახურების საფასურით. გარდა ამისა, ამხანაგობამ უნდა დაფაროს მოხმარებული სარწყავი წყლის ღირებულება „საქართველოს მელიორაციის“ მიერ დადგენილი ტარიფისა და სერვის-ცენტრის მიერ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით. ეს ცხადყოფს, რომ ამხანაგობის ფინანსური სიძლიერე მთლიანად არის დამოკიდებული მომსახურების გადასახადის სწორედ განსაზღვრასა და მოსახლეობის გადახდისუნარიანობაზე.

ამხანაგობის ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი ფორმირდება მისი წევრების საწევრო შენატანით და გადასახადით წევრებისა და არაწევრი მოსახლეობის სამელიორაციო მომსახურებაზე. საირიგაციო ამხანაგობებში მოხმარებული სარწყავი წყლის საფასური, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება შეიკრიბოს მომსახურების გადასახადთან ერთად,

ამხანაგობის ბიუჯეტში არ შედის, ვინაიდან შეგროვებისთანავე გადაირიცხება ადგილობრივი სერვის-ცენტრის ანგარიშზე.

საწევრო შენატანი და მომსახურების გადასახადი განსაზღვრული უნდა იყოს იმ ოდენობით, რომ დაფაროს ამხანაგობის ყველა ხარჯი. საწევრო შენატანი დამოკიდებული უნდა იყოს მხოლოდ ამხანაგობის წევრთა რაოდენობაზე, მათი ნაკვეთების სიდიდის მიუხედავად და მიიღება მუდმივად ამხანაგობის ფუნქციონირების მთელი დროის ან საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

სამელიორაციო მომსახურების გადასახადის სიდიდე, დამოკიდებული ამხანაგობის ხარჯების სიდიდეზე, შეიძლება ყოველწლიურად იცვლებოდეს. მომსახურების ხარჯების გადახდა უნდა იყოს ნაკვეთის ფართობის მიხედვით. ეს გადასახადი დაანგარიშდება დიფერენცირებულად – ამხანაგობის წევრი და არაწევრი მომხმარებლისათვის ისე, რომ ნაკვეთის ერთნაირი სიდიდის შემთხვევაში ამხანაგობის წევრის საწევრო შენატანისა და მომსახურების გადასახადის ჯამი ნაკლები იყოს არაწევრი ფერმერის მომსახურების გადასახადზე.

ბიუჯეტის გასავალი ნაწილი მოიცავს დაქირავებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურებას, სარწყავი ქსელის მოვლა-შენახვისა და რემონტის მასალების საფასურს, საოფისე და სამივლინებო ხარჯებს და ბანკის სესხით შესაძლო მომსახურებას. გარდა ამისა, გათვალისწინებული უნდა იყოს სახსრები ამხანაგობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისთვის და თანხა გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის.

ამხანაგობის ფუნქციონირების იდეიდან გამომდინარე, საბჭოს წევრები და თავმჯდომარე თავის მოვალეობებს ასრულებენ საზოგადოებრივ საწყისებზე, მათ უნაზღაურდებათ მხოლოდ სამივლინებო ხარჯები (მივლინების შემთხვევაში), გარდა ამისა, ამხანაგობის წევრთა თანხმობითა და გადაწყვეტილებით წარმატებული მუშაობისათვის, წლის ბოლოს, თავმჯდომარეს შეიძლება გამოეწეროს პრემია.

მთელი წლის განმავლობაში ხელფასი გამოეწერება მხოლოდ აღმასრულებელ მენეჯერსა და ამხანაგობის ბუღალტერს, ამავდროულად დასაშვებია ბუღალტერი მუშაობდეს ამხანაგობაში შეთავსებით. სხვა დაქირავებული მუშაკები (მრწყველები, ტექნიკის მომვლელები და ა.შ.) ანაზღაურებას იღებენ, ფაქტიურად, შესრულებული სამუშაოსათვის (დროის გარკვეულ პერიოდში).

ჩამოყალიბებისთანავე ამხანაგობას უვადო სარგებლობაში უნდა გადაეცეს მის ტერიტორიაზე არსებული შიდასამეურნეო ქსელი – ბოლო რიგის გამანაწილებლები მათზე არსებული ნაგებობებით და დროებითი არხები. ცალკე მდგარი ტუმბო-აგრეგატები და ჭები (ჭაბურღილები), მათზე მოწყობილი ლოკალური სარწყავი ან დაშშრობი ქსელით წარმოადგენს ამხანაგობის საკუთრებას. საკუთრებაში გადაეცემა აგრეთვე დასაწვიმებელი დანადგარები (აპარატები) და წვეთოვანი რწყვის მოწყობილობათა კომპლექტები.

ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ამხანაგობას გააჩნდეს საკუთარი ან მუშაობის საწყის ეტაპზე იჯარით აღებული ტექნიკა – ტრაქტორები, არხმჭრელები და ა.შ., იმ რაოდენობით, რაც სჭირდება ამხანაგობის ფართობზე დროებითი ქსელის მოწყობას.

დასკვნა

შემოთავაზებული ამხანაგობების შექმნით შეიძლება გადაწყდეს როგორც საინჟინრო-ეკონომიკური, ასევე სოციალური ხასიათის მთელი რიგი ამოცანები:

1. მოწესრიგდება შპს „საქართველოს მელიორაციის“ სერვის-ცენტრების მუშაობა - მათ მოეხსნებათ არაპროფილური, ხარჯიანი და შრომატევადი სამუშაო, დროებითი ქსელის ყოველწლიური მოწყობა;
2. გაადვილდება სარწყავი წყლის გადახდის პროცედურა - ამხანაგობის წევრი და მომხმარებელი ასეული ფერმერების ნაცვლად გადახდა მოხდება ცენტრალიზებულად, ამხანაგობის მიერ;
3. ე.წ. შიდასამეურნეო ქსელს გამოუჩნდება პატრონი, რომელიც იზრუნებს მის გამართულ, მუშა მდგომარეობაში ყოფნაზე;
4. ხელი შეეწყობა ფერმერებში საზოგადოებრივად და სოციალურად აქტიური ცხოვრების წესის ჩამოყალიბებას, ე.წ. არაფორმალური ლიდერების სოფლის ცხოვრებაში ოფიციალურ ჩართვას.

ლიტერატურა

1. მ. ვართანოვი. „საქართველოს სარწყავი სისტემების ტექნიკური ექსპლუატაცია თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით“. სტუ-ს გამომცემლობა 2016 წ. 196 გვ.
2. მ. ვართანოვი, ე. კეჩხოშვილი, შ. კუპრეიშვილი. „ინვესტიციების ეკონომიკური შეფასების თანამედროვე მეთოდები წყალთა მეურნეობაში“. სტუ-ს გამომცემლობა, 2017 წ. 204 გვ.
3. მ. ვართანოვი, თ. სტურუა. „წყალსარგებლობის ეკონომიკა“. სტუ-ს გამომცემლობა, 2011 წ. 207 გვ.
4. მ. ვართანოვი, ვ. სამხარაძე, ლ. კეკელიშვილი. „წყალმომხმარებელთა ასოციაციების ფორმირებისა და ფუნქციონირების პრინციპები“. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული №63, თბილისი, 2007 წ. გვ. 62–67.

მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირის მცირე მდინარეების ეკოლოგიური მდგომარეობა და მათი შეფასება

შ. კუპრეიშვილი, პ. სიჭინავა, თ. სუპატაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ი. ჭავჭავაძის გამზ.60^ბ, 0179, ქ. თბილისი, საქართველო
*E-mail: shorena12@mail.ru; p.sichinava@gmail.com;
tamunasupatashvili@gmail.com*

წყლის რესურსები ყოველთვის განაპირობებდა ადამიანთა დასახლებების - სოფლების, დაბების და ქალაქების წარმოშობას. წყალი არის დასახლებების განვითარების მასტიმულირებელი ან შემზღუდავი ფაქტორი. ამ მხრივ არც თბილისია გამონაკლისი. რელიეფის თავისებურებებთან ერთად, თბილისის განვითარებასა და ფორმირებაში უდიდეს როლს ჰიდროქსელი თამაშობს. ძირითადი წყლის არტერია, რომელიც ამავე დროს საქალაქო გეგმარებითი კარკასის ბუნებრივ ღერძს წარმოადგენს, მდ. მტკვარია. ის ქალაქის დაარსებიდან დღემდე განსაზღვრავს მის არქიტექტურულ-კომპოზიციური და საზოგადოებრივი ცენტრის სტრუქტურის თავისებურებას. სწორედ მან, თავის შენაკადებთან ერთად, განაპირობა თბილისის ღერძული, ხაზობრივი განვითარება. თბილისი მდინარე მტკვრის გაყოლებაზე 35 კმ მანძილზე გაჭიმული და დედაქალაქს ორ ნაწილად ჰყოფს. მარცხენა ნაპირზე განთავსებული ქალაქის ნაწილი ავჭალიდან მდინარე ლოჭინამდეა გადაჭიმული და შედარებით მშვიდი რელიეფით ხასიათდება. მარჯვენა ნაპირი უფრო რელიეფურია - მტკვრის 13 ხეობისკენ თრიალეთის ქედის განტოტებებიდან დაშვებული ხევები, ქალაქის გაშენებისთვის მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენენ [1,2].

საგულისხმოა, რომ თბილისის მდინარეებიდან მხოლოდ მტკვარი და ვერეა საფუძვლიანად შესწავლილი. ისინი ყოველთვის წარმოადგენდნენ მეცნიერების, მკვლევარების, შესაბამისი სპეციალისტების, ზოგადად - ფართო საზოგადოების ინტერესის საგანს. მხოლოდ მათზე ხორციელდება ბუნებადამცავი მონიტორინგი, იგეგმება ეკოლოგიური პროექტები, ვლინდება სხვადასხვა ესთეტიური, მხატვრული თუ მარკეტინგული ინტერესი. მიუხედავად ამისა, არ არის გადალახული ის კრიტიკული ზღვარი, რომელიც აუცილებელი აღმოჩნდებოდა ამ მდინარეების ღირებულებების სწორად გამოვლენის, შეფასებისა და დაცვისთვის. რაც შეეხება ქალაქის სხვა მცირე მდინარეებს, ისინი ყურადღების მიღმა არიან დარჩენილნი ცხრილ 1-ში მოცემულია მხოლოდ მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირის მცირე მდინარეების მოკლე აღწერა. მათ მიმართ პოზიტიურ ინტერესს არ იჩენს არც ხელისუფლება, არც სპეციალისტები და არც მოსახლეობა. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია შესწავლილი იქნეს ის მდინარეები, რომლითაც ხდება მდ. მტკვრის კვება [2, 3, 4, 5].

განხორციელებული კვლევის შედეგად მოპოვებულ იქნა მონაცემები, რომლებიც სხვადასხვა კუთხით განიხილავს საკვლევ ობიექტს. პირადად დაკვირვებებმა და ადგილობრივ მცხოვრებლებთან ჩატარებულმა ექსპრეს-გამოკითხვამ აჩვენა რომ, თბილისის მცირე მდინარეები მეტად სავალალო მდგომარეობაშია. მოსახლეების მხრიდან შეიმჩნევა სრული უყურადღებობა და უკიდურესი გაუცხოება მდინარის ესთეტიკური, რეკრეაციული თუ ჰიგიენური ღირებულებების მიმართ - ნაგავსაყრელებად გამოყენებული მდინარეები იმდენად დაბინძურებულია საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნაგავით, რომ მცირე მდინარეების მიმართ მოსახლეობის მხრიდან დამოკიდებულება მტრულს უფრო შეიძლება შევადაროთ.

თავის მხრივ ასეთი განწყობის საფუძველი ზოგად დამოკიდებულებაში უნდა ვეძებოთ. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში გაჩერებულია თითქმის ყველა დიდი საწარმო, ახალმა მცირე საწარმოებმა ფაქტობრივად შეინარჩუნეს სახელმწიფო საწარმოების მხრიდან მცირე მდინარეების დაბინძურების ტენდენციები, მათში კვლავ ჩაედინება საწარმოო ნარჩენები, რაც საფრთხეს უქმნის როგორც მდინარის სასიცოცხლო ფუნქციებს, ასევე მის ესთეტიკურ ღირებულებებს. აღსანიშნავია აგრეთვე საკანალიზაციო კოლექტორების მწყობრიდან გამოსვლა, წყლის გამწმენდი ნაგებობებისა თუ გამფილტრავი მოწყობილობების არარსებობა და სხვ.

ბოლო წლებში, მშენებლობათა რიცხვის და მოსახლეობის რაოდენობის ზრდამ და მისმა კონცენტრაციამ ქალაქში, პროპორციულადაც გაზარდა საკანალიზაციო წყლების ჩამონადენისა და სამშენებლო ნაგვის ამ მდინარეებში მოხვედრის მოცულობა, ეს პროცესები სრულიად დაურეგულირებელია, რის გამოც გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ბევრად უფრო მძიმე შედეგს მივიღებთ. მიზეზები, რომელთაგანაც ზემოთ აღნიშნული მოვლენები ვითარდება, შეუქცევად ტენდენციას უკავშირდება, რასაც მშენებლობა და მოსახლეობის ზრდა წარმოადგენს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ XX საუკუნის დასაწყისისთვის თბილისის მცირე მდინარეების წყალი სასმელადაც კი გამოიყენებოდა და მდიდარი იყო სხვადასხვა სახეობის თევზით [6,7]. დღესდღეობით, ფაქტობრივად, ღია საკანალიზაციო კოლექტორებად ქცეულ მდინარეებში იმდენად დაბინძურებულია წყლის ხარისხი, რომ მათი თუნდაც სამეურნეო და საყოფაცხოვრებო მიზნით გამოყენება (ბაღ-ვენახების მორწყვა, თევზაობა, ბანაობა და ა.შ) მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველია.

მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირის მცირე მდინარეების
ეკოლოგიური მდგომარეობა და მათი შეფასება

მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირის მცირე მდინარეები

ცხრილი 1

№	მდინარის დასახელება	გეოგრაფიული მდებარეობა	სიგრძე (კმ) თბილისის საზღვრებში	პრაქტიკული ფართობი (კმ²)	ჩადინება	წყალდაც- ვითი კანონმდ. შეცავა(მ)	დებები (საშ. წლიური ხარჯი), სეზონური, მ³/წმ
1	ჯრე (საფრთხი, სკორეთი)	სათავე თრიალეთის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე	45	5	მდ. მტკვარი	20	0.97 - დამანასიათელის გაზაფხულის წყალდიდობა, ზაფხუ- ლისა და ზამთრის წყალმცირობა
2	წორწიარას-ზევი	სათავე სოფ. თელავიდან, ზ. დ. 1056 მ-ზე, მიედინება დიდი დიღმის ტერიტ.	7	2	მდ. მიღმისხევი	10	---
3	მიღმისხევი	სათავე ქილოს ტბის სამხრეთით, ზ. დ. 1100 მ- ზე, მიედინება სოფ. დიღმის ჩრდილოეთით	11	3	მდ. მტკვარი	10	---
4	დიღმის-წყალი	სათავე მცხეთის მუნიციპალიტეტის საფრთხიდან, კალთაზე, ზ. დ. 1450 მ-ზე, თბილისის ქარვანაში მიედინება სოფ. დიღმის სამხრეთით	22	5	მდ. მტკვარი	10	0.25 - წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა ზაფხულსა და შემოდგომაზე, წყალმცირობა ზამთარში
5	ნაოგანის-ზევი	სათავე მცხეთის მუნიციპალიტეტის ჩრდ., ზ. დ. 1050 მ-ზე	3	1	მდ. დიღმის- წყალი	10	---
6	მდ. ვაშლიჯვარში, დასახელება უცნობია	სათავე ვაშლიჯვარში, ზ. დ. 740 მ-ზე	2.5	---	მდ. დიღმის- წყალი	10	---
7	მდ. ლისის ტბის აღმოსავლეთით, დასახელება უცნობია	სათავე სოფ. ქვემო ლისის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია, ზ. დ. 930 მ-ზე	4.0	---	ლისის ტბის ტაფობი	10	ზამთარში მშრალი ხევი, ივსება გაზაფხულზე

8	მდ. ლისის ტბის აღმოსავლეთით, დასახლება უცნობია	სათავე სოფ. წოდორეთი, ზ. დ. 900 მ-ზე	7	---	---	---	---	ლოსის ტბა	10	ზამთარში მშრალი ხევი, ივსება გაზაფხულზე
9	მდ. ლისის ტბის დასავლეთით, დასახლება უცნობია	ზ. დ. 900 მ-ზე	15	---	---	---	---	ლოსის ტბა	10	ზამთარში მშრალი ხევი, ივსება გაზაფხულზე
10	მდ. სოფ. აგარაკის სამხრეთით, დასახლება უცნობია	5	5	---	---	---	---	---	10	---
11	მდ. სოფ. აგარაკის სამხრეთით, დასახლება უცნობია	3	3	---	---	---	---	---	10	---
12	მდ. სოფ. კვეჩეთი აღმოსავლეთით, დასახლება უცნობია	3	3	5	---	---	---	მდ. ვერე	10	---
13	მდ. „მეთაწილის დაშვების“ აღმ., დასახლება უცნ.	სათავე თეთრი დუქანის დასავლ., ზ. დ. 1300 -ზე	3	1	---	---	---	მდ. ვერე	10	---
14	ხიზანაშალა	სათავე თეთრი დუქანის ჩრდ., ზ. დ. 1125 მ-ზე	2.5	---	---	---	---	მდ. ვერე	10	---
15	ახალდაბის ხევი	სათავე სოფ. ახალდაბის სამხრ., ზ. დ. 1119 მ-ზე	3	4	---	---	---	მდ. ვერე	10	---
16	ჯიხონის ხევი	სათავე დაბა წყნეთი, ზ. დ. 1100 მ-ზე	3	1	---	---	---	მდ. ახალდაბის ხევი	10	---
17	ცხენისწურვის ხევი	სათავე დაბა წყნეთი, ზ. დ. 910 მ-ზე	2.5	1	---	---	---	მდ. ახალდაბის ხევი	10	---
18	მდ. ცხენისწურვის აღმ. დასახლება	სათავე დაბა წყნეთის ჩრდილო-დასავლეთით, ზ. დ. 805 მ-ზე	1	---	---	---	---	მდ. ვერე	10	---

მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირის მცირე მდინარეების
ეკოლოგიური მდგომარეობა და მათი შეფასება

	უცხოზო მდ. დასა წყნეთის ჩრდ., დასახლება უცხოზო	2.5	1	---	მდ. ვერე	10	---
19	სათავე დასა წყნეთის ზ. დ. 906 მ-ზე						
20	სათავე დასა წყნეთის სამხრეთით, ზ. დ. 1256 მ-ზე	4	7	---	მდ. ვლინდის ხევი	10	---
21	სათავე სოფ. ბაგების სამხრეთით, ზ. დ. 1000 მ- ზე	2	3	---	მდ. ვერე	10	---
22	სათავე კუს ტბის სამხრ., ზ. დ. 1000 მ -ზე	4	---	---	მდ. ვერე	10	---
23	სათავე თეთრი დუქნის სამხრ., ზ. დ. 1260 მ -ზე, ჩაედინება სოფ. კიკეთის დასავლეთით და მიედინება თბილისის საზღვრებს გარეთ. სოფ ასურეთისკენ	4	5	---	მდ. ალგეთი	10	---
24	სათავე დასა კოჯორი, ზ. დ. 1200 მ-ზე, მიედინება თბილისის საზღვრებს გარეთ	3.5	4	---	მდ. ჩაქრები	10	---
25	სათავე სოფ. ტაბანშელას სამხრეთით, ზ. დ. 1020 მ-ზე, მიედინება თბილისის საზღვრებს გარეთ	3.0	3	---	მდ. ჩაქრები	10	---
26	სათავე მთაწმინდის ქედის უბნის მთის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთაზე, ზ. დ. 1200 მ -ზე	9	12	21.3	მდ. მტკვარი	10	2.5 ახსიათებს გაზაფხულის წყალდიდობა და ძლიერი წყალმოვარდნა

დასკვნა

ბოლო წლებში გარემოს უსაფრთხოების მისაღწევად ეკოლოგიური კულტურისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პრეტენზია გვიჩნდება. ამასთან, მსგავს პროცესებში მოსახლეობის ჩართულობისთვის, სასურველია მათთვის სხვადასხვა საშუალებებით ინფორმაციის მიწოდება, როგორც რაციონალური ბუნებათსარგებლობის შესახებ, ისე ჯანსაღ და ესთეტიურ გარემოში ცხოვრების უპირატესობაზე. რა თქმა უნდა, ამგვარი პროცესები თავისთავად ვერ განვითარდება. პირველ რიგში, ამას პოლიტიკური ნება, ხელისუფლების მხრიდან მხარდაჭერა და ხელშეწყობა ესაჭიროება (როგორც ეს მდ. ლელვთახევის შემთხვევაში მოხდა). რაც, თავის მხრივ, ჰიდროქსელის განვითარებისა და წყლის რესურსების გამოყენების კომპლექსური სტრატეგიის შემუშავებას, სივრცითი დაგეგმარების კონტექსტში დარგობრივ-სექტორულ პროექტებთან მის ჰარმონიზებას გულისხმობს.

ლიტერატურა

1. Гавардашвили Г.В, Иорданишвили И., Вартанов М., Шубер З. - Современные проблемы мелиорации в условиях использования водных ресурсов трансграничной реки Куры (Мтквари). Материалы Международной научно-практической конференции «Использование Мелиорированных Земель – Современное Состояние и перспективы Развития Мелиоративного Земледения. г. Тверь, РОССИЯ, 27–28 августа 2015 г., с. 202 – 211.
2. Гавардашвили Г.В, Иорданишвили И., Иремашвили И., Вартанов М. - Влияние изменения климата на водные ресурсы бассейна р. Куры (в пределах республики Грузия). Вестник Брестского государственного технического университета – «Водохозяйственного строительства, теплоэнергетика и геоэкология», Брест, 2020, №2, с. 10-14.
<https://journal.bstu.by/index.php/icbte>
3. საქართველოს დედაქალაქის მდგომარეობისა და ტენდენციების ინტეგრირებული გარემოსდაცვითი შეფასება. 2011 წ. 87 გვ.
4. ბუკლეთი მტკვარი. მომზადებულია და გამოცემულია ევროკავშირის „ტრანსასაზღვრო მდინარის - მტკვრის აუზის მენეჯმენტის II ფაზა - სომხეთი, საქართველო, აზერბაიჯანი „პროექტის ფარგლებში (TACIS/2007/134-398). თბილისი, 2009წ. <http://www.Kuraarasbasin.net>
5. ვარდოსანიძე ვ. მდინარე მტკვარი, მენეჯმენტის ურბანისტული კონცეფცია: მტკვარი და თბილისი. ბიულეტენი #79, თბილისი, 2003 წ.
6. ფოჩხუა მ. მდ. მტკვრის ქალაქმადგომარეობის როლი ქ. თბილისის განვითარების პროცესში (ავტორეფერატი). თბილისი, 2001 წ. სტუ - არქიტექტურის ინსტიტუტი. 50 გვ.
7. გუჯაბიძე ი. თბილისის წყაროები. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი - სახელმწიფო მმართველობის სკოლა. თბილისი, 2010 წ. 14 გვ.

მათემატიკური მოდელი ღვარცოფის ენერგეტიკული
მახასიათებლების შეფასებისათვის

ე. კუხალაშვილი, გ. გავარდაშვილი, ი. ირემაშვილი,
ლ. მაისაია, ნ. ბერაია, ხ. კიკნაძე, ქ. დადიანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 60^ბ, 0179, თბილისი, საქართველო
E-mail: e.kukhalashvili@agrni.edu.ge
givi_gava@yahoo.com

ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი AR-18-1244 - „ღვარცოფსარეგულაციო ელასტიკური ბარაჟი“)

შესავალი

ბუნებაში არსებული გარემო პირობებისა და ეკოლოგიური წონასწორობის რღვევის
გამომწვევ მოვლენათა შორის სტიქიურ-დამანგრეველი აქტივობით გამოირჩევა
წყალდიდობები, მიწისძვრები, მეწყერები და ღვარცოფები. აღნიშნულ მოვლენათა სახეებიდან
ობიექტების მწყობრიდან გამოყვანითა და მიყენებული ზარალის მასშტაბურობის
სტატისტიკიდან გამომდინარე, ღვარცოფები რისკების უმაღლესი კატეგორიის რანგშია
მოქცეული, რასაც ღვარცოფსარეგულაციო ნაგებობათა კონსტრუქციული არასრულყოფილება
ემატება.

დაურეგულირებელი ბუნებრივი ანომალიების, კერძოდ, ღვარცოფების რეგულირების
საკითხები მსოფლიოს თითქმის ყველა მთაგორიანი ქვეყნის საზღვრებსა წარმოადგენს. მაღალია
ამ მოვლენის განმეორებადობის სიხშირე. შესწავლის თვალსაზრისით მოვლენა არის რთული,
არ ექვემდებარება მექანიკის კანონებს, ხასიათდება დიდი დამანგრეველი ძალით და მისი
ენერგეტიკული მახასიათებლების პროგნოზი და შეფასება დიფერენცირებულ მიდგომებს
საჭიროებს.

ნაკადის ბუნებიდან გამომდინარე, წარმოდგენილი სარეგულაციო ღონისძიებათა
ინოვაციური სახეების შექმნა გამჭოლი ნაგებობების სახით საჭიროებს მათ კონსტრუქციულ
გადაწყვეტაში ისეთი ელემენტების ჩართვას, რომლებიც მნიშვნელოვნად გაზრდის ნაგებობის
ნაკადთან შეხების საკონტაქტო ზედაპირს, ნაგებობა იქნება ელასტიური და კალაპოტში მისი
ჩადგმა განხორციელდება მარტივად. ზემოთ ჩამოთვლილი პირობების გათვალისწინებით
შექმნილი კონსტრუქციული გადაწყვეტა მოგვცემს შესაძლებლობას, ნაკადის ენერგიის ჩაქრობა
განხორციელდეს თანდათანობით, აღნიშნულთან ერთად, ღვარცოფის რეგულირება
ენერგეტიკული მახასიათებლების სწორ პროგნოზთან არის დაკავშირებული.

ღვარცოფის ენერგეტიკული მახასიათებლების განსაზღვრის არსებული საანგარიშო
დამოკიდებულებებიდან რომელიმესთვის უპირატესობის მინიჭება შეზღუდულია მოვლენაზე
არსებული განსხვავებული წარმოდგენების გამო.

ფორმირებულ ღვარცოფთა მდგრადობის რღვევა, მოძრაობის ფორმის სახის ჩამოყალიბება
და მისი ტანის დამაბული მდგომარეობის ცვლილება - შემადგენელი კომპონენტების

ურთიერთანაფარდობის ზღვრებთან, ნაკადთან შემხვედრი წინააღმდეგობების სახესთან, კალაპოტის მორფომეტრიასა და სხვა მახასიათებლებთან არის დაკავშირებული.


როცა ცნობილია მოძრავ მასაზე წინააღმდეგობის ზემოქმედებისა და ენერგეტიკული მახასიათებლების ინტენსივობის ცვლილების დინამიკა, შესაძლებელია აღიწეროს როგორც ნაკადის მოძრაობის რეჟიმი, ისე მისი თავისუფალი ზედაპირის ფორმა. ღვარცოფები სატრანზიტო უბნებზე შემხვედრი წინააღმდეგობების ზემოქმედების შედეგად განიცდიან როგორც ჰიდრავლიკური, ისე ჰიდროლოგიური პარამეტრების ცვლილებას. როცა იცვლება ენერგეტიკული მახასიათებლები: ხარჯი, სიჩქარე, სიღრმე, მასთან ერთად იცვლება მოძრაობის რეჟიმიც.

ძირითადი ნაწილი

სატრანზიტო ზონებში ღვარცოფთა სარეგულაციო ღონისძიებების დაპროექტება და მშენებლობა ნაკადის ენერგეტიკულ მახასიათებლებთან უშუალოდ არის დაკავშირებული, რომელთა პროგნოზი, რეოლოგიიდან გამომდინარე, მოვლენასთან სრულყოფილი მოდელის ადაპტირებით უნდა განხორციელდეს [3, 7, 8, 9, 10, 15, 17].

სატრანზიტო მონაკვეთებზე მრავალკომპონენტური ნაკადები ანომალურობის გამო ენერგეტიკული მახასიათებლების ცვლილების განსაკუთრებულობით ხასიათდება [5]. აღნიშნულს ადასტურებს როგორც მეცნიერთა შეხედულებების განსხვავებული წარმოდგენები მოვლენაზე, ასევე ღვარცოფულ პროცესებზე ადაპტირებული მოდელები, რომლებიც ძვრის სიჩქარესა და გრადიენტს შორის დამოკიდებულების კავშირს სხვადასხვა ფორმით გამოხატავენ [4, 5, 6, 12, 17, 18, 19].

არსებული კონცეფციის თანახმად ცნობილია, რომ მყარ სხეულებში დეფორმაციის სიდიდე მოქმედი ძალის პროპორციულია. დენად ტანებში ძალის სიდიდეს ნაკადის კალაპოტთან საკონტაქტო ზედაპირზე საგრადიენტო შრის სიდიდით აკავშირებენ. ზემოთ აღნიშნულის გარდა, ვხვდებით ისეთ შემთხვევებსაც, როცა საკონტაქტო ზედაპირზე ნაკადის მოძრაობა ცურვით მიმდინარეობს. ამ უკანასკნელის მოძრაობის მოდელის ღვარცოფთან ადაპტირება იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა მხები ძაბვის სიდიდე დენადობის ზღვარზე ნაკლებია. ნაშრომში ენერგეტიკული მახასიათებლების შეფასების დროს განსაკუთრებული ყურადღება ძაბვისა და სიჩქარის გრადიენტს შორის კავშირის ისეთ მოდელს ეთმობა, რომელიც სრულად ასახავს ღვარცოფთა გენეზისს, წარმოქმნის ნაკადის ჩამოყალიბების მექანიზმს, მორფოლოგიის დინამიკას და ნაგებობებთან ურთიერთქმედების ყველა ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევას.



ნახ. 1. ღვარცოფის მოძრაობის საანგარიშო სქემა

ღვარცოფთა ენერგეტიკული მახასიათებლების შეფასების მიზნით ნაშრომში გამოიყენება მოდელი [13], სადაც Q ხარჯის სიდიდე კალაპოტის B სიგანეზე, ნაკადის ადგილობრივ U სიჩქარესა და ნაკადის H სიღრმეზე, y კოორდინატის ცვლილებაზე დამოკიდებული:

$$Q = B \int_H^0 y du \quad (1)$$

როცა ნაკადის სიღრმეზე მხები ძაბვა სწორი ხაზის კანონით ვრცელდება, ხოლო სიჩქარის გრადიენტი ნაკადის მთელ სიღრმეზეა გავრცელებული (საანგარიშო სქემა №1), უდაწნეო მოძრაობის შემთხვევაში ხარჯის განსაზღვრა და მისი ძვრის წინააღმდეგობის მოდელით გამოსახვის სხვადასხვა ვარიანტი აპრობირებულია აკადემიკოს ო. ნათიშვილის სამეცნიერო შრომებში [12,14, 15, 16]. ენერგეტიკული მახასიათებლების განსაზღვრა ხორციელდება დე ვალე ოსვალდის მოდელით:

$$\tau = \mu_* \left(\frac{du}{dy} \right)^n \quad (2)$$

სადაც τ მხები ძაბვაა (ნ/მ^2);

μ_* - სიბლანტის საზომი ბმული ღვარცოფის ნარევიშე შემადგენელი კომპონენტების წონითი ან მოცულობითი მნიშვნელობის სხვადასხვა სიდიდის დროს.

n - არანიუტონურობის მაჩვენებელი. როცა $n=1$, მაშინ $\mu_* = \mu$ და ღვარცოფი განიხილება როგორც ნიუტონური სხეული; როცა $n>1$ -ზე, გრადიენტის გაზრდით სიბლანტე იზრდება და სითხე დილატანტურია; ხოლო, როცა $n<1$, სიბლანტე მცირდება.

მხები ძაბვის სიდიდე ნაკადის კალაპოტის საკონტაქტო ზედაპირთან, როცა $\tau_c = \gamma i H$ -ს, ხოლო მისი ცვლილება y კოორდინატთან კავშირში $\tau = \gamma i y$ -ს, მაშინ ღვარცოფის H_r საგრადიენტო შრეში y კოორდინატის ცვლილებას τ მხებ ძაბვასთან ექნება სახე:

$$y = \frac{\tau}{\tau_c} H_r. \quad (3)$$

მე-(3) განტოლების დიფერენცირებით მივიღებთ:

$$dy = \frac{H_r}{\tau_c} d\tau. \quad (4)$$

მე-(2) დამოკიდებულების საფუძველზე სიჩქარის გრადიენტის ცვლილება მხებ ძაბვასთან კავშირში შეიძლება წარმოდგენილ იქნეს დამოკიდებულებით:

$$\frac{du}{dy} = \left(\frac{\tau}{\mu_*} \right)^{\frac{1}{n}} = f(\tau). \quad (5)$$

ე.ი.

$$dy = f(\tau) d\tau. \quad (6)$$

მე-(4), მე-(5) და მე-(6) ფორმულების გათვალისწინებით (1)-ში, მივიღებთ:

$$Q_r = \int_{\tau_c}^0 \frac{\tau}{\tau_c} H_r f(\tau) dy = \int_{\tau_c}^0 \frac{\tau}{\tau_c} H_r \left(\frac{\tau}{\mu_*} \right)^{\frac{1}{n}} \frac{H}{\tau_c} d\tau \quad (7)$$

მე-(7)-ე დამოკიდებულებით, კონკრეტული $f(\tau)$ -ს მნიშვნელობის გათვალისწინებით, შესაძლებელია უდაწნეო მოძრაობის დროს განისაზღვროს ღვარცოფის ხარჯი:

$$Q_r = \frac{n}{2n+1} \left(\frac{\gamma i}{\mu_*} \right)^{\frac{1}{n}} H_r^{\frac{2n+1}{n}} B \quad (8)$$

როცა $n = 1$, ხარჯი

$$Q_r = \frac{\gamma i H_r^3 B}{3\mu} \quad (9)$$

შესაბამისად, ნაკადის საშუალო სიჩქარე ნიუტონურ სითხეებში:

$$\bar{V} = \frac{\gamma i H_r^2}{3\mu} \quad (10)$$

არანიუტონური მოდელის შემთხვევაში, რომელსაც განეკუთვნება ბმული ღვარცოფი, ე.ი. როცა მოძრაობს H_r საგრადიენტო სიღრმით, ბმულობის ექვივალენტური სიღრმე h_0 -ითა და ნაკადის სიღრმე H -ით არის გამოსახული, მაშინ ხარჯის მე-(8) დამოკიდებულება შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

$$Q_r = \frac{n}{2n+1} \left(\frac{\gamma i}{\mu_*} \right)^{\frac{1}{n}} \left(1 - \frac{h_0}{H} \right)^{\frac{n+1}{n}} H^{\frac{n+1}{n}} B H - \frac{n}{2n+1} \left(\frac{\gamma i}{\mu_*} \right)^{\frac{1}{n}} \left(1 - \frac{h_0}{H} \right)^{\frac{n+1}{n}} H^{\frac{n+1}{n}} h_0 B \quad (11)$$

მე-(11) საანგარიშო დამოკიდებულების მარჯვენა მხარის პირველი წევრი წარმოადგენს ღვარცოფის ხარჯის სიდიდეს, როცა ნაკადი საგრადიენტო შრიტა და გულით მოძრაობს.

$$Q = \frac{n}{2n+1} \left(\frac{\gamma i}{\mu_*} \right)^{\frac{1}{n}} H^{\frac{n+1}{n}} \left(1 - \frac{h_0}{H} \right)^{\frac{n+1}{n}} H B \quad (12)$$

შესაბამისად, ნაკადის საშუალო სიჩქარე

$$\bar{V} = \frac{Q}{BH} = \frac{n}{2n+1} \left(\frac{\gamma i}{\mu_*} \right)^{\frac{1}{n}} H^{\frac{n+1}{n}} \left(1 - \frac{h_0}{H} \right)^{\frac{n+1}{n}} \quad (13)$$

როცა $n = 1$

$$\bar{V} = \frac{1}{3} \left(\frac{\gamma i}{\mu} \right) H^2 \left(1 - \frac{h_0}{H} \right)^2 \quad (14)$$

როცა $h_0 = 0$

$$\bar{V} = \frac{\gamma i H^2}{3\mu} \quad (15)$$

შემოთავაზებული (1) მათემატიკური მოდელის შესაბამისად, მხები ძაბვის ცვლილება, როცა $\tau = \gamma i (H - y)$ დამოკიდებულებით არის გამოხატული და სიჩქარეთა ვერტიკალზე განაწილება ხარისხობრივი ფუნქციით არის წარმოდგენილი:

$$U_x = \frac{n}{n+1} \left(\frac{\gamma i}{\mu_*} \right)^{\frac{1}{n}} H^{\frac{n+1}{n}} \left(1 - \frac{h_0}{H} \right)^{\frac{n+1}{n}} \left[1 - \left(1 - \frac{y}{H-h_0} \right) \right]^{\frac{n+1}{n}} \quad (16)$$

როცა $y = H - h_0$, ადგილობრივი სიჩქარე ზედაპირულის ტოლია - $U_x = V_0$ ე.ი. მაქსიმალური სიჩქარის მნიშვნელობა:

$$V_0 = \frac{n}{n+1} \left(\frac{\gamma i}{\mu_*} \right)^{\frac{1}{n}} H^{\frac{n+1}{n}} \left(1 - \frac{h_0}{H} \right)^{\frac{n+1}{n}} \quad (17)$$

საშუალო სიჩქარის ფარდობას მაქსიმალურთან გამოვსახავთ მე-(13) ფორმულის შეფარდებით მე-(17)-სთან და გვექნება:

$$\frac{\bar{V}}{V_0} = \frac{n+1}{2n+1} \quad (18)$$

როცა $n = 1$ -ს,

$$\frac{\bar{v}}{v_0} = \frac{2}{3} = 0,67. \quad (19)$$

სიჩქარეთა ვერტიკალზე განაწილების კანონის დადგენა ღვარცოფებში ძალზე რთულია და მისი სახე რეოლოგიასთან არის დაკავშირებული. ასევე სიჩქარის განაწილების სახეზეა დამოკიდებული მოძრაობის n ინდექსის სიდიდე, რომელიც გარკვეულ გავლენას ახდენს მოძრაობის რეჟიმზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ მივიღებთ, რომ საგრადიენტო შრეში სიჩქარის ვერტიკალზე განაწილებას აქვს კვადრატული პარაბოლის სახე (საანგარიშო სქემა №1), მაშინ

$$y = aU_x^2 - b. \quad (20)$$

მე-(20) დამოკიდებულებაში U_x საგრადიენტო შრეში სიჩქარის გრძივი მდგენელია, ხოლო a და b - კოეფიციენტები. როცა

$$\begin{matrix} y=0 & U_x=V_* \\ y=H-h_0 & U_x=V_0 \end{matrix} \begin{cases} aU_x^2 = b \\ H - h_0 = aV_0^2 - b \end{cases} \quad (21)$$

მე-(20) განტოლებით სისტემის ამოხსნის საფუძველზე გვექნება

$$a = \frac{H(1 - h_0/H)}{V_0^2 \left[1 - \left(\frac{V_*}{V_0} \right)^2 \right]}, \quad b = aV_*^2$$

სიჩქარეთა ვერტიკალზე განაწილების ეპიურის ფართობი:

$$S = V_0 H \left(1 - \frac{h_0}{H} \right) + \int_{V_*}^{V_{max}} (aU_x^2 - h_0) dV_0 - h_0 V_0. \quad (22)$$

საშუალო სიჩქარის ფარდობა ზედაპირულთან

$$\frac{\bar{v}}{v_0} = 1 \frac{1}{3} \cdot \frac{1-h_0/H}{1+V_*/V_0} \left[1 + \frac{V_*}{V_0} - 2 \left(\frac{V_*}{V_0} \right)^2 \right] \quad (23)$$

(23)-ე ფორმულის გატოლებით მე-(18)-სთან, მოძრაობის ინდექსის მნიშვნელობა

$$n = \frac{1 - h_0/H}{1 + 2h_0/H + 3V_*/V_0}. \quad (23)$$

როცა კოორდინატა სათავიდან იწყება ადგილობრივი სიჩქარის ვერტიკალზე განაწილება, მოძრაობის ინდექსის მნიშვნელობა იქნება:

$$n = \frac{1 - h_0/H}{1 + 2h_0/H}. \quad (24)$$


თვალსაჩინოების მიზნით მოგვყავს გრაფიკული დამოკიდებულება:

$$n = f(h_0/H)$$

როცა ძაბვა სიჩქარის გრადიენტის პირველი ხარისხის ფუნქციაა, ე.ი. როცა $n = 1,0$ -ს, საშუალო სიჩქარის ზედაპირულთან ფარდობა:

$$\frac{\bar{V}}{V_0} = 0,67 + 0,33 \frac{h_0}{H}. \quad (25)$$

h_0/H	0	0.2	0.4	0.8	1
n	1	0.57	0.33	0.077	0



ნახ. 2. ღვარცოფის მოძრაობის ინდექსის ცვლილების გრაფიკი რეოლოგიასთან კავშირში

დე ვალე ოსვალდის საანგარიშო მოდელით, როცა $n = 1$,

$$\bar{V} = \frac{\gamma i}{3\mu} H^2 \left(1 - \frac{h_0}{H}\right)^2 \quad (26)$$

(25)-ე დამოკიდებულების მიხედვით საშუალო სიჩქარის სიდიდე:

$$\bar{V} = \left(\frac{2}{3} + \frac{1}{3} \cdot \frac{h_0}{H}\right) V_0. \quad (27)$$

(27)-ის გათვალისწინებით (17)-ში, როცა $n = 1$ -ს, მივიღებთ:

$$\bar{V} = \left(\frac{2}{3} + \frac{1}{3} \cdot \frac{h_0}{H}\right) \frac{\gamma i H^2}{2\mu} \left(1 - \frac{h_0}{H}\right)^2. \quad (28)$$


თუ (28)-ე განტოლებას გავამრავლებთ და გავყოფთ 3-ზე,

$$\bar{V} = \frac{\gamma i H^2}{3\mu} \left(1 - \frac{h_0}{H}\right)^2 \left(1 + \frac{1}{2} \cdot \frac{h_0}{H}\right), \quad (29)$$

თუ შემოვიღებთ აღნიშვნას $\beta = \frac{h_0}{H}$, მაშინ

$$f(\beta) = \left(1 - \frac{h_0}{H}\right)^2 \left(1 + \frac{1}{2} \cdot \frac{h_0}{H}\right) = (1 - \beta)^2 \left(1 + \frac{1}{2} \beta\right). \quad (30)$$

თვალსაჩინოების მიზნით მოცემულია გრაფიკული დამოკიდებულება $\beta = f(\beta)$ (ნახ. 3):



ნახ. 3. გრაფიკული დამოკიდებულება $f(\beta) = F(\beta)$

წარმოდგენილი გრაფიკითა და (29)-ე საანგარიშო დამოკიდებულებით შესაძლებელია განისაზღვროს ღვარცოფის საშუალო სიჩქარე.

დასკვნა

ჩატარებული თეორიული კვლევების საფუძველზე შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახის ძირითადი დასკვნები:

- ბმულ ღვარცოფთა ენერგეტიკული მახასიათებლები რეოლოგიის განმსაზღვრელი პარამეტრების ფუნქციას წარმოადგენს;
- ღვარცოფთა ენერგეტიკული მახასიათებლების განსაზღვრის დროს ძაბვასა და სიჩქარის გრადიენტს შორის ხარისხობრივი დამოკიდებულების საფუძველზე მიღებული მოძრაობის ინდექსის დამოკიდებულებას რეოლოგიასთან კავშირში ჰიპერბოლის სახე აქვს და ბმულობის შინაგანი ხახუნის კუთხის გაზრდით, როცა მისი ექვივალენტის სიდიდე ღვარცოფის სიღრმის ტოლია, მხები ძაბვა სიბლანტის მნიშვნელობის ტოლია;
- ღვარცოფის საშუალო სიჩქარე, როცა მოძრაობის ინდექსის სიდიდე ერთის ტოლია, რეოლოგიასთან კავშირში ცვალებადი სიდიდეა და, როცა საწყისი ძვრის წინააღობის სიდიდე მხები ძაბვის მნიშვნელობის ტოლია, ნაკადი წყვეტს მოძრაობას.
- ძაბვასა და სიჩქარის გრადიენტს შორის განზოგადებულ ფორმაში გამოყენებული მათემატიკური მოდელის საფუძველზე მიღებულია ნაკადის ძირითადი განმსაზღვრელი მახასიათებლების საანგარიშო დამოკიდებულება.

ლიტერატურა

1. **Gavardashvili G., Kukhalashvili E., Supatashvili T., Iremashvili I., Quparashvili I., Bziava K., Natroshvili G.** - Using the "CAPRA" Methodology for Analysis of the Critical State of the Zhinvali Earth dam and Risks. Conference Proceedings, Istanbul, Turkey, Jan. 30-31, 2019, Part XVII;
2. **Gavardashvili G., Kukhalashvili E., Supatashvili T., Natroshvili G., Bziava K., Quparashvili I.** - The Research of Water Levels in the Zhinvali Water Reservoir and Results of Field Research on the Debris Flow Tributaries of the River Tetri Aragvi Flowing in it. Conference Proceedings, Rome, Italy, Jan. 17-18, 2019, Part V.
3. **Беручашвили Г. М.** - Некоторые вопросы динамики селевого потока и его воздействия с сооружениями. ВКН Материалы IV всесоюзной конференций по селевым потокам. Алма-Ата, Изд-во АН Каз ССР, 1959г. стр. 132-144;
4. **Виноградов Ю.Б.** - Этюды о селевых потоках. А.А.Гидрометеиздат, 1980, 144 с.
5. **Гагошидзе М.С.** - Селевые явления и борьба с ними. Издательство «Сабчота Сакартвело», Тбилиси, 1970, 386 с.
6. **Мирцхулава Ц.Е.** - Оценка риска повреждения противоселевых сооружений. Труды ВНИИ ГИМ, вып. 4, М., 1975, стр. 48-62.
7. **ყრუაშვილი ი., კუხალაშვილი ე., ინაშვილი ი., ბზიავა კ.** - ღვარცოვული მოვლენები, რისკი, პროგნოზი, დაცვა. სტუ, თბილისი, 2017, 250 გვ.
8. **Кухалашвили Э. Г.** - Об адаптации законов механики неньютоновских систем для описания динамики трехслойной модели структурных (грязокаменных) селевых потоков. Сообщения АН ГрузССР, т.112, 31, Тбилиси, 1983. стр.133-116;
9. **კუხალაშვილი ე., ინაშვილი ი., ბზიავა კ., ყრუაშვილი ი., ლორთქიფანიძე დ.** - ღვარცოვსადენში ტალღურად მოძრავი ბმული ღვარცოვის მახასიათებლების დადგენა. სტუ, გ; „ჰიდროინჟინერია“, №12 (19-20), თბილისი. 2015, გვ. 70-75.
10. **Kukhalashvili E., Gavardashvili G., Kupreishvili Sh.** - Expected Risks of Cohesive Debris flows and Fighting against them). LAP - Lambert Academic Publishing, Germany, 2018, 88 p.
11. **Мирцхулава Ц.Е.** - Оценка риска повреждения противоселевых сооружений. Труды ВНИИ ГИМ, вып. 4, М., 1975, стр. 48-62.
12. **Натишвили О.Г., Тевзадзе В.И.** - Гидравлические закономерности связных селей. Тбилиси, «Мецниереба» 1996 г., 156 с.
13. **Натишвили О.Г., Тевзадзе В.И.** - Волны в селях. Москва, ООО Издательство «Научмехиздат», 2011, 160 с.
14. **Натишвили О.Г., Тевзадзе В.И.** - Основы динамики селей. Тбилиси, 2007 г., 214 с.
15. **Натишвили О.Г., Тевзадзе В.И.** - Одномерные наносонесущие русловые потоки. Москва, ООО издательство «Научнотехиздат» 2012 г., 192 с.
16. **Натишвили О.Г., Круаშвили И.Г.** - Защита инфраструктуры объектов от селевых потоков (экологические проблемы). LAP- Lambert. Academic Publishing, Germany, 2016, 104 p.
17. **Тевзадзе В.И., Кухалашвили Э. Г., Квирквелиа И.Б.** - Трехслойная модель движения (высококонцентрированного) селевого потока, селевые потоки. Сб. 8., Гидрометеиздат, 1984г., стр. 29-32.
18. **Флеишман С.М.** - Сели. Гидрометеиздат, Л.1978 г., 312 с.
19. **Яно К., Дaido А.** - Фундаментальные изучения грязекаменных селевых потоков. Труды института «защиты от стихийных бедствий», т.14, 1981г. стр. 68-93.

ტყის ბუნებრივი თესლითი განახლება კახეთის მშრალი ეკოტოპის (Siccum)
ისლისსაფარიან მუხნარებში (Quercetum carexosum) და მათი
დაცვითი ფუნქციის ამალღების რეკომენდაციები

მ. სამადაშვილი ¹⁾, გ. გაგოშიძე ²⁾

¹⁾ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქართული უნივერსიტეტის ქუჩა N 1, 2200, თელავი, საქართველო

²⁾ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
მ. კოსტავას 77, 0175, თბილისი, საქართველო

E-mail: g.gagoshidze.gtu.ge

საქართველოს მრავალფეროვანი და უაღრესად ხელსაყრელი ბუნებრივი, ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები განაპირობებს ქვეყნის ტყის ეკოსისტემების ბიომრავალფეროვნებას, განსაკუთრებით ტყემცენარეულობისას, მათგან კი ტყისშემქმნელი ძირითადი მერქნიანი სახეობებისას, რომელთა შორის გამოკვეთილი ადგილი ქართული მუხის კორომებს აქვთ მიკუთვნებული. Q.iberica-ს საქართველოში მუხის ბუნებრივად გავრცელებულ სხვა სახეობებს შორის გამორჩეული მდგომარეობა უჭირავს და, მართალია წმინდა კორომების სახით ნაკლებად, მაგრამ გაბატონებით და სხვა მერქნიანი სახეობების კორომებში მნიშვნელოვანი შერევით, საკმაოდ დიდ ფართობებზეა წარმოდგენილი.

აღმოსავლეთ საქართველოში ქართული მუხა ყველა რეგიონშია წარმოდგენილი და მათ შორის კახეთის რეგიონის მდინარეების - ალაზნისა და იორის შიდა და ქვემო დინების აუზებში - შიდა კახეთში (მდ. ალაზნის მარჯვენა სანაპირო), გაღმა მხარეს (მდ. ალაზნის მარცხენა სანაპირო - კახეთის კავკასიონის ქედის ფერდობები), გარე კახეთში (მდ. იორის შუაწელი) და ქიზიყშიც (მდ. იორისა და ალაზნის ქვემო წელს შორის არსებული ტერიტორია).

აღნიშნულ ტერიტორიებზე, მუხის კორომებში, ამ სახეობის გაბატონებითა და მნიშვნელოვანი შერევით, წარმოდგენილია ასევე ჩვეულებრივი წაბლი, კავკასიური რცხილა, კავკასიური ცაცხვი, ჩვეულებრივი იფანი, თხმელი, კორპიანი თელა, ჩვეულებრივი თელა, მინდვრის ნეკერჩხალი, ქორაფი და უმნიშვნელოდ სხვა სახეობები. ქვეტყის სახეობებიდან მნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი-ჯაგრცხილა, შინდი, მაყვალი და სხვა, ბალახოვანი მცენარეებიდან - წივანა, ისლი, თივაქასრა, კილამური, არჯაკელი და სხვა. სწორედ მერქნიანი მცენარეებისა და ცოცხალი საფარის აღნიშნული სახეობების მნიშვნელოვანი მონაწილეობით ქმნის მუხა კორომებს - ეკოტოპებისა და ტყის ცალკეული ტიპების მიხედვით [1].

ქვემოთ მოგვყავს სანიმუშო ფართობებზე ბუნებრივი განახლების კვლევის შედეგები კახეთის რეგიონში, კორომებში მუხის გაბატონებითა და მნიშვნელოვანი შერევით.

ისლის საფარიან მუხნარში ბუნებრივი განახლება შესწავლილი იქნა მდ. ილტოს ხეობაში, სოფ. ბაზანეურის მიდამოებში, ზღვის დონიდან 600-700 მ-ის სიმაღლეზე, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ექსპოზიციის, 10-12⁰-მდე დაქანების ფერდობებზე - ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგებით. აღებული იქნა 2 სანიმუშო ფართობი ზომით 50მ×50მ (2500 მ²). მათი საშუალო მონაცემები მოყვანილია №1 ცხრილში.

ცხრილი 1

კორომის საბურველის შეკრულობა	ცოცხალი საფარით ან ქვეტყით დაფარულობის ხარისხი (%), დომინანტი სახეობა	საიმედო მოზარდის სიმაღლე (მ)	საიმედო მოზარდის რაოდენობა სახეობების მხედვით (ათასი ც/ჰა)				
			მუხა	რცხილა	იფანი	კორ- პიანი თელა	ბალამ -წარა
1	2	3	4	5	6	7	8
დაბალი	<u>Carex buschiorum</u>	0.5-დე	0,06	0,02	0,001	0,01	0,004
0,3-0,4	60-70	0,6-1,0	0,011	0,001	-	0,01	-
		1,1-1,5	0,002	0,01	-	0,05	-
		1,6-2,0	0,005	0,001	0,001	0,02	-
		2,0-ზე მეტი	0,001	0,001	0,002	-	0,001
		სულ:0,211=221ძ.	0,079	0,033	0,004	0,09	0,005
საშუალო	<u>Carex buschiorum</u>	0,5-დე	0,04	0,09	0,009	0,02	-
0,5-0,6-0,7	40-50	0,6-1,0	0,01	0,01	0,01	-	-
		1,1-1,5	0,001	0,001	-	-	0,007
		1,6-2,0	0,009	0,001	-	-	-
		2,0-ზე მეტი	0,02	0,01	0,01	0,02	0,001
		სულ: 0,269=269 ძ.	0,08	0,112	0,029	0,04	0,008
ჯამი: 0,480 = 480 ძირი			0,159	0,145	0,033	0,13	0,013

როგორც ცხრილიდან ჩანს, კვლევები ჩატარდა კორომებში მუხის გაბატონებით, სადაც ასევე წარმოდგენილი იყო სხვა მერქნიანი სახეობებიც, კერძოდ – კავკასიური რცხილა, ჩვეულებრივი იფანი, კორპიანი თელა და ბალამწარა, სხვა მერქნიანები – უმნიშვნელოდ.

პირველი სანიმუშო ფართობი აღებული იქნა კორომში დაბალი (0,3-0,4) საბურველის შეკრულობით, სადაც ისლის საფარით ნიადაგის დაფარულობის ხარისხი 60-დან 70%-მდე მერყეობდა.

აღმონაცენ – ნორჩნარ – მოზარდის ბუნებრივი განახლების შესწავლა წარმოებდა საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვ. გულისაშვილის სახელობის სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის მიერ მომზადებული (2000 წ.) ტყის ბუნებრივი განახლების შეფასების შკალის მიხედვით, სადაც უმთავრესი კრიტერიუმია ბუნებრივი განახლების რაოდენობრივი მაჩვენებლის შეფასება მოზარდის სიმაღლეების მიხედვით [2].

ცხრილის მიხედვით, სანიმუშო ფართობის 10 საადრიცხოვ ბაქანზე, რომლებიც აღებული იქნა დიაგონალებზე, 1 ჰა-ზე მუხის მოზარდის საერთო რაოდენობა 0,079 ათ.ც-ს, ანუ 79 ცალს შეადგენს, აქედან 0,5 მ-მდე სიმაღლის ეგზემპლარები 60 ც., ანუ მუხების საერთო რაოდენობის 76%-ია, 0,6 მ = 1,0 მ-მდე სიმაღლის – 11 ც. ანუ იმავე რაოდენობის 14%, 1,1 მ-დან 2 მ-ზე მეტია დანარჩენი 8 ძირი, რომელიც 10%-ის ტოლია.

როგორც ვხედავთ, მუხის ბუნებრივი თესლითი განახლება უკიდურესად არადამაკმაყოფილებელია, რისი ძირითადი მიზეზიც ისლის საფარის ძლიერ განვითარებაა, ასევე დღის განმავლობაში ხანგრძლივად განათებული სამხრეთი ექსპოზიციის ფერდობი, რაც

მიუხედავად მუხის ქსეროფილური ბუნებისა, კლიმატის მატების ფონზე უარყოფითად მოქმედებს მუხის ბუნებრივ განახლებაზე, მუხის ნაყოფების მასობრივი შეგროვება მოსახლეობის მიერ შინაური პირუტყვისა და ფრინველის (დაფქვილი სახით) გამოსაკვებად და ტყეში დარჩენილი რკოს ათვისება შინაური, გარეული ცხოველებისა და მღრღნელებისაგან.

რაც შეეხება დანარჩენი მერქნიანი სახეობების ბუნებრივ განახლებას, მათგან ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი აქვს კორპიან თელას, რომელიც ქსეროფილური თვისებებით აშკარად აჭარბებს როგორც მუხას, ისე დანარჩენ მერქნიანებს და საერთო ჯამში დანარჩენი სახეობების ბუნებრივი განახლების მაჩვენებელს ერთად აღებულს, მხოლოდ 31 ძირი მოზარდით ჩამორჩება. აქვე უნდა აღნიშნოს ის ფაქტიც, რომ მიუხედავად 0,5 მ-მდე სიმაღლის აღმონაცენ-ნორჩნარის მეტი რაოდენობისა (60 ძირი), რომლითაც მუხა სჭარბობს იმავე სიმაღლის დანარჩენი სახეობების შესაბამისი ბიოლოგიური ხნოვანების ეგზემპლარების საერთო რაოდენობას, ეს მონაცემი ვერ ჩაითვლება საიმედოდ უპირველესად ყოვლისა სიმცირისა და ამასთანავე იმის გამო, რომ მუხის აღმონაცენ-ნორჩნარის მხოლოდ მცირე პროცენტი შეიძლება გადავიდეს მოზარდის ხნოვანებაში ისლის საფარის კონკურენციისა და ჰაერის ტემპერატურის ყოველწიური მატების გამო. დანარჩენ სახეობებთან შეადრებით ამ მხრივ რამდენადმე უკეთესი მაჩვენებელი – 50 ძირი, ისევ მხოლოდ კორპიან თელას გააჩნია 1,1-1,5 მ სიმაღლეზე და მიუხედავად მისი ასევე რაოდენობრივი სიმცირისა, ეს ციფრი თითქმის ორჯერ აღემატება დანარჩენი სახეობების იმავე და მეტი სიმაღლის ეგზემპლარების მაჩვენებელს ერთად აღებულს. თუ თელის მოზარდის რაოდენობას კიდევ დაემატება 1,6-2,0 მ სიმაღლის მისი 20 ძირი საიმედო მოზარდი, მაშინ განსხვავება უკვე თითქმის 3-ჯერ გაიზრდება.

ცხრილის მიხედვით თითქმის ისეთივე მძიმე მდგომარეობაა ბუნებრივი თესლითი განახლების თვალსაზრისით იმავე ეკოტოპისა და ტყის ტიპის კორომებში, საბურველის საშუალო (0,5-0,6-0,7) შეკრულობის პირობებში, სადაც ისლის მიერ ნიადაგის დაფარულობის ხარისხი 40-50%-ისფარგლებშია.

ბუნებრივი განახლების შესწავლა აღნიშნულ კორომში წარმოებდა იმავე მეთოდის მიხედვით, რომლითაც წინა შემთხვევაში. კვლევის შედეგების მიხედვით, სანიმუშო ფართობზე, რომელიც აღებული იქნა ახმეტის მუნიციპალიტეტის პანკისის ხეობაში ე.წ. „შაღმასპეროზიის“ მიდამოებში, 13ა-ზე მუხის მოზარდის საერთო რაოდენობა სულ 80 ძირით იყო წარმოდგენილი. მათგან 40 ძირი ანუ მუხის მთელი რაოდენობის 50% 0,5 მ-მდე სიმაღლისა იყო, 10 ძირი ანუ შესაბამისი რაოდენობის 12,5% - 0,6-დან 1,0 მ-მდე, იგივე პროცენტითა და რაოდენობით იყო წარმოდგენილი მოზარდი სიმაღლით – 1,1-დან 2,0 მ-მდე, ხოლო 20 ძირი აღირიცხა მოზარდი - 2 მ-ზე მაღალი, რაც მუხის მთელი რაოდენობის 25%-ს შეადგენს. როგორც ვხედავთ, მუხის ბუნებრივი განახლება კორომის საბურველის საშუალო შეკრულობის პირობებშიც განათების პირობების გაუარესების გამო ძლიერ არადადამაკმაყოფილებელია. აქვე არ შეიძლება გამოვრიცხოთ ისლის ფაქტორი, რომელიც ასევე აუარესებს მუხის განახლებას.

დანარჩენი მერქნიანი სახეობებიდან მუხაზე უკეთესი მაჩვენებლით ხასიათდება რცხილა, რომელსაც უკვე კონკურენციას ვეღარ უწევს ისლის საფარი და რომლის მოზარდიც მუხისაზე უკეთ გრძნობს თავს საბურველის საშუალო შეკრულობის პირობებში, თუმცა არსებული კრიტერიუმებით, მისი განახლებაც უკიდურესად არადადამაკმაყოფილებელია. მესამე ადგილზეა და სულ რაღაც 40 ძირით არის წარმოდგენილი კორპიანი თელის მოზარდი, ხოლო დანარჩენი სახეობებისა – უმნიშვნელოდ.

როგორც იმავე ცხრილიდან ირკვევა, ისლის საფარიან მუხნარებში მისი ბუნებრივი განახლების მაჩვენებელი უკიდურესად არადადამაკმაყოფილებელია ისევე, როგორც საერთოდ, ბუნებრივი განახლებისა და, თუ შევაჯამებთ პირველი სანიმუშო ფართობის მონაცემებს, მივიღებთ, რომ კორომის საბურველის დაბალი შეკრულობის პირობებში აღმონაცენ – ნორჩნარისა და საიმედო მოზარდის საერთო რაოდენობიდან, რომელიც მეტად მცირეა (211 ძირი), მუხის განახლებაზე მოდის 37%, კორპიან თელაზე – 43 %, რხილაზე – 16 %, ხოლო 4% – იფნისა და ბალამწარას განახლებაზე.

რაც შეეხება კორომის საბურველის საშუალო შეკრულობის პირობებში ბუნებრივ განახლებას, მისი უაღრესად დაბალი საერთო მაჩვენებლის ფონზე, ცალკეული მერქნიანი სახეობების განახლება შემდეგი სახითაა წარმოდგენილი, კერძოდ – მუხის ბუნებრივი განახლება კორომის საერთო მაჩვენებლის 30%-ს შეადგენს, რცხილისა – 56%-ს, იფნისა–11%-ს, ხოლო დანარჩენი სახეობებისა უმნიშვნელოა.

საერთო ჯამში ჩვენს მიერ შესწავლილ ისლის საფარიან მუხნარებში, როგორც საერთოდ, ისე ცალკეული სახეობების – ქართული მუხის, კავკასიური რცხილის, ჩვეულებრივი იფანის, კორპიანი თელის, ბალამწარისა და სხვა მერქნიანი ტყისშემქნელი სახეობების ბუნებრივი თესლითი განახლება, უკიდურესად არადადამაკმაყოფილებელია, რისი ძირითადი მიზეზიც ისლის საფარის ძლიერი განვითარება, ჰაერის ტემპერატურის სისტემატიურად ყოველწლიური მატება და ზემოთ დასახელებული სხვა ბიოტური ფაქტორებია.

დასკვნა

როგორც ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზი გვიჩვენებს:

1. კახეთის რეგიონში შესწავლილ ქართული მუხის ისლის საფარიან ტყის ტიპში, ამონაყრითი ბუნებრივი განახლება პრაქტიკულად არ არსებობს;
2. ყველა მუხნარის ტყის ტიპში, საბურველის შეკრულობის როგორც დაბალი (0,3-0,4), ისე საშუალო (0,5-0,6-0,7) ხარისხის პირობებში ბუნებრივი თესლითი განახლებაც არადადამაკმაყოფილებელია.
3. არადადამაკმაყოფილებელი ბუნებრივი განახლების მიზეზები კომპლექსურია, კერძოდ:
 - გლობალური დათბობის ტენდენცია-ტემპერატურის ყოველწლიური მატებით;
 - სხვადასხვა სახის პირუტყვის დაურეგულირებელი მოვება;
 - მუხის ნაყოფის (რკოს) მასობრივი შეგროვება, ბაგურ და ზოგადად გადახურულ სადგომებში განთავსებული პირუტყვის გამოსაკვებად;
 - მუხის ნაყოფის (დაფქვილი სახით) გამოყენება შინაური ფრინველის საკვებ რაციონში დანამატის სახით;
 - მუხის ნაყოფის შეგროვება ყავის სუროგატად გამოყენების მიზნით;
 - მუხის ნაყოფის მასიური ათვისება – დაზიანება გარეული ნადირის, მღრღნელების, ენტომოფაუნის მიერ და სოკოვანი დაავადებების მიზეზით;
 - მუხნარებისა და მუხაშერეული კორომების ინტენსიური ჭრების გამო, კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე, კლიმატურ-ნიადაგური პირობების კიდევ უფრო გაუარესება;
 - მუხნარების ხელოვნური განახლებისათვის (კულტივირებისათვის) სანერგე მეუნეობების არარსებობა;

- ეფექტური სატყეო სტრუქტურების გაუქმება და არაეფექტური სამეურნეო ერთეულების ფუნქციონირება;
 - აღნიშნული სატყეო-სამეურნეო ერთეულების მიერ ტყის ეკოსისტემების მართვისა და მასზე კონტროლის მექანიზმების შესუსტება;
 - ტყეების დაცვის, მოვლისა და კვლავწარმოების სფეროში პროფესიონალების დეფიციტი;
 - მუხნარების მაღალი ბიოლოგიური ხნოვანება, შესუსტებული რეპროდუქციული უნარი;
4. აღნიშნული მდგომარეობა უკიდურესად უარყოფით გავლენას ახდენს მუხაშერეული კორომების ნიადაგდაცვით და წყალშენახვით პოტენციალზეც.

გასატარებელი სამეურნეო ღონისძიებები:

1. ტყეების ინვენტარიზაციის სამუშაოების ოპტიმიზაცია;
2. კონტროლის გაძლიერება მუხნარებისა და ზოგადად ტყეების ექსპლუატაციაზე;
3. მოვების ინტენსიობის რეგულირება;
4. მუხნარების ფიტოსანიტარული მდგომარეობის მონიტორინგი, საპრევენციო ღონისძიებების დამუშავება და პრაქტიკული განხორციელება;
5. კონტროლი მუხის ნაყოფის შეგროვებაზე;
6. სანერგე მეურნეობების აღდგენა მუხნარებისა და, ზოგადად, ტყეების კვლავწარმოებისათვის;
7. განსაკუთრებით მოწყვლად სატყეო მონაკვეთებზე, საიმედო მოზარდის დაცვისათვის შემოღობვის პრაქტიკის გამოყენება;
8. ბალახოვანი საფარისა და ქვეტყის სიხშირის რეგულირების მეთოდების გამოყენება;
9. ხანძარსაწინააღმდეგო საპრევენციო ღონისძიებების დამუშავება საჭიროების შემთხვევაში გამოსაყენებლად;
10. კონტროლი ინვაზიური სახეობების გავრცელებაზე, რეგულირების შესაბამისი ღონისძიებების მომზადებით;
11. ეროზირებულ და განსაკუთრებით დაფერდებულ ტერიტორიებზე ფიტოსამელიორაციო ღონისძიებების გამოყენება.

ლიტერატურა

1. გ. გაგოშიძე. „კახეთის მდ. ალაზნის მარცხენა სანაპიროს ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები და ტყემცენარეულობა“. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №24, თბილისი, 2009 წ., გვ. 87-91;
2. ჭრის წესები საქართველოს ტყეებში. თბილისი, 2000 წ., გვ. 41-47.

СПОСОБЫ УВЕЛИЧЕНИЯ УСТОЙЧИВОСТИ ПОЛИВНЫХ БОРОЗД И ИХ ПОЛИВНОЙ СПОСОБНОСТИ

Самхарадзе В.И.

Институт водного хозяйства им. Ц. Мирцхулава
Грузинского технического университета
пр. И. Чавчавадзе 60^б, 0179, г. Тбилиси, Грузия
E-mail: vsamxaradze@mail.ru

Введение

Поверхностные способы орошения в настоящее время являются влагозарядке, а также создают на засоленных почвах нисходящие промывные токи; невысокие капитальные вложения в строительство сети.

Другой более эффективный, но и более сложный способ самыми распространенными. В аридной зоне ими поливается 89% орошаемых земель, в основном, в Грузии, Казахстане, Азербайджане и республиках Средней Азии. Это объясняется целым рядом достоинств данных способов: простая и надежная эксплуатация; небольшие затраты энергии на проведение полива; не зависят от ветра; обеспечивают хорошее промачивание почвогрунтов при регулировании равномерности увлажнения по длине борозд заключается в искусственном изменении коэффициента впитывания воды в почву по их длине. В этом случае для нарезки борозд рекомендуется использовать специальный универсальный бороздодел, который одновременно с нарезкой прикатывает головную часть борозды, уменьшая коэффициент впитывания. Среднюю часть нарезают обычным способом, а концевую – с одновременным устройством щели, обеспечивающей увеличение водопоглощающей способности почвы. Некоторое повышение стоимости нарезки поливной сети окупается экономией поливной воды и прибавкой урожая сельскохозяйственных культур.

Улучшить условия механизации сельскохозяйственных работ, повысить коэффициент земельного использования (КЗИ) можно удлинением длины борозды. Но удлинение лимитируется сложным рельефом и высокой водопроницаемостью почв, недопустимостью больших срезов плодородного слоя почвы. При удлинённых бороздах требуется более тщательная планировка (до 100 м³/га и более).

Простота и низкая себестоимость метода поверхностного бороздового полива делает его одним из наиболее распространенных. Несмотря на то, что он менее эффективен, чем дождевание, капельное, подпочвенное и другие методы орошения такой метод применяется почти на 90% орошаемых землях Грузии.

Поверхностный бороздовой полив имеет многовековую историю применения не только в Грузии, но и в мире. Однако, ряд существенных вопросов, имеющих важное значение повышения его эффективности, не нашли своего решения. До сегодняшнего дня не решены вопросы выбора оптимальных размеров борозды, равномерного увлажнения ее стен и дна.

Решению указанной проблемы посвящен ряд научных исследований, в которых выделяются работы американских ученых, предлагающих прерывистую подачу воды, при этом, поступающий в борозду расход уменьшается на 20...25%, а время подачи – 25-30% [1].

Необходимо отметить исследования, где решение проблемы оптимизации полива осуществляется за счет устройства закрытых борозд [2], а также дифференциального уплотнения дна борозды [3].

С точки зрения авторов, наиболее перспективными являются работы, предлагающие уплотне-

ние дна борозды, что значительно увеличивает ее длину и равномерность увлажнения. Однако, для уплотнения контуров прорезанной борозды требуется создание специального, агрегированного с трактором механизма, что является достаточно сложной задачей.

Основная часть

Описана новая конструкция бороздодела, имеющая ряд преимуществ перед существующими образцами.

В настоящее время поливные борозды нарезаются в обработанных почвах плужными бороздоделами различных модификаций. При этом формирование борозд производится копанием, что вызывает растрескивание откосов и дна. Наличие трещин резко увеличивает фильтрацию, которая приводит к затоплению поверхности буквально в 5...10 м от начала борозды и значительно уменьшает эффективную длину борозды.

Важно отметить, что трещины на поверхности борозды создают условия, при которых даже при незначительном расходе воды частицы почвы легко отрываются и перемещаются вместе с потоком, из-за чего впоследствии образуется очаг формирования водной эрозии почв.

Таким образом, борозды, нарезанные плужными бороздоделами, имеют два существенных недостатка: малую длину и вызванный копанием отрыв и перемещением водным потоком мелких частиц почвы.

Существующее положение обуславливает необходимость разработки новых механизмов и технологий нарезки борозд, обеспечивающих увеличение длины их действия, а также – уменьшение водной эрозии почв.

Конструктивные изменения каткового бороздодела БКН-300, разработанные в Институте водного хозяйства, позволили получить катковый рабочий орган для нарезки оросительных борозд (рис. 1) [4].




Рис. 1. Катковый бороздодел: 1-трактор; 2-гидроцилиндр; 3-навесное устройство; 4-рама; I,II,III-центральная и периферические секции рамы соответственно; 5-ось; 6-режущий диск; 7-болт; 8-втулки

Катковый бороздодел формирует борозды по новой технологии: резанием и уплотнением. Рабочий орган с помощью гидроцилиндра трактора углубляется в почву и после перемещения трактора оставляет за собой поливные борозды с треугольным сечением, имеющие уплотненные откосы. Степень уплотнения откосов незначительна, но она не мешает фильтрации воды и не создает в борозде противифльтрационный экран. Откосы борозды устойчивы, без трещин, что позволяет увеличить как длину поливной борозды, так и срок ее службы, исключая затопление в начале оросительного участка и значительно уменьшая интенсивность эрозионного процесса.

Катковый бороздодел работает следующим образом. С помощью гидроцилиндра (2) рама (4)

СПОСОБЫ УВЕЛИЧЕНИЯ УСТОЙЧИВОСТИ ПОЛИВНЫХ БОРОЗД И ИХ ПОЛИВНОЙ СПОСОБНОСТИ

опускается вниз вместе с рабочими дисками. При передвижении трактора, диски посаженные на ось, перемещаются в почве и с помощью качения нарезают поливные борозды с уплотненными откосами. Расстояние между дисками регулируется втулками (8) различной длины. Одним проходом формируется несколько борозд.

В зависимости от условий полива, бороздодел имеет возможность одновременно формировать $2n+2$ борозд. Например, при поливе виноградников используется центральная секция с двумя дисками. Для полива однолетних культур к центральной секции с помощью болтов крепятся периферические секции с необходимым количеством дисков.

Ориентировочная цена такого каткового бороздодела составляет 5000 долларов США, срок его службы 5 лет.

Применение для нарезки поливных борозд предлагаемого механизма в значительной степени улучшает качество полива и повышает продуктивность орошаемого гектара. Так, урожайность орошаемых виноградников возрастает только за счет повышения качества полива на 5...10 %, что в денежном выражении составляет 80 долл.США/га. При годовой производительности механизма 48 га виноградных плантаций, прирост продуктивности виноградников на один механизм в год достигает 3,84 тыс.долл.США.

Величина чистого приведенного эффекта от применения механизма (NPV) при коэффициенте дисконтирования 15% определяется в размере 9,82 тыс.долл.США. Соответственно, индекс рентабельности инвестиции (PI) составляет 2,96, а дисконтированного срока их окупаемости (DPP) – 2 года.

Выводы

Таким образом, предложенный катковый бороздодел имеет широкую сферу применения, обеспечивает высокое качество нарезки поливных борозд, имеющих устойчивые откосы, исключает осложненное перемещение стока, затопление в начале поливной борозды, значительно уменьшает интенсивность водной эрозии почвы, отличается высокой экономичностью, простотой конструкции, устойчивостью в работе.

Литература

1. **Iruno F.** Infiltration under Surge irrigation. Transaction of ASAE. 1985, 28 p.;
2. **Тугуши Г.Е.** Вопросы теории и техники поверхностного орошения. /Дисс. на соиск. степени д-ра техн. наук. Тбилиси, 1971;
3. **Модебадзе Н.Л.** Определение гидравлических параметров водного потока при бороздовом и полосовом способах полива. //Тр. ГрузНИИГиМ – "Вопросы мелиорации в горных и предгорных условиях". Тбилиси, 1988;
4. Патент U579. Устройство для нарезки каналов на заболоченных участках // В.И. Самхарадзе, 1999.

THE RESULTS OF VISUAL SURVEY OF AZAT RESERVOIR

V. Tokmajyan

Shushi University of Technology

E-mail: tokmajyanv@gmail.com

INTRODUCTION

Regulating the annual flows of Azat river, Azat reservoir provides both the irrigation of agricultural areas and the water supply for many facilities of production. Due to the circumstance that dozens of settlements, important communication routes and highways of international importance are located below Azat reservoir, the hydropower plant becomes not only a facility of primary importance but also a high risky structure.

Conflict setting. Therefore, ensuring the safety conditions at Azat reservoir and its nodes is of vital and strategic importance. In this regard, the exploration of safety standards of the reservoir is of primary importance.

Research results. In order to clarify the scope of the current problems to be investigated in the structures of Azat reservoir, the results of the visual surveys revealed are as the following:

- 1) The flows from the clay dam, which are subjected to constant monitoring, are stable, but laboratory investigations of these waters are not carried out in order to determine whether there is any scouring for small grains from the earth dam.
- 2) To obtain the depressive curve of the dam the piezometric net does not operate (except for two piezometers). It is necessary to study the technical state of the piezometric network and to develop recommendations for their rehabilitation, to conduct surveys on seepage stability, to compare quantitative and qualitative indicators of seepage flows with design values and risk assessment.
- 3) In the case of high horizons of the reservoir unplanned seepage flows occur on the right bank, which are noticeable in the middle of the lower bay to the right and left of the disastrous spillway channel. Research should be done to study the causes of occurring such flows and to develop engineering measures to neutralize this phenomenon as much as possible.
- 4) For the purpose of revealing the technical condition of the disastrous spillway it is necessary to conduct studies to clarify the level of decay of the reinforced concrete floor and in some places the walls as well. This will allow to assess the extent of the measures for necessary repairing.
- 5) In order to determine the physical-mechanical properties of the ground of the dam it is necessary to dig at least 3 holes there and to test the obtained samples in laboratory.
- 6) Micro-circulation of the area should be carried out to determine seismic zone and possible seismic loads of the territory of the dam. It is necessary to perform calculations of strength and stability of the dam according to the results of laboratory testing and microcirculation of the hole samples.
- 7) Measurements should be implemented to determine the form of silt accumulations in the reservoir and their distribution (Fig. 1). It will become the basis for estimation the dead and effective storage of the reservoir and to foresee the further developments of this process.



Fig. 1. The general view of the rim of the reservoir

- 8) Urgent problems occurred in the system of reservoir depletion (hatchway node, outlet pipeline, service tunnel, hydro-mechanical equipment) (Fig.2). It is necessary to study the technical condition of the mentioned nodes, to assess the risks and to develop the activities of fundamental repairing.
- 9) The studies on technical conditions of the irrigation system of the reservoir, on the structures of irrigation tail water face (influent channel, trash screen, entry flat gate and the mechanisms of its management) and on the technical conditions of hydro-mechanical equipment of irrigation water conduit should be made along with developing suggestions.



Fig. 2. The condition of the pipeline of reservoir depletion and the regulating closures on it

- 10) To study the technical conditions of takeoff node of irrigation system and recalculation of hydraulic regime and to give suggestions for improving the operation of the node.
- 11) To implement surveys and give propositions for suggesting the ways of accumulating additional water storage in the reservoir.
- 12) To study the technical conditions of pipeline of reservoir depletion and to develop engineering measurements to provide its further safe operation.
- 13) To implement surveys for investigating the technical characteristics of the depletion pipeline tunnel passing through the bed of the reservoir (Fig. 3).



Fig. 3. The emergency sections of underground tunnel

It is also suggested to make studies and to give justifications for suggesting ways of storing additional water in reservoir [1]. It is necessary to also realize control geodesic activities (checking the level of elements of dam structures in project-calculating holes of the dam using the accuracy of the 2nd class at least) aimed at investigating and comparing silt accumulations and estimating their dynamics [2].

CONCLUSION

Visual surveys may serve as a basis for conducting fundamental investigations and preparation of a security declaration using appropriate equipment in Azat reservoir.

REFERENCES

1. Tokmajyan V.H. About economical investment of closures “AV-1” //3rd international scientific-technical conference “Modern problems of environmental protection, architecture and construction”, Tbilisi-Borjomi, 29 July - 4 August, 2013, p. 182-186.
2. Gabayan G.S., Tokmajyan V.H. Application of logical analysis in determination genesis of abnormality in the dams //Bulletin of Armenian National University of Engineering, series of “Hydrology and hydraulics”, Yerevan, 2014, N 1, p. 60-67.

მდინარის მყარი ნატანის ცვლილება კლიმატის მიმდინარე
ცვალებადობის პირობებში

ჯ. ფანჭულიძე, რ. დიაკონიძე, ზ. ჭარბაძე, მ. შავლაყაძე,
ნ. ნიბლაძე, ფ. ლორთქიფანიძე, ბ. დიაკონიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 60^ბ, 0179, ქ. თბილისი, საქართველო
E-mail: jumber.panchulidze@gmail.com

შესავალი

გლობალური დათბობა დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს. ატმოსფეროს ტემპერატურის მატების შედეგად, მიმდინარე კლიმატური ცვლილებების ფონზე, საგრძნობლად იმატა სტიქიების რიცხვმა. ოკეანის დონის ამაღლება, ზღვის სანაპირო ზოლის აბრაზიული პროცესების ზრდა, მდინარის ჰიდროლოგიური რეჟიმის ცვლილებები, ეროზიულ-ღვარცოფული და მეწყერული მოვლენების არეალის გაფართოება - ფაქტია, ნეგატიურად იმოქმედებს ბუნებრივ გარემოზე.

ძირითადი ნაწილი

გარკვეულ პერიოდამდე, გლობალური დათბობით გამოწვეული პრობლემების შესასწავლად და შესაფასებლად, ჰიდროლოგიაში საკმარისი იყო გვერდითა დაკვირვებათა გრძელი რიგი. გლობალური ცვლილებებიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელი გადასახედიდან, გლობალური დათბობით გამოწვეული პრობლემის დინამიკის შესწავლისა და კომპლექსურად გადაწყვეტისათვის შესამუშავებელი თანამედროვე ღონისძიებების ეფექტიანობა დამოკიდებული იქნება ცალკეული პრობლემის (ჩვენ შემთხვევაში - ჰიდროლოგიურის) თითოეული შემადგენელი კომპონენტის უახლოეს პერიოდში ნატურული დაკვირვებების შედეგად მიღებული მასალების შესწავლასა და მონიტორინგზე, ვინაიდან შესაბამისი უტყუარი პროგნოზისათვის აუცილებელი შეიქნა არა მარტო სისტემური დაკვირვებანი, არამედ კონტროლი გარემოს მდგომარეობის თანამედროვე ცვლილებებზე.

გლობალური ცვლილებების დამახასიათებელ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს ჰიდროლოგიაში წარმოადგენს მდინარეთა მყარი ნატანი, როგორც ბალანსის დამამყარებელი სიდიდე ზღვის სანაპირო ზოლში მყარი ნატანის აკუმულაციასა და გარეცხვის მოცულობებს შორის [2].

ცნობილია, რომ მყარი ნატანის ხარჯი პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია წყლის ხარჯთან [3]. წყლის ხარჯი კი, თავის მხრივ, ძირითადად დამოკიდებულია: ატმოსფერული ნალექების - რაოდენობაზე, მის ხანგრძლივობაზე, განაწილებაზე დროსა და სივრცეში; თოვლისა და ყინვარების დნობის ინტენსივობასა და დროში გაადგოლებაზე; წყალშემკრები აუზის ნიადაგობრივ-მორფოლოგიურ თავისებურებაზე; მიწისქვეშა წყლების გენეზისზე და ა. შ. აქედან გამომდინარე, მყარი ნატანის რაოდენობრივი მაჩვენებლების პროგნოზირებისათვის, საჭიროა უახლესი, დაზუსტებული, ნატურული მონაცემების არსებობა ჩამონადენისწარმომქნელ ფაქტორებზე და შესაბამისად, წყლის ხარჯებსა და მყარი ნატანის სიდიდეებზე.

აქამდე არსებული მათემატიკური (კომპიუტერული) მოდელი, რომელიც მდინარის კალაპოტში მყარი ნატანის რაოდენობის პროგნოზირებას ეხებოდა, პროგრამირებული იყო არსებული სტატისტიკური მონაცემების ურთიერთხემოქმედებრივ პრინციპებზე და ლოგიკურია, გლობალური ცვლილებებით გამოწვეული შედეგობრივი მაჩვენებლების გარეშე, მოწყდა ფიზიკური პროცესების თანაურთიერთხემოქმედებრივ-შედეგობრივ ნორმებს [4], ამიტომ, დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, აუცილებლობა შეიქნა უახლესი ნატურული მონაცემების მოპოვებისა - მათი შედეგობრივი ანალიზისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.

დასავლეთ საქართველოს მდინარეთაგან, რომლებიც უშუალოდ ერთიან შავ ზღვას, ტრანსპორტირებული მყარი ნატანის მოცულობებით გამოირჩევა მდ. ენგური და მდ. რიონი. ვინაიდან წყალსაცავები მნიშვნელოვნად ცვლიან მდინარეთა ჰიდროლოგიურ რეჟიმს - განსაკუთრებით მყარი ნატანის მოცულობების წყალსაცავში აკუმულირების გამო, აღნიშნულ მდინარეებზე დაკვირვებების მასალები აღებული იქნა წყალსაცავებამდე არსებული ჰიდროლოგიური საგუშაგოებიდან. ნატანი, რომელიც წყალსაცავში გროვდება, ზღვის სანაპიროზე პლაჟამები მასალის მწვავე დეფიციტს ქმნის, რასაც პლაჟების წარცხვა და სანაპიროს აბრაზია მოსდევს. ამიტომ, წყალსაცავამდე მყარი ნატანის გაანგარიშება საშუალებას მოგვცემს რეალურად შეფასდეს მოცემული წყალსაცავის გავლენა ზღვის სანაპიროს მდგრადობაზე და გაანგარიშებული იქნეს ზღვისპირა პლაჟის შესავსებად საჭირო ნატანის მოცულობა [1].

ქვემოთ მოცემული მასალები დამუშავებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრო-მეტეოროლოგიური დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე (იხ. ცხრილი).

№	მდინარე, საგუშაგო	მყარ ნატანზე დაკვირვ. პერიოდი	Q_{max} მ³/წმ	$R_{საშ}$ კგ/წმ	წყლის მასაში ნატანის %-ული შემცველობა დიამეტრის მიხედვით, d მმ/%												შენიშვნა	
					>100	100-50	50-20	20-10	10-5	5-2	2-1	1-0,5	0,5-0,2	0,2-0,1	0,1-0,05	0,05-0,01		<0,01
1	მდ. რიონი ს. ნამოხვანი	1932-1971 1971-1991	819 900	71 76	50,5 51,5	13,7 20,1	21,3 17,5	9,2 8,1	3,2 2,8	2,1	-	6,4 8,1	12,2 14,8	40,3 30,9	24,9 25,8	16,2 20,4	-	ფრაქციები-სათვის: $d>1$ და $d<1$ მონაცემები ცალკე-ცალკეა გამოთვლილი
2	მდ. ენგური ს. ხუბერი	1930-1971 1971-1991	810 888	69 74	-	-	-	-	-	-	-	31,2 24,6	32,3 34,5	10,6 8,1	6,3 10,5	2,7 10,1	16,9 12,2	

როგორც ცხრილიდან ჩანს, წყლის ხარჯისა და შესაბამისად, მყარი ნატანის ხარჯების სიდიდეები არამკვეთრადგამოხატულად - უმნიშვნელოდაა გაზრდილი დაკვირვების პერიოდის მეორე (1971-1991 წწ.) ეტაპზე. თუმცა, როგორც ცნობილია, გლობალური დათბობით გამოწვეული ცვლილებები ძირითადად, უფრო ბოლო უახლოეს წლებშია დამახასიათებელი, რაც შემდგომი ექცედიციური დაკვირვებებით ირკვევა. ამიტომ, მიზანშეწონილია

(აუცილებელიც), შესასწავლ მდინარეებზე ლოკალური დაკვირვებები და მონიტორინგი განხორციელდეს კვლევის წინა ორი წლის განმავლობაში მაინც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამომდინარე იქიდან, რომ მყარი ნატანის ხარჯი უშუალოდ დამოკიდებულებაშია წყლის ხარჯთან, საშუალება გვქმნება, წყლის ხარჯებზე და მყარ ნატანზე, დაკვირვებების შედეგად მიღებული ნატურული მონაცემების საფუძველზე ავაგოთ $R = f(Q)$ დამოკიდებულების მრუდი. აქედან გამომდინარე, განსახილველ კვეთში ბოლო ორი წლის ნატურული დაკვირვებებით მიღებული მონაცემების საფუძველზე აგებული $R=f(Q)$ დამოკიდებულების მრუდის საშუალებით, შემდგომში, შესაძლებელი ხდება წყლის ხარჯებზე მონაცემების მოპოვების შედეგად მოვახდინოთ მყარი ნატანის ჩამონადენის მოცულობის უტყუარი პროგნოზირება. ანუ, უკვე შემდგომ, წყლის ხარჯებზე უახლესი ნატურული დაკვირვებებისა და მონიტორინგის შედეგად მიღებული მასალების საფუძველზე, ლოკალური ჰიდროკვეთისათვის, დაზუსტებული დამოკიდებულების მრუდით საშუალება გვქმნება, რეალურად შეფასდეს შესასწავლ მდინარეებზე მყარი ნატანის რაოდენობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლების ცვლილებები, გლობალური დათბობით გამოწვეული ცვლილებების შესაბამისად.

დასკვნა

ვინაიდან მყარი ნატანის ხარჯი უშუალოდ დამოკიდებულებაშია წყლის ხარჯთან, კერძოდ, მდინარის წყლის ხარჯი (Q მ³/წმ) პირდაპირპროპორციულ კავშირშია ნატანის (R კგ/წმ) ხარჯთან, ამიტომ საკვლევ კვეთში ბოლო პერიოდის დაკვირვებების შედეგად მიღებული მონაცემების მიხედვით დაზუსტებული $R = f(Q)$ დამოკიდებულების მრუდის საშუალებით, შესაძლებელი იქნება მყარი ნატანის უტყუარი რაოდენობრივი პროგნოზირება მხოლოდ წყლის ხარჯებზე უახლესი მონაცემების მოპოვების შედეგად.

ლიტერატურა

1. ჯ.ფანჭულიძე, გ.მეტრეველი. „მთის წყალსაცავების გარემოზე ზემოქმედების შეფასების კრიტერიუმები“. მე-5 საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია „წყალთა მეურნეობის, გარემოს დაცვის, არქიტექტურისა და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები“; თბილისი, 16-19 ივლისი, 2015წ., გვ. 288-292.
2. Р.В. Диаконидзе. «Методика установления стока взвешенных наносов для неизученных водосборов рек Грузии». Труды ГрузНИИГидротехники и Мелиорации; вып. 7. Тбилиси, 1980г., стр. 34-40.
3. Пособие по определению расчетных гидрологических характеристик. Ленинград. «Гидрометеиздат», 1984г., 447с.
4. З.Д. Копалиани, Р.В. Диаконидзе, Д.Н. Панчулидзе. «Исследование проблем развития теории и методов расчета характеристик русловых процессов». მე-9 საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია „წყალთა მეურნეობის, გარემოს დაცვის, არქიტექტურისა და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ თბილისი, 25-27 ივლისი, 2019 წ. გვ. 145-153.

ალაზნის საცდელი ნაკვეთის მლაშე ნიადაგების შეფასება

ი. ქუფარაშვილი, გ. კაკაშვილი, ლ. ტოკლიკიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის
წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი

ი. ჭავჭავაძის გამზ. 60^ა, 0179, თბილისი, საქართველო

E-mail: irma2qufarashvili@gmail.com

შესავალი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დაქვემდებარებაში მყოფი ალაზნის საცდელ-სამელიორაციო ეკოლოგიური პუნქტის 45 ჰა საცდელი ნაკვეთის მლაშე ნიადაგებზე არსებული კოლექტორების წყლისა და მლაშე ნიადაგების ნიმუშების ქიმიურ-ლაბორატორიული კვლევის შედეგები.

ნიმუშების დამუშავებით დადგენილია წყლისა და ნიადაგის მარილიანობის მინერალიზაცია.

ძირითადი ნაწილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დაქვემდებარებაში მყოფი ალაზნის საცდელ-სამელიორაციო ეკოლოგიური პუნქტის 45 ჰა საცდელი ნაკვეთის მლაშე ნიადაგების შესწავლის მიზნით 2015-2018 წლებში განხორციელდა სავსე კვლევები პუნქტის მლაშე ნიადაგებზე. შესრულდა წყლისა და ნიადაგის სინჯების აღება წლის სხვადასხვა სეზონისთვის და მათი გამოკვლევა ინსტიტუტის ლაბორატორიაში.

კოლექტორებიდან აღებული წყლის სინჯების ლაბორატორიული შემოწმება ხდებოდა ამერიკული სტანდარტით, ჰაჩის ფირმის წყლის პორტატული ლაბორატორიის (DH900) დახმარებით, რომელსაც გააჩნია ძალიან დიდი სიზუსტე.

სავსე კვლევებისას წყლის სინჯები აღებულ იქნა სპეციალურ პოლიეთილენის ლაბორატორიულ ჭურჭელში, ხოლო ნიადაგის ნიმუშები - სპეციალურ ბიოქსებში, რომელიც იმავე დღეს ჩამოტანილი იქნა ინსტიტუტის ლაბორატორიაში კვლევების განსახორციელებლად. ალაზნის ველის დამლაშებულ-მელიორირებულ მიწებზე არსებული კოლექტორების წყლისა და ნიადაგების მინერალიზაციის ლაბორატორიული კვლევების ჯამური მონაცემები მოყვანილია 1 და 2 ცხრილებში.

ცხრილი 1

ალაზნის დამლაშებულ-მელიორირებულ მიწებზე არსებული კოლექტორების წყლის მინერალიზაცია

ნიმუშის N	ნიმუშის აღების თარიღი	ნიმუშის აღების ადგილი	pH	HCO ₃ - მგ/ლ	Cl ⁻ მგ/ლ	SO ₄ ²⁻ მგ/ლ	Ca ²⁺ მგ/ლ	Mg ²⁺ მგ/ლ	Na+ +K+ მგ/ლ	მშრალი ნაშთი
1	02.2018	I კოლ.	8,8	8,8	225,6	48,9	225	54,6	225,4	1034.6
2	04.2018	I კოლ.	9,8	9,8	225,6	48,9	445	54,6	225,4	1349.9
3	07.2018	I კოლ.	8,78	8,78	323,6	56,6	550	66,5	332,4	1603.2

ალაზნის საცდელი ნაკვეთის მლაშე ნიადაგების შეფასება

4	09.2018	I კოლ.	8,5	8,5	256,6	66,4	440.2	64,2	456,8	1656.2
5	11.2018	I კოლ.	9,2	9,2	188,6	78,2	362.5	54,2	646,5	1656.2
6	02.2018	II კოლ.	8,8	8,8	225,6	48,9	24.06	54,6	225,4	1034.6
7	04.2018	II კოლ.	9,8	9,8	225,6	48,9	44.2	54,6	225,4	1349.9
8	07.2018	II კოლ.	8,78	8,78	323,6	56,6	22.6	66,5	332,4	1603.2
9	09.2018	II კოლ.	8,5	8,5	256,6	66,4	36.6	64,2	456,8	1656.2
10	11.2018	II კოლ.	9,2	9,2	188,6	78,2	42.2	54,2	646,5	1656.2
11	02.2018	III კოლ.	8,8	8,8	225,6	48,9	226	54,6	225,4	1034.6
12	04.2018	III კოლ.	9,8	9,8	225,6	48,9	447	54,6	225,4	1349.9
13	07.2018	III კოლ.	8,78	8,78	323,6	56,6	565	66,5	332,4	1603.2
14	09.2018	III კოლ.	8,5	8,5	256,6	66,4	440	64,2	456,8	1656.2
15	11.2018	III კოლ.	9,2	9,2	188,6	78,2	364	54,2	646,5	1656.2
16	02.2018	IV კოლ.	8,8	8,8	225,6	48,9	24.13	54,6	225,4	1034.6
